# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 26 ოქტომბერი 1999 №205 (978) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

ედი ირვაინი: ყველაფერი კარგადაა!

# ფერარი და ირვაინი გაამართლეს

„ფერარის“ გულშემატკივართა ლოცვა ღმერთმა ისმინა: სკუდერიას მალაიზიის დიდი პრიზის დროს ჩამორთმეული ქულები დაუბრუნეს.

შეგახსენებთ, რომ მალაიზიაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ედი ირვინისა და მიხაელ შუმახერის მანქანებს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) წარმომადგენლებმა დეფლექტორები დაუწუნეს, კანონით დაშვებულზე 10 მილიმეტრით პატარებიაო და ორივე მრბოლი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„ფერარისთვის“ ეს კატასტროფის ტოლფასი იყო: ეტაპის წინ ოთხქულიანი უპირატესობის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონად მეტოქე „მაკლარენი“ და ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენი გამოცხადდნენ. იტალიურმა გუნდმაც FIA-ს სასწრაფოდ აახლა აპელაცია და პარასკევს პარიზის ფეშენებელურ სასტუმროში საქმე გაირჩა.

პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და თვით ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმაც ბევრი ვერაფერი გაიგეს. არ დაუმალავთ მხოლოდ ის, რომ „ფერარის“ ინტერესებს ერთბაშად ხუთი ადვოკატი იცავდა ჰენსი პეტერის თავკაცობით. სიტყვით გამოვიდნენ იტალიური გუნდის თავკაცები — როს ბრაუნი, ჟან ტოდტი და თვით ყველაზე მეტად დაზარალებული ედი ირვინიც, რომელიც, ყველასთვის მოულოდნელად, აზიიდან ჩამოფრენილიყო რამდენიმე საათით ადრე.

ჟიურის წევრთა ვერდიქტი შაბათს, თბილისის დროით შუადღის ორ საათზე გამოამზეურეს, „ფერარი“ უდანაშაულოდ გამოცხადდა და მთელმა იტალიამაც გაიხარა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას, იტალიის გამოკლებით, ევროპულ პრესაში ბევრმა ფარსი და ყალბი უწოდა, თუმცა „მაკლარენის“ ბოსმა როდ დენისმა განაცხადა, არც გაკვირვებული ვარ და არც იმედგაცრუებულიო.

„მაკლარენი“ ადრე უარყოფდა, რომ FIA-ს წარმომადგენლებს თავად უკარნახა „ფერარის“ მიერ წესების დარღვევის შესახებ, თუმცა „მერსედესის“ სპორტულმა დირექტორმა ნორბერტ ჰაუგმა შაბათს აღიარა, ეს პირველად ჩვენმა ინჟინრებმა შეამჩნიეს რბოლის შემდეგ და ჩვენვე შევატყობინეთ ინსპექტორებსო.

ასე რომ, „ფერარის“ გუნდის წევრებმა თავიანთი სამუშაო ადგილები შეინარჩუნეს, უკვე ტოკიოში გადაფრენილმა ირვინმა კი უძილო ღამისა და ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ძალიან გაიხარა: „ეს ფანტასტიკურია. ჩვენ სავსებით დავიმსახურეთ ეს შედეგი ტრასაზე და კარგია, რომ ისევ დაგვიბრუნეს. ახლა მხოლოდ სუზუკაზე და ერთბაშად ორი ტიტულის მოპოვებაზე ვიფიქრებ.“

ბოლო ეტაპის წინ ირვინს 70 ქულა აქვს, ჰაკინენს — 66, „ფერარის“ 118, „მაკლარენს“ კი — 114.

# ყირამალა

*მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურმა სულ მთლად ყირამალა დააყენა ყველაფერი. ელოდით „დინამოს“ ფრეს „არსენალთან“? ვის ეგონა „იბერია“ სამტრედიაში თსუ-სთან დამარცხდებოდა ან „გორდა“ შინ „კოლხეთთან“ ფარხმალს დაყრიდა... ის რად ღირს, აუტსაიდერმა „ხობმა“ რომ აჭყალაში „მერანს“ ქულა აართვა?! ლაზათი კი ტურს, რა თქმა უნდა, გორში „ტორპედოს“ გამარჯვებამ შეჰმატა. „დილასთან“ ქართლში 5:0 ხომ აქამდე ვერცერთ ქართულ გუნდს გაეხერხებინა. ერთი სიტყვით, ინტრიგა სახეზეა.*

იხილეთ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გვერდები



„დინამო“ — „არსენალი“ 1:1.
თემურ ჩლაიძემ (№1) და შალვა ლაცაბიძემ დინამოელ მიხეილ აშვეთიას არ გაატანინეს

## საქართველოს ჩემპიონატი — 9 ტური

### «ა» ზონა

23 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| არსენალი | 1 |
| სიონი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| სამგურალი | 0 |
| ლოკომოტივი | 3 |

24 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ბათუმი | 2 |
| თბილისი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 16:8 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 13:6 | 17 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 |
| ბათუმი | 9 | 3 | 5 | 1 | 6:3 | 14 |
| სიონი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:12 | 12 |
| თბილისი | 9 | 2 | 3 | 4 | 17:18 | 9 |
| სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:16 | 7 |
| არსენალი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:13 | 6 |

### «ბ» ზონა

23 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| ხობი | 0 |
| გორდა | 0 |
| კოლხეთი | 1 |

2[illegible] ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დილა | 0 |
| ტორპედო | 5 |
| იბერია | 0 |
| თსუ | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 8 | 1 | 0 | 24:5 | 25 |
| კოლხეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:11 | 18 |
| დილა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:13 | 14 |
| თსუ | 9 | 2 | 4 | 3 | 5:7 | 10 |
| იბერია | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | 9 |
| მერანი | 9 | 1 | 6 | 2 | 8:9 | 9 |
| გორდა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:9 | 7 |
| ხობი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:15 | 6 |

# საბერძნეთი პირველია, საქართველო ბოლო

*კვირას თბილისში თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მეორე ჯგუფში დასრულდა. ფინალური ეტაპის საგზური საბერძნეთმა მოიპოვა, საქართველოს ნაკრები კი შინაც ქართული ფეხბურთისთვის შესაფერ, ბოლო ადგილზე გავიდა.*

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

Under 16

II ჯგუფი, III ტური

24 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ხორვატია | 2 |
| საბერძნეთი | 4 |
| საქართველო | 1 |
| ბულგარეთი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |



კვირას „შევარდენზე“: საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს!

# ფეხბურთს თუ აკვანი დაეწვა...

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. III ტური
24 ოქტომბერი. 16 საათი. თბილისი. ეროვნული. 800 მაყურებელი

## საქართველო 1:2 ბულგარეთი

1:0 სამხარაძე (6), 1:1 ანდრიოვი (9), 1:2 კრასტევი (51)

**საქართველო:** ჭრიკიშვილი, ჯღარკავა (ქოქიაშვილი 27), ჭელიძე, გუშარაშვილი (ნიკურაძე 41), ელყანიშვილი, ფეიქრიშვილი, ნაკანი, ქუხილავა, ქარდავა, სამხარაძე, შ. გიგიაძე (კუპრეიშვილი (15)

**ბულგარეთი:** გოდიევი, კუნჩევი, კლენოვსკი, ჰარლოვი, გრიგოროვი, მიხაილოვი, სიმეონოვი (ბოიკოვი 22), კრასტევი, ანდრიოვი, ივანოვი (ბაჩვაროვი 41), გუეროვი (ვენკოვი 78)

**გაფრთხილება:** ნაკანი (80)

**მსაჯი:** პ. მაკეონი (ირლანდია) **დელეგატი:** ფ. კოლოსი (რუმინეთი) **დამკვირვებელი:** ანგონესი (იტალია)





აკაკი ქუხილავა (№8) და ერეკლე ელყანიშვილი (№5) გეორგი ანდრიოვთან ბრძოლისას

**პაატა კვანტალიანი**

კითხვა პირველი — რომელია ის ერთადერთი გუნდი, რომელმაც 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თბილისში გამართულ მატჩებში ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა?

კითხვა მეორე — რომელია გუნდი, რომელმაც ამ შესარჩევ ციკლში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო?

კითხვა მესამე — რომელია გუნდი, რომელიც ბოლო ადგილზე გავიდა?

სამივე კითხვას ერთი პასუხი აქვს — საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები!

მასპინძელი და ქულა და ერთ გოლს დაჯერებული ქართველები...

რატომ ხდება ასე? ან კი რატომ არ უნდა ხდებოდეს, როცა ჩვენ 51-ქვეყნიან ევროპაში სადღაც 41-ე ადგილზე ჩავკარგულვართ, როცა ჩვენთან ყოველი მეორე ფეხბურთელი ნიჭიერია, მაგრამ უსწავლელი, როცა ჩვენში დიდ საფეხბურთო ტრადიციებს თურმე ასფალტებს ასხამენ (იქ კი მოზარდი მხოლოდ მუხლისთავებს თუ იტყავებს). ბავშვთა ფეხბურთი — ვკიჟინებთ. ქართული ფეხბურთის პირმშო, აკვანი, ფესვები, ნორჩი ყლორტი. რა ფესვები? რის ყლორტი? რად გვინდა აკვანი, თუ დამრწევი არ არის? კი, ბატონო, მიყვარს ბურთი, მოედანი, ფეხბურთისთვისაც მიყურებია, მეტიც, მითამაშია კიდეც. ჰოდა, ავდექი, შევკრიბე 15-20 ბავშვი (შეიძლება 25 ან სულაც 30) და გავაკეთე საფეხბურთო გუნდი (შეიძლება მეტიც მოვინდომო და საფეხბურთო სკოლა ჩამოვაყალიბო). გარწმუნებთ, ერთბაშად ორ კურდღელს დავიჭერ: საწევრო-შემოსატანებით ცოტა ოჯახსაც გავუმართავ ხელს და უსაქმოდაც არ ვიქნები. ჩემს ნალვაწს აუღელვებლად დავარქმევ საზოგადოებრივ გარჯას, მომავლის საკეთილდღეოდ გაწეულ სამუშაოს. და როგორ გგონიათ, რამდენ ფეხბურთელს გავუზრდი დედასამშობლოს, რამდენ აკვანს დავარწევ დიდი ტრადიციების მქონე ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად? ვერ გამოვდგები დამრწევად, რადგან მაინც შემთხვევითი კაცი ვიქნები ამ საქმისთვის. და გეკითხებით, რამდენი ასეთი შემთხვევითი კაცი მუშაობს დღეს ბავშვთა ფეხბურთში?

სრლიად ვეთანხმები ირაკლი გორგოშიძეს, თექვსმეტწლამდელთა მეორე მწვრთნელს და კითხვას ვსვამ (სამწუხაროდ, ბევრის მისამართით) — ქვეყნის მასშტაბით არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ სახელდახელოდ რომ ვიანგარიშოთ, მარტო თბილისში 100-მდე ბავშვთა გუნდია (მეტი თუ არა). 100 გუნდში დაახლოებით 2000-2500 ყმაწვილია გაერთიანებული. იმ ას გუნდს მინიმუმ 150-200 მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წესით თბილისში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს საშუალოდ 2500-3000 მაყურებელი უნდა ჰყოლოდა. ბავშვები ამაზე კარგ თეორიულ გაკვეთილებს ჩვენში ვერსად მიიღებდნენ. ერთეულებს არ ვგულისხმობ, მაგრამ ვეკითხები 150-200 მწვრთნელს, სად იყვნენ? რას აკეთებდნენ? რა უნდათ?

ასე ვარწევთ ჩვენ ქართული ფეხბურთის აკვანს!

თავს ვიმართლებთ, ვამბობთ, რომ ბერძენი ყმაწვილები არ ჰგავდნენ თექვსმეტწლამდელებს. მათი აშლილი წვერულვაში და ამ ასაკისთვის შესაშური აღნაგობა კაცს მართლაც სხვა რამეს გაფიქრებინებს, მაგრამ წუთით დავფიქრდეთ, იქნებ ყოველივე ბერძენი სელექციონერების ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. ნათქვამია, ვინც ეძებს, ის პოულობსო, ვეძებთ კი ჩვენ? ვერაფრით დავრწმუნდები იმაში, რომ გორში, ქუთაისში, სამეგრელოში (იქ ირწეოდა, თუ ირწეოდა ძველად ქართული ფეხბურთის აკვანი) და კიდევ ბევრგან თითო ფეხბურთელი მაინც ვერ შეირჩა წამლად 16-წლამდელთა ნაკრებისთვის.

დალტონიზმთან ამას არავითარი კავშირი აქვს, მაგრამ ჩვენში ბევრ ყმაწვილს თურმე ვერ წარმოუდგენია, რომ ფეხბურთს მწვანე საფარზე თამაშობენ. თურმე ამიტომაა, რომ მოულოდნელად ამ ფერის გაზონს რომ შეეფეთებიან, მუხლები უკანკალებთ და თავბრუ ეხვევათ (ბავშვები არიან და ასფალტზე და წიდაზე უგორებიათ ბურთი). მესმის, ვიცი, რომ ჩვენი ბავშვები არასახარბიელო პირობებში იზრდებიან და შესაბამისად, ნორმალური შედეგის ჩვენების უმცირესი შანსი აქვთ. მაგრამ ვეკითხები თექვსმეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელებს, ყვავილნარ-ლაგოდეხური შეკრებებით მოხიბლულთ, რატომ არ ყვიროდნენ მაშინ, რომ წიდა-ასფალტზე ბურთის გორებით მიდიოდნენ შესარჩევ ციკლამდე, რატომ მაშინ არ გაახსენდათ, რომ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებას ბათუმის და თბილისის მესამე გუნდებთან საკონტროლო შეხვედრებით ვერ მიაღწევ. 4 საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ვითამაშე და სწორედ ამან დამღუპა. ოთხჯერ მეტი უნდა ჩამეტარებინაო — წუხდა ბულგარელთა მთავარი მწვრთნელი... ფიქრობდით ამაზე? აიმაღლეთ ხმა? თქვენ გჯეროდათ, იმედი გქონდათ. რისი? მხოლოდ შინაური კედლების ფაქტორის? ეს ჩვენთვის მიზერული შანსია, არაერთგზის გაცხადებული. ჩვენ? ჩვენც „გვჯეროდა“. ჩემმა „სარბიელელმა“ კოლეგამ პირველი ტურის მერე სულაც ბოლო ადგილი გამოუწერა ქართველ თექვსმეტწლამდელებს. მწარე რეცეპტია. უფრო მწარე რეალობაა. რეალ[illegible]ას კი თვალებში უნდა ჩავხედოთ... .



ქართველთაგან ერთადერთი გოლის ავტორი ირაკლი სამხარაძე (№10)

ცოტა რამ მატჩზეც ვთქვათ, ქართველებმა დებიუტში გატანილი გოლით გაიხარეს. სამხარაძემ ორ მცველს თავბრუ დაახვია, საჯარიმოში უსწრაფესად შეჭრილმა მეკარეც გააბითურა და შესარჩევ ეტაპზე ქართველთათვის პირველი (სამწუხაროდ, უკანასკნელიც) გოლი გაიტანა. ლამაზი, ეფექტური გოლი იყო, ამავე დროს, მხოლოდ ერთი ფეხბურთელის ინდივიდუალიზმის შედეგი.

ქართველებმა მატჩი რიხით დაიწყეს. პირველივე წუთზე ფეიქრიშვილმა იმავე სამხარაძეს შეაყოლა ბურთი საჯარიმოში. ყველა გოლს ველოდით, იმდენად რეალური მომენტი შეექმნა ქართველთა კაპიტანს, მაგრამ მეკარემ გამოსვლაზე იყოჩაღა და ბულგარელებს საფრთხე აარიდა.

გოლმა ბულგარელები გამოაფხიზლა. ანდრიოვი და ჰარლოვი ერთწუთიან ინტერვალში ორჯერ დაემუქრნენ ჭრიკიშვილის კარს, მეცხრე წუთზე კი ანდრიოვმა მეტოქის საჯარიმოში დაამუშავა ბურთი და აუღელვებლად გაგზავნა კარში — 1:1. გუნდებმა ყველაფერი თავიდან დაიწყეს. თუმცა დაიწყეს ბულგარელებმა, ფლანგები მაქსიმალურად გამოიყენეს და კლენოვსკისა და მიხაილოვის მონდომებით დაცვის ხაზიც საიმედოდ ჩაკეტეს, თუმცა ძირითადად მაინც მეტოქის შეცდომებს ჩაუსაფრდნენ. შეცდომები კი მრავლად იყო. ბურთის მიღება-დამუშავება, სწორი პოზიციის შერჩევა, პასი (ჩვენებურები განსაკუთრებით ამ მხრივ სცოდავდნენ) — ყველა კომპონენტში ცდებოდნენ გაგუას შეგირდები და მეტოქეც მიზანმიმართულად აკეთებდა საქმეს. თუმცა დიდი ხვითოები არც ბულგარელები არიან, მათ ადგილზე ხორვატები (ბერძნებზე არაფერს ვამბობ) პირველივე ნახევარში მოუთავებდნენ ხელს მასპინძლებს.

მეორე ნახევარში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა (რა თქმა უნდა, ბულგარელთა სასარგებლოდ). 51-ე წუთზე ორ ქართველ მცველთან შეყრილმა კრასტევმა მარტივი გადაწყვეტილება მიიღო, ეფექტური მოჭრილი დარტყმით (დარტყმა კი მართლაც კარგად შეასრულა ბულგარელმა) მარჯვენა ზედა კუთხეში ჩაუჭედა ბურთი ჭრიკიშვილს. წინ მთელი ნახევარი საათი იყო, მაგრამ ეს დრო ისევ ქართველთა თვალსაჩინო შეცდომებისა და ფლანგებზე მოიერიშე ბულგარელების ხილვაში გაილია. იყო კიდევ ორი მომენტი. პირველი 76-ე წუთზე, როცა კუპრეიშვილი მაისურის ქაჩვით შეჰყვა საჯარიმოში. გეროვს, მეკარის ბაქანზე კი სულაც ძირს დასცა მეტოქე, თუმცა მსაჯმა დაგვინდო. მეორე მომენტი კი მატჩის ბოლო წუთზე შეიქმნა. დავით ნაკანს ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ მდგომმა ახლო მანძილიდან ერთობ არაზუსტი დაარტყა. შემდეგ კი იყო მსაჯის სასტვენი და მორჩა: ერთი ქულა, ერთი გოლი და ბოლო ადგილი...

კი ბატონო, უდავოდ ნიჭიერი ყმაწვილია ირაკლი სამხარაძე, ერთი-ორი წლის შემდეგ უფრო შორს შეიყვანს აუტიდან ბურთს აკაკი კუპრეიშვილი, აქა-იქ თითო-ოროლაც იტყვის თავის სიტყვას ქართულ ფეხბურთში, მაგრამ გვაძლევს კი ყოველივე თავის დამშვიდების უფლებას?

ერთ რამეში ვერაფრით დავეთანხმები ირაკლი გორგოშიძეს. ამ ნაკრებიდან 5-6 ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებსო — ბრძანა თექვსმეტწლამდელთა მწვრთნელმა.

ქართული ფეხბურთი და დიდი ფეხბურთი უკვე სხვადასხვა ცნებაა და მგონი, ერთმანეთში გვერევა...

...თბილისში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს საშუალოდ 2500-3000 მაყურებელი მაინც უნდა ჰყოლოდა...

## პრესკონფერენცია

**მატჩის შემდგომ** პრესკონფერენციაზე ბულგარეთის ნაკრების თავკაცი *ივაილო კოტევი* და ქართველ თექვსმეტწლამდელთა მეორე მწვრთნელი *ირაკლი გორგოშიძე* გამოცხადდნენ. რევაზ გაგუას შეხვედრის დასრულებისთანავე თავი შეუძლოდ უგრძვნია.

ბუნებრივია, პირველმა ბულგარელმა მწვრთნელმა უპასუხა ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებს.

— ერთობ გახარებული ვარ. ბოლოს და ბოლოს უსახელოდ არ დაგვიტოვებია ეს ტურნირი. თანაც, გამოგიტყდებით, ძალიან შეფიქრიანებული ვიყავით საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინ. გარწმუნებთ, ბულგარეთში თქვენებურებს დიდ პატივს სცემენ, ამბობენ, ქართველები ფეხბურთში ევროპის ბრაზილიელები არიანო. ამის გათვალისწინებით, თქვენგან დიდ ბრძოლას ველოდი და, ბუნებრივია, ტურნირის დაწყების წინ ქართველი თექვსმეტწლამდელების გუნდს ჯგუფის ფავორიტადაც ვთვლიდი.

თქვენი ნაკრებიდან 8 (ქუხილავა), 9 (ქარდავა), 10 (სიხარულიძე) ნომრით მოთამაშე ფეხბურთელები მომეწონა, განსაკუთრებით №10-ს გამოვყოფ. იგი მართლაც გუნდის ლიდერია. მომეწონა ასევე შეცვლაზე შესული №16 (კუპრეიშვილი), მასაც ეტყობა, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს... საერთო შედეგით არ ვარ კმაყოფილი. ჩვენი ნაკრები ქვეჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და ფინალური ეტაპის მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ სიტუაციას რეალურად ვაფასებ. ჩემი გუნდი 25 იანვარს შეიკრიბა. გვქონდა ერთი — შვიდდღიანი, ერთი ოთხდღიანი და რამდენიმე სამდღიანი შეკრება. ჩავატარეთ ოთხი საკონტროლო მატჩი, ორი რუსეთის, ორიც გერმანიის ნაკრებებთან და ამ გზით მოვედით შესარჩევ ეტაპამდე. ეს კი ძალიან ცოტაა. გუნდმა რომ სერიოზულ მიზნებს მიაღწიოს, მინიმუმ 14 საერთაშორისო საკონტროლო მატჩი უნდა გამართოს, ჩვენ კი... სწორედ ამიტომ ვერ გავუწიეთ კონკურენცია ხორვატიის და უდავოდ ძლიერი ბერძნების გუნდებს... რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ვფიქრობ, უფრო გამოცდილების ხარჯზე მოვიგეთ, სხვა მხრივ დიდ სხვაობას ვერ ვხედავ ბულგარეთის და საქართველოს 16-წლამდელებს შორის... გისურვებთ, ქართული გუნდები და ნაკრებები წარმატებით გამოსულიყვნენ საერთაშორისო სარბიელზე.

ივაილო კოტევი ტაშით გავაცილეთ დარბაზიდან და ირაკლი გორგოშიძის ჯერიც დადგა.

— რა უნდა ვთქვა, როცა რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ ბათუმის და თბილისის, ჩვენზე გაცილებით სუსტ გუნდებთან. როგორ უნდა მიეღო გამოცდილება ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს ამ შეხვედრებში. იცით, რა პირობებშიც ვემზადებოდით. ფეხბურთელთა უმრავლესობამ ბერძნებთან მატჩის წინ პირველად ივარჯიშა ეროვნულის აბიბინებულ საფარზე... ექვსამდე მშვენიერი მინდორია სამეგრელოში, მაგრამ დამიჯერეთ, იქ ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელი ვერ ავარჩიეთ, არადა, სელექციის მხრივ ცდა არ დაგვიკლია... სამწუხაროდ, ამ მატჩებმა ბევრი რამ დაგვანახეს, ფაქტია, დიდი პრობლემებია ბავშვთა ფეხბურთში და ამას მიხედვა უნდა. ეს ამ სფეროში შემთხვევით მისულ მწვრთნელთა დამსახურებაცაა. დღევანდელ მატჩში ყველა შეცვლა იძულებით გავაკეთეთ. კუპრეიშვილი გმირია. იმის მაგივრად, რომ საავადმყოფოში წაგვეყვანა და ექიმებს ფეხის თითზე ფრჩხილი აეძროთ, მატჩამდე თხუთმეტი წუთით ადრე გასახდელში ტკივილგამაყუჩებელი ნემსი გავუკეთეთ, ვიცოდით, დაგვჭირდებოდა. გაყინული ფეხით ითამაშა გუშარაშვილმაც, ტრავმირებული იყო ჯღარკავაც... რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი მატჩის მოგება იყო, ამიტომაც გავაკეთეთ ძირითადად აქცენტი შეტევაზე. გოლიც გავიტანეთ. მეორედაც უნდა გვეხერა, მაგრამ... დავმარცხდით და ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთ კომპონენტში ვერ ვაჯობეთ მეტოქეს. როგორ გგონიათ, არ ვუკიჟინებთ ფეხბურთელებს, რომ ბურთი არ ათრიონ, დროული პასები გააკეთონ, მაგრამ... იმედი მაქვს, მარცხი გარკვეულ სამსახურს გაგვიწევს, რათა დღევანდელი შეცდომები სამომავლოდ არ გავიმეოროთ, საქართველოს დღევანდელი 16-წლამდელთა ნაკრებიდან 5-6 ფეხბურთელი მეგულება ისეთი, ვისაც ძალუძს, სამომავლოდ დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

**გიორგი ვაშაკიძე**



ვაჟა ქიტოშვილის ფოტო

2:0! პავლოს პიპერიასი (№13), გეორგიოს პაპადოპულოსი და ნიკოლაოს ტრიადაფილაკისი (№3)

# გმადლობთ... გმადლობთ!..

ევროპის თექვსმეტწლამდელთა ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. III ტური
24 ოქტომბერი. 13 საათი. თბილისი. შევარდენი. 300 მაყურებელი

## ხორვატია 2:4 საბერძნეთი

0:1 აბარცისი (7), 0:2 პიპერიასი (15), 0:3 სარაგიანიდისი (52), 0:4 ტრიადაფილაკისი (56), 1:4 ლიუბოიევიჩი (67), პოპოვიჩი (80)

**ხორვატია:** დელკიჩი, რადნიჩი (მარიჩი 41), ჰაინეშეკი, ცესარეცი, ჩოსიჩი, პოლიაკი, ჰაბაუში, ტომიჩი, ლიუბოიევიჩი, პოპოვიჩი, კულაშევიჩი (მოსტარლიჩი 47)

**საბერძნეთი:** ეფთიმიუ, პეტკაკისი (ცუკალისი 61), ტრიადაფილაკისი, ანასტასიადისი, მ. პაპადოპულოსი, ნიკოლაიდისი, სარაგიანიდისი, გუნდულაკისი, გ. პაპადოპულოსი (როსიოსი 41), აბარცისი, პიპერიასი (ფოტიადისი 69)

**გაფრთხილება:** ცესარეცი (38)

**მსაჯი:** ნ. ვოლკვარცი (დანია) **დელეგატი:** ფ. კოლოსი (რუმინეთი) **დამკვირვებელი:** ანგონესი (იტალია)

**ვახტანგ ბზიკაძე**

— **გმადლობთ** ბრწყინვალე მასპინძლობისთვის — დამტვრეული, ირონიაგარეული ინგლისურით სამადლობელი გადაიხადა ხორვატთა წარბებდაფანჩულმა თავკაცმა მარტინ ნოვოსელაცმა და შინ მშვიდობით მისვლის იმედად შორ გზას დაადგა, მოსკოვს გაეშურა.

— ვიცი, რომ ხორვატებს ორი ფეხბურთელი მოეწამლათ, მაგრამ ისიც გავიგე, ამ მოთამაშეებმა სასტუმროს გარეთ ჭამესო — მატჩისშემდეგ განუცხადა „სარბიელს" ბერძენთა მთავარმა მწვრთნელმა ტომას სედელიდისმა, რომელიც მოგებით, ცხადია, ნასიამოვნები, მაგრამ მაინც თავშეკავებული ჩანდა.

სედელიდისის თავდაჭერილობა გასაგებიცაა: ნოვოსელაცი, ფეხბურთელობისას პირეოსის „ოლიმპიაკოსში" რომ თამაშობდა, მისი ძველი ნაცნობია.

არ გეგონოთ, მწვრთნელებს ეს სიტყვები მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ეთქვათ. უკვე მესამედ, „შევარდენზე" მოთამაშე გუნდების მწვრთნელებს არ ჰქონიათ საშუალება მატჩით დამუხტულები ჟურნალისტთა აუდიტორიის წინაშე დაცლილიყვნენ. უბრალოდ, სედელიდისთან მისალოცად რომ მივედი, ნოვოსელაციც იქ გაჩნდა.

ხორვატებს მართლაც დიდი ძალა დააკლდათ მოწამლული უდოვიჩიჩის და მინანოვიჩის სახით. დანარჩენი გუნდიც ძლივს დალასლასებდა მინდორზე და ბერძნები რომ 4:0 იგებდნენ, ამაში გასაკვირი არაფერი იყო.

უდანაკარგოდ არც ბერძნები ყოფილან — ბულგარეთთან მატჩისას გაძევებული საყრდენი ნახევარმცველი ციროგიანისი აკლდათ.

თუმცა ელინები მაინც უფრო მონდომებულნი და საბრძოლოდ შემართულნი ეკვეთნენ მეტოქეს. ასეთი რამ იშვიათად ხდება, თამაშის ცენტრიდან დაწყება იყო და, სამ წუთზე მეტს ხორვატიამ საკუთარ ნახევარს ვერ მოაცილა ბურთი. სასტარტო შტურმის დამაგვირგვინებელი თითქოს იოანის ნიკოლაიდისის დაბალი აბრაგანი იყო, რომელიც ხორვატთა კარის ზურგში ჩაეშვა, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა, რომ კაპიტანმა ტომას აბარცისმა ბერძნები დააწინაურა — მან პეტკაკისის ჩაწოდებული ბურთი შუაგულ საჯარიმოში მიიღო, მცველს გარიდან შემოუარა და დელკიჩს შორეულ კუთხეში გაუტანა.

რვა წუთში აბარცისმა პიპერიასს მიაწოდა ბურთი, ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემაც ანგარიში გააორა.

ერთადერთი, რასაც ხორვატები შეეძლო ეხსნა, ტაიმის შუაში შექმნილი მომენტი იყო. ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ტანმაღალი მეკარე ეფთიმიუ უხეიროდ გამოენთო, რადნიჩმაც [illegible] დაურტყა, მაგრამ ბურთი ანასტასიადის ფეხიდან ასხლტა და [illegible]

აქედანვე ვთქვათ, ფრე ბერძენთა ხეირი იყო, ცხადია, 2:0 მოგებაც ელინებს უბევებდა ქვეჯგუფის გამარჯვებულის საგზურს და, მართალია თამაშის დამთავრებამდე კიდევ 60 წუთი რჩებოდა, თეთრ-ლურჯთა ბედი გადაწყვეტილი იყო.

ისე ტაიმის ბოლოს ხორვატებმა ხელი გამოიღეს, ლიუბოიევიჩმა თავური აცილა კარგი პოზიციიდან, ბოლო, 40-ე წუთზე ჰაინეშეკი შეიჭრა მარცხნიდან საჯარიმოში, მაგრამ ეფთიმიუ ვერ აამოძრავა, დაურტყა, მეკარემ მოიგერია და მერე კიდეც დაეუფლა ბურთს.

24-ე წუთზე პიპერიასს ჰქონდა მსგავსი მომენტი, რომლის გოლად გარდასახვა ბერძენთა უპირატესობას თავიდანვე უეჭველს გახდიდა, მაგრამ „დათარსულმა" №13-მა გარიდან გაარტყა ბადეს.

მეორე ტაიმის განახლება და, ხორვატთა ეულმა ფორვარდმა ლიუბოიევიჩმა ორჯერ ვერ ივარგა. 47-ე წუთზე კი შეცვლაზე წამების შესულმა მოსტრალიჩმა სოლო რეიდი პოპოვიჩისკენ მწვავე პასით რომ დაასრულა, ლიუბოიევიჩი ბურთს ისევ აცდა.

52-ე წუთზე სარიგიანიდისმა იაქტიურა, ოღონდ წინწასულ დელკიჩს თავზე გადაგდების ნაცვლად შორიდანვე დაურტყა და მეკარემ იერიში მოიგერია, მაგრამ წამებში ბურთს ისევ ბერძნები დაეუფლნენ და სარიგიანიდისმა ისევ შორიდან შეუტია კარს. რას აპირებდა, ძნელი სათქმელია, მეკარეს ჩაწოდება ეგონა და არ გამოვიდა, ბურთმა გაუხვია და დელკიჩის დაგვიანებულმა რეაქციამ იგი ძელსლა მოახვედრა, საიდანაც ბადეში აღმოჩნდა.

მერე ტრიადაფილაკისის ლამის მთელმოედნიანი რეიდი და საჯარიმოს ხაზიდან გატანილი გოლი იყო. ხორვატები 0:4 შეაფხიზლა, ისევ საფინიშო სპურტი მოაწყვეს და ორჯერ გაიტანეს, ერთხელ კარის ხაზიდან ბურთის გამოტანა აიძულეს ცუკალისს.

ბერძნები ბოლოს კი მოეშვნენ, მაგრამ ეს ეპატიებათ. საერთოდაც, ჩვენებურთა შერცხვენის ფონზე შესარჩევ ტურნირს ქართველი გულშემატკივრისთვის საბერძნეთის ნაკრებმა შეუნარჩუნა ინტერესი. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯერაც უწვერული ყმაწვილების ასაკში ბევრს ეჭვი (მე თუ მკითხავთ, უსაფუძვლო) შეეპარა, კარგი თამაშისთვის მადლობის მეტი რა უნდა გვეთქმოდეს.

ტომას სედელიდისის გუნდმა ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიგო შესარჩევი ტურნირი. წაგებით ერთადერთხელ წააგო 1996 წელს, ქართველებთან საბერძნეთში 4:4 რომ ითამაშა და ფინალისკენ მავალი გზა რევაზ გაგუას გუნდს დაუთმო.

ეჰ, რა დრო იყო! მართლაც რომ იყო...



ვაჟა ქიტოშვილის ფოტო

მარკო მარიჩი (№14) და ტომას აბარცისი (№10)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი **9 ტური**

# ისინი ამბობენ

გორი
24 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:5 ტორპედო**

0:1 იონანიძე (43), 0:2, 0:3 მეგრელაძე (44, 45), 0:4 კვეტენაძე (47), 0:5 ვაჩიბერაძე (67)
**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (ვ. სამხარაძე 50), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ფეზუაშვილი, მარლიშვილი, აკოფიანი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; არუთინიანი, დ. მაისურაძე, ოლგესაშვილი, საყვარელიძე
**ტორპედო:** ჭანტურია, მალლაკელიძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, ჩხეტიანი, იონანიძე (ამისულაშვილი 78), დ. ჯანაშია (იმედაძე 73), მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 78)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; ვ. მაისურაძე, მახვილაძე
**გაფრთხილება:** აკოფიანი (14), იონანიძე (34)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); გ. მარლიშვილი (ქარელი)
**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩიგაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი** გორიდან

**გორი** მეთერთმეტე ეროვნულის მორიგ ტურს დაფით, ზურნით და ტრიბუნებზე საარჩევნო პლაკატებგადაჭიმული დაუხვდა. ამას ზედ ქუთათურთა ვეებერთელა დოლიც (სასულე ორკესტრებს რომ დააქვთ) მიუმატეთ და წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა არჩევნებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე დიდი ბელადის პატარა ქალაქში.

საარჩევნო პლაკატები „სმკ" აბრევიატურის გარეშე, აბა, როგორ იქნებოდა, მაგრამ მაინც „სახალხო პარტია — შემოხაზეთ №5" ჭარბობდა. ისიც თქვეს, სახალხოელებმა გორელ გულშემატკივრებს ბილეთები შეუძინეს და მადლიერი ქართლელი ქომაგიც ყვირილს რატომ დაამადლიდა იმერელ გიორგაძეს და მის დასს. მერე და მერე, ფეხბურთმა რომ ჩაითრიათ, გორელებს საერთოდ მიავიწყდათ პლაკატები (თქვენი პოლიტიკა და თქვენი პარლამენტიო) და ჩვეულად, იუმორით სავსე ქომაგობას მიჰყვეს ხელი.

იუმორს კი მისტერ ბინიც ვერ დაუწუნებს ქართლელებს. ჯერ იყო და, მინდორზე მოსათელად გამოსულ „ტორპედოს" სულ აეკ-პაოკ-ის ძახილით შეეგებნენ, მერე კიდევ მატჩისას იონანიძე წაიქცა და დაფა-ზურნაზე შესრულებულმა სამგლოვიარო რექვიემმაც არ დააყოვნა. ეს კიდევ არაფერი, მთელი „ჯუნგლები" ფეხზე წამოდგა და მანამ იონანიძე იწვა, ზოგიერთი ჯუნგლთაგანი იმგვარს მიაკივლებდა-ხოლმე „მაცი ხვიტიაში" დაქირავებული მეგრელი მოტირალი ქალი შური გაფითრდებოდა.

იონანიძეზე, ეტყობა, გვარიანად იმოქმედა ტკივილმა და მაყურებლის ანგლობამ (ამაზე იტყვიან — ეტკინა და ეწყინაო) და აიწყვიტა, მაგრამ რა აიწყვიტა. მთლად ზურაბის ბენეფისს ვერ დავარქმევთ გორულ შეხვედრას, მაგრამ მატჩის საუკეთესო მოთამაშის წოდება იონანიძეზე ნამდვილად ალალია.

„დილა" ჩვეული სცენარით ატარებს წლევანდელ ჩემპიონატს — სეზონის შუაგულისთვის გორელებმა თითქმის გადაწყვიტეს საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის ამოცანა და არხეინობაში ხომ ბადალი არა ჰყავთ — დაიწყეს ქულების აღმა-დაღმა ფანტვა.

და მაინც, „დილას" მსგავსი ანგარიშით წაგებას არავინ ელოდა. ჯერ ერთი, „დილა" — „ტორპედო" ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა და მეორეც, „დილა" ტორპედოსთვის" ყოველთვის კერკეტ კაკლად ითვლებოდა (აკი პირველ წრეშიც 2:2 გაუგორა ქუთაისში).



ვახტანგ აკოფიანი და ზურაბ იონანიძე (№2) გიორგი მეგრელაძის (№10) თავურ გოლს შეჰყურებენ

სწორედ ამ მიზეზების გამო ვფიქრობდით, რომ დაძაბული შეხვედრის მომსწრე ვიქნებოდით. შეხვედრის დებიუტი ასეთიც იყო, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს „ტორპედომ" მარწუხები მოუჭირა მეტოქეს, შეტევას შეტევა მიაყოლა, კუთხურს — კუთხური და ბოლო სამ წუთში იონანიძემ და ორჯერ მეგრელაძემ სამი ბურთი გაუტანეს მასპინძლებს.

სასიხარულოა, რომ სამიდან ორი გოლი სტანდარტულებს (კუთხურს) მოჰყვა, ეს კი რა ხანია, იშვიათ ხილად იქცა ჩვენში და ბარაქალა ყიფიანს და მის შეგირდებს. კლასიკური თავურებით გატანილმა გოლებმა სწორედ ტორპედოელთა მწვრთნელის მიერ გატანილი გოლები გაგვახსენა. გუნდს ჩამოყოლილმა ქუთაისელმა მაყურებელმაც „ტორპედო" — ჩემპიონის" სკანდირებას „ყიფო, ყიფო" მიაყოლა და ამით მადლიერებაც გამოხატა მწვრთნელის მიმართ.

მეორე ნახევარი ისე დაიწყო, როგორც დამთავრდა პირველი — ქუთაისელებმა კომბინაცია გაითამაშეს, ჩხეტიანმა ოციოდე მეტრიდან „უცხუნა", სოლოლაშვილის კარის წინ მოგერიებული ფეზუაშვილმა უფრო მოაშორა კარს, მაგრამ ბურთი კვეტენაძესთან მიგორდა და კახამაც დაუცველ კარში მეოთხე გაიტანა.

ეს უკვე მოგებას ნიშნავდა. დარჩენილ ორმოცზე მეტ წუთში რაც არ უნდა ებრძოლა „დილას", რა თავიც არ უნდა გამოედო, ოთხი ბურთის გამქვითავი აღარ იყო. ოთხი ბურთის გატანას სხვა ჯიგარი სჭირდებოდა. ჯიგარი, რომელიც სამ ქულასთან ერთად აახიეს ქუთათურებმა მეტოქეს. ამას გორელი ქომაგიც მიხვდა და მწვრთნელებს ჩვეული იუმორით მოსთხოვა — გაიხადეთ და მინდორზე ფეხებით შედითო (კინოფილმი „ქვევრი" გახსოვთ?).

რაც შეეხებათ ქუთაისელ „ბალეჩიკებს" (ასე უწოდებენ თავს), მათმა მხიარულებამ და სიხარულმა ფრთა გაშალა, გორიჯვარს გადაუფრინა „ტორპედო" ჩემპიონიაო" — ყურს ჩააყვირა საფეხბურთო ღვთაებას. ვნახოთ, ვნახოთ, ჯერ მარტო ქომაგები ამბობენ ამაზე, დანარჩენი დრომ და მეთერთმეტე ეროვნულმა უნდა გვიჩვენოს. ვაჩიბერაძის გოლი კარგი დასასრულიდა იყო მატჩისა. ზაზამ თავისი ბურთი 67-ე წუთისთვის შეინახა და დარჩენილი დრო უკიდეგანო ფორმალობად აქცია.

ამ მეხუთე ბურთმა კი შემდეგი დააფიქსირა — ეს გახლავთ „დილას" უსასტიკესი მარცხი (ეროვნულ ჩემპიონატში მისი მონაწილეობის მანძილზე) გორში.

ეს გახლავთ ფაქტი „ტორპედოს" უდავო ძლიერებისა.

ეს გახლავთ...

მე არაფერს ვიძახი, ტორპედოელი „ბალეჩიკები" ამბობენ — „ტორპედო" ჩემპიონიო!"

სამტრედია
24 ოქტომბერი
16.06 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 14 000)

**იბერია 0:1 თსუ**

0:1 ადამია (89)
**იბერია:** გ. დოლიძე, კ. მეტრეველი, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე (დარსაძე 85), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ბიწაძე, ხურციძე, ნ. გიორგაძე, ჟვანია, ცომაია
**თსუ:** მერლანი, ნინუა, ჯობაძე (ადამია 33), სვანაძე, ფარქოსაძე (ბ. ნოზაძე 69), წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, ბოკერია, დ. არჩვაძე, ერაძე (ინწკირველი 74)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, გ. მიქაძე, გ. გვაზავა
**გაფრთხილება:** ნინუა (45), წუწუნავა (87), მუმლაძე (90)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

# გაარჩევენ მტყუან-მართალს?

**იუზა კაციტაძე** სამტრედიიდან

ამ მატჩის შედეგს არც ერთი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში „იბერია" ერთიორად ზრდიდა ზონის მოწინავე ოთხეულში მოხვედრის შანსს. სტუდენტებს კი უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, ვინაიდან მარცხი, ფაქტობრივად, უიმედოს ხდიდა იმავე კვარტეტში მათ დამკვიდრებას. თამაშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად დაძაბული და უშელავათო გამოდგა. ექვსი წუთის დაგვიანებით მისი დაწყება კი თსუ-ს სინდისზე იყო. სტუმრები სათადარიგო მსაჯის მიკითხვის შემდეგ გამობრძანდნენ გასახდელიდან. მეტოქეთა ოსტატობაზე კარგად მოგეხსენებათ. ბევრი არაფერი, მაგრამ რასაც ვერ დავუკარგავთ, იბრძოლეს, თავგამოდებით, ბოლომდე.

საწყის 15 წუთში ბურთმა მოედნის ცენტრში იტრიალა და საინტერესოც არაფერი მომხდარა. „იბერიის" უპირატესობა მერე და მერე გამოიკვეთა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მასპინძლები, მართალია, დიდი ძალებით, მაგრამ ერთობ ქაოტურად უტევდნენ. სტუდენტთა ტაქტიკაც ცხადი შეიქნა — მასირებული დაცვა, სწრაფი კონტრშეტევები. საბოლოო ჯამში სწორედ ამ ტაქტიკამ გაამართლა, ოღონდ ამაზე ცოტა მოგვიანებით, ჯერ მატჩის მსვლელობას მივყვეთ.

სამტრედიელებს თავდასხმაში უნიჭო თამაშის მიუხედავადაც უკვე პირველ ტაიმში ჰქონდათ გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. მე-18 წუთზე გეგეშიძის მიერ ცენტრიდან სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულს ივეჩიანმა თავური შეაგება, ოღონდ კარისკენ სუსტად გაგზავნა. მერე თსუელთა გოლკიპერმა იყოჩაღა. მერლანი ჯერ მუმლაძის ძლიერად დარტყმულს აღუდგა წინ, წუთში კი ზურაბ მეტრეველის უაღრესად სახიფათო დარტყმაც გააუვნებლა. 25-ე წუთზე სტუმრებმა საკონტრიერიშოდ მოიცალეს. ნინუამ წინ წუწუნავას გაუჭრა, მას კი სისწრაფე არ ეყო, თორემ დოლიძესთან პირისპირ დარჩენას აღარაფერი აკლდა. ისე, წუწუნავამ მაინც მოახერხა კარში დარტყმა, მაგრამ მცველი უშლიდა ხელს და არაზუსტი გამოუვიდა. 31-ე წუთზე ისევ მირზა მერლანმა იხსნა თავისიანები, ზურაბ მეტრეველის დარტყმული კუთხურზე გადააგდო. ტაიმის ბოლოს ზურაბის ძმას, კოტეს შეეძლო „იბერიას" დაწინაურება, მაგრამ თავურით ოდნავ გადააცილა ხარიხას.

თამაშის ხასიათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. სამტრედიელები ცდილობდნენ, წინ მიიწევდნენ, მაგრამ აშკარად არ სწყალობდათ ფორტუნა. მე-60 წუთზე ხმალაძე მარჯვენა ფლანგზე ბოკერიას და დეკანოსიძეს დაუსხლტდა, მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ მერლანი ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი აართვა. ოთხ წუთში გელა ლურსმანაშვილის ზუსტ გადაცემას მალხაზ ჯინჭარაძემ თხუთმეტი მეტრიდან ძლიერი დარტყმა მიაყოლა, ბურთმა ხარიხას წაჰკრა. კიდევ ორი ნაღდი საგოლე მომენტიც ვერ გამოიყენეს მასპინძლებმა. თსუ-ს კარის სიახლოვეს მყოფ კოტე მეტრეველს ერთხელაც აუცდა თავური. მერე იყო და მისსავე კარისკენ გაგზავნილს სულზე მიუსწრო ბექა ნოზაძემ და კუთხურზე მოიგერია.



ბურთისთვის ბრძოლა ბოლო წუთამდე: დავით არჩვაძე (წინ) და შოთა დარსაძე

ბოლოს კი... ბოლოს ის მოხდა, რაც ზემოთ ვთქვით. თსუ-ს ტაქტიკამ გაამართლა. მთელი თამაშის განმავლობაში ცდილობდნენ სტუდენტები მეტოქის კონტრიერიშზე დაჭერას და აკი აისრულეს ნატვრა. გიორგი ადამიამ იმარჯვა, ცენტრალურ ხაზთან ასულ სამტრედიელ მცველებს გაეპარა, დოლიძესთან პირისპირ დარჩა და არანაირი შანსი არ დაუტოვა, კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა. გაიხარეს სტუმრებმა...

წუთში საფინალო სასტვენიც გაისმა. გაისმა და, ვაი, არბიტრს. ოთარ გუნთაძეს „იბერიას" გაავებულ ქომაგთა რისხვა დაატყდა, ნუ იტყვით.. აგინეს, მარა რა აგინეს, ფიზიკური ანგარიშსწორებითაც ემუქრებოდნენ. ზუსტად ერთ საათს იყვნენ გამოკეტილნი ალყაშემორტყმულ სამსაჯოში თემიდის მსახურნი და სფფ-ის დელეგატი და კიდევ კარგი, რომ წესრიგის დამცველთა დახმარებით მშვიდობიანად გააღწიეს სტადიონიდან.

მაინც რას ჩიოდნენ (სულ ათიოდე კაცი) იბერიელთა ქომაგნი. რას და, მათი აზრით, თსუ-ს კარში ორ დაუნიშნავ 11-მეტრიანს. ჯერ პირველ ტაიმში გუნთაძემ ფარქოსაძის ხელით თამაშს წაუყრუა, მეორეში კი ნინუა საჯარიმოს შიგნით ეუხეშა კოტე მეტრეველს, მსაჯმა კი ჯარიმა გარეთ დადო. ძნელია დაზუსტებით რაიმეს თქმა, საჩოთირო ეპიზოდები იყო, გადამწყვეტი სიტყვა აქ არბიტრს ეკუთვნოდა.

იბერიელები ამ თამაშს ვიდეოფირზე ილებდნენ და, როგორც სამტრედიელთა თავკაცმა სოსო ფრუიძემ გვითხრა, ამ ფირს აუცილებლად ჩაიტანენ ფედერაციაში მტყუან-მართლის გასარჩევად, ოფიციალურ პროტესტს კი აზრი არა აქვსო. ვერ გეტყვით, დაუმტკიცდება თუ არა არბიტრს შეცდომები. ისე, იცით, ოთარ გუნთაძემ ახლა მოიხადა სასჯელი და ესლა აკლდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოგიკური შედეგი

ბოლნისი
23 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
1000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:0 ვიტ ჯორჯია**

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 71), მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 44), სოლოღაშვილი, თ. სამხარაძე, მოსეშვილი (ლ. გაგუა 82), დ. გოდერძიშვილი, დათუაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, კაპანაძე, ტარუღაშვილი
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ბარქაია, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ზ. გვაზავა, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, რ. გოცირიძე (კოტორაშვილი 64), გიორგი ქორიძე (ა. ბოკერია 78)
*სათადარიგონი:* ჭურაძე; დ. დოლიძე, მაზიაშვილი, დილმელაშვილი, ვ. გოჩაშვილი
გაფრთხილება: მუჯირი (32), კ. გოდერძიშვილი (32), გვაზავა (54), ქორიძე (62), მოსეშვილი (70)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი);
სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან

ბრძოლა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, წესების ფარგლებში მოქცეული ხისტი თამაში, ემოციები და ვნებათაღელვა, რის შემდეგაც საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა. შაბათს „თემურ სტეფანიაზე" სხვა ანგარიში უფრო ალოგიკური იქნებოდა, ვიდრე კანონზომიერება.

ეტყობა, „ვიტ ჯორჯიას" კარგად შეუსწავლია ბოლნისელთა თამაშის საშინაო მანერა. პირველ ტაიმში სტუმრებმა საიმედოდ გადაკეტეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები. იქაურობას მოშორებული ბოლნისელი ფორვარდები სტუმართა კართან სახიფათოს ვერაფერს ქმნიდნენ. ამასთანავე „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ თავდაცვით როდი შემოიფარგლა. ამიტომაც იყო მოსეშვილმა მხოლოდ ერთხელ რომ მოახერხა კარში ძლიერად დარტყმა, მაგრამ თავდაჯერებული და საიმედოდ მოთამაშე მამარდაშვილი ჩინებულად გაისარჯა.

სწორად მოიქცა სერგო კოტრიკაძე, „სიონის" ყველაზე სახიფათო მოთამაშეებს პერსონალური მეურვეები რომ მიუჩინა. დათუაძეს, დავით გოდერძიშვილსა და მოსეშვილს, შესაბამისად ნოზაძე, თოდუა და საჯაია თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ.

„სიონი" რატომღაც საჯარიმოში მაღალ ჩაწოდებებს ირჩევდა, სადაც „ვიტ ჯორჯიას" სრული უპირატესობა ჰქონდა. პირველი ტაიმიც ისე მიილია, საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევრის დასაწყისი თითქოს კარგს არაფერს უქადდა თბილისელებს, მაგრამ „სიონის" აფეთქებას სტუმართა მეკარე მამარდაშვილმა, ლიბერო ჭანკოტაძემ და სხვებმაც გაუძლეს.

მეკარემ დავით სოლოღაშვილის დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია კუთხუთზე, ჭანკოტაძემ კი თითქმის ყველა სახიფათო გარღვევა საიმედოდ დააზღვია. მერე დავით გოდერძიშვილმა მოახვედრა ბურთი ხარიხას და ბოლნისელებიც შედარებით მოეშვნენ.

„ვიტ ჯორჯიამ" ისევ გადაკეტა საკუთარი საჯარიმოს მისადგომები, ჰაერში ისევ სტუმართა დაცვა გაბატონდა.

მასპინძლები თავს არ უტყდებოდნენ, ისევ შეტევა ეწადათ, მაგრამ გოლი კინაღამ საკუთარ კარში მიიღეს. „ვიტ ჯორჯია" ლამის მთელი მატჩი უცდიდა იმ ერთ მომენტს, ფეხბურთში ასპროცენტიანს რომ ეძახიან. კოტორაშვილმა ქორიძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. მარტო მეკარე და თავდამსხმელი და არავინ სხვა. როგორც ადრე, ქორიძემ ახლაც ვერ გაიტანა. ვერ დაარღვია მისთვის და „ვიტ ჯორჯიასთვის" უსიამოვნო ტრადიცია.

ბოლოსკენ ცხადი იყო, „სიონი" ვერ გაიტანდა, ვერ დაჯაბნიდნენ მასპინძლები ჯანმაგარ სტუმრებს. შეტევაში ვერც ვეტერინარები მძლავრობდნენ და მსაჯ ალექსანდრე შილაკაძის საფინალო სასტვენმა, რომელიც არბიტრისთვის საიუბილეო, მეასე გახლდათ, პირველ ჯგუფში, სტუმარ-მასპინძელს ქულა თანაბრად გაუნაწილა.



თემურ ჩლაიძე (№1) თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან რატი ალექსიძის დარტყმას იგერიებს

ნუგზარ კაკილაშვილის ფოტო

# ორში ხუთი

თბილისი
24 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:1 არსენალი**

1:0 ალექსიძე (22), 1:1 კაკაშვილი (40)
ალექსიძემ ვერ გაიტანა პენალტი (61, მეკარე)
დინამო: დონდტი, დიდავა, კობიაშვილი (წიტაიშვილი 58), ა. სახვაძე, ალექსიძე, ვაშაკიძე, გუჩუა, სიჭინავა, გ. შენგელია (ჯინჭარაძე 76), ანჩაბაძე, აშვეთია
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე, შაშიაშვილი
არსენალი: ჩლაიძე, ყუფარაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, არქანია (ცოტაძე 69), ვახტანგ გაგუა, ხოსროშვილი, თარგამაძე (ჩალაძე 70), გონჩაროვი (სულაძე 75), კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; კვირკველია, წონკოლაური, რობაქიძე
გაფრთხილება: ანჩაბაძე (90)
გაძევება: ტარიელაშვილი (61)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

კობა ინასარიძე

თბილისობას „დინამომ" მორიგი ქულები დაკარგა თანაქალაქელი უფულო და მეტად გაჭირვებულ არმიელებთან, ჭაბუკ ბულგარელ ფეხბურთელთა თვალწინ. ქომაგნი უკვე შიშობენ კიდეც, ემანდ „დინამომ" ჩემპიონობა არ დაკარგოსო — კონკურენტ „ტორპედოს" ხომ ჯერ მხოლოდ ორადორი ქულა აქვს დაკარგული და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე განახევრებული ქულებით ჩემპიონებთან სოლიდური ფორა შეექნება.

ეროვნულზე მატჩი ახალდაწყებული გახლდათ, არენაზე სავარჯიშო სამოსში გამოწყობილი ბულგარელი 16-წლამდელები რომ გამოჩნდნენ. თავიდან კი გაიკვირვეს, მინდორი დაკავებული რომ დახვდათ, მაგრამ, ეტყობა, მაშინვე უთხრეს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩი მიმდინარეობს და ცოტათი მოცდა მოგიწევთო. სტუმრებსაც რა გზა ჰქონდათ, სუსხიან დღეს სტადიონის აღმოსავლეთ, მზიან ტრიბუნაზე მოკალათდნენ და ჩვენი დაქცეული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს უცქირეს, თუმც ბოლომდე არა, დამთავრებამდე 15 წუთით ადრე წამოიშალნენ და მერელა იკითხეს, „სკოლკა, სკოლკაო". ანგარიში აინტერესებდათ.

ისე კი, ყველაზე დრამატული სწორედ ბოლო 15 წუთი გამოდგა. „დინამო" დონდტის გარდა მეტოქის ნახევარზე იყო დასახლებული, კაცნაკლული „არსენალი" კი — მთელი გუნდით თავის საჯარიმოს მიჯაჭვული და მისთვის ერთადერთი ხსნა ბურთის უმისამართოდ, რაც შეიძლება შორს მოგერიება გახლდათ.

ყველაფერი მსაჯის მიერ ტარიელაშვილის მინდვრიდან გაძევებისა და „არსენალის" კარში დანიშნული პენალტის შემდეგ მოხდა. დინამოელმა ალექსიძემ მეორედ ვეღარ მოახერხა, პენალტების მოგერიებით სახელდაგდებული ჩალაძისთვის გაეტანა. „დინამოს" კაპიტანს არსენალისამ აჯობა. და ამის მერე დაიწყო. მერე დონდტსაც აღარ ჰქონია საქმე, ბურთი აღარც მიჰგორებია, დარტყმას ვინღა ჩივის.

არმიელთა სანაქებოდ კი სულ ერთი სიტყვაც იკმარებს — ყოჩაღ! მოინდომეს, ათი კაცითაც არ შეეპუვნენ ჩვენს კვალობაზე მრისხანე მეტოქეს და წლეულს უკვე ხუთი ქულა დააკარგვინეს.

თავიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამო" უტევდა, „არსენალს" ცენტრთან მხოლოდ გონჩაროვი დაეტოვებინა და კონტრშეტევებით ცდილობდა დონდტის კართან მიახლოებას.

გოლი კი 22-ე წუთზე ალექსიძემ მიითვალა, საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან ჩლაიძეს რომ დაბალ კუთხეში დაურტყა. მაშინ არიქა, „არსენალის" კარი ამოივსებაო, ეჭვი კი იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ტაიმის დამთავრებას ხუთი წუთი ეკლდა, როცა კაკაშვილმა ტარიელაშვილს გარჯა დაუფასა, კობიაშვილის თავის ადგილზე დაგვიანებით ისარგებლა და დონდტს შორეულ კუთხეში გაუტანა.

გათანაბრდა ანგარიში, „დინამომ" ერთი-ორჯერაც შეუტია და ანიაშვილმაც ტაიმის დამთავრებისა დასტვინა.

მატჩის განახლებიდან ექვს წუთში კი გაგუამ აანერვიულა დინამოელები. ახლოდან ისე ძლიერად დაურტყა დონდტს, გ[illegible] გარდაუვალი ჩანდა, თუმცა მეკარემ იყოჩაღა და ბუროს მუშტები შეაგება.

კიდევ ათი წუთი მიილია და ის მოხდა, რაზეც ზემოთ გითხარით. შენგელიამ მარჯვენა ფლანგზე აშვეთიას კედელი გაუთამაშა, მერე საჯარიმოში ჩაჰკიდა და მინდორზე ფეხმოუკიდებელი ყუფარაძე ბურთს ხელით შეეხო. ანიაშვილმა თითო პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა...

მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ჩლაიძემ ერთხელაც ივაჟკაცა, წიტაიშვილს მეტრნახევრიდან ვარდნაში დარტყმული სასწაულებრივად აუღო.



გიორგი ჭანკოტაძე (მარცხნივ) და დავით სოლოღაშვილი

# ფრე პრეზიდენტის ჩარევით

თბილისი
23 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 ხობი**

მერანი: ნაჭყებია, ლ. ამბიძე (ჭინჭარაული 83), პ. ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, ხარებავა, ბაჯელიძე (როსტიაშვილი 72), დავითაშვილი, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დევიძე, კარიაული
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ცქიფურიშვილი, ივანიშვილი, კოშკაძე, ჩანადირი
ხობი: ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე (დანელია 72), ლ. გვაზავა, ბუკია, ჭიჭინაძე, თორია
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე, ჯამბურია, გედენიძე, ვ. ჩიტაია
გაძევება: თორია (81)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი), ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა), ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

ვანო ოქროპირიძე

„მერანი" — „ხობის" მატჩი, როგორც იცით, ლამის ჩაიშალა. „სარბიელის" მკითხველისთვის ამის მიზეზიც ცნობილია, თბილისური კლუბის ხელმძღვანელობამ ფედერაციას შეუთვალა, უსამართლოდ დასჯილ პაატა ლურსმანაშვილს თამაშის უფლებას თუ მისცემთ, ჩემპიონატს მივატოვებთო. საშეჯიბრო კომიტეტი უარზე იდგა, თუმცა საქმეში ფეხბურთის ფედერაციის გამოჯანმრთელებული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჩაერივნენ და ყველაფერი მოგვარდა. ერთი სიტყვით, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და „მერანის" ძირითად შემადგენლობაში პაატა ლურსმანაშვილიც ვიხილეთ.

მატჩის წინ არეულობა იყო ხობის „კოლხეთშიც". ამ გუნდმა მიმდინარე სეზონში მესამედ გამოიცვალა მწვრთნელი. ფრიდონ გოცირიძე „კოლხეთს" თამაშამდე ორი დღით ადრე, ხუთშაბათს დაუბრუნდა, რამაც ფეხბურთელები ძალიან გაახარა. ახლა ჩვენ ვიცითო, უთქვამთ ხობელებს და თბილისს „მერანის" დასამარცხებლად სწვევიან.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ, უკმაყოფილონი მაინც არ უნდა იყვნენ. პირიქით, ხობელებს ეს შედეგი უდავოდ აქტივში უნდა ჩაეთვალოთ, აი, „მერანისა" კი რა მოგახსენოთ. თბილისელებმა მორიგი ქულები დაკარგეს, ქულები, რომლებიც „მერანს" ჰაერივით სჭირდებოდა. შედეგად კი გუნდმა სატურნირო მდგომარეობა ძალიან გაირთულა. მერანელები ოთხეულში მოხვედრის შანსს ახლაც კი ინარჩუნებენ, მაგრამ ამაში კალენდარი ნაკლებად უწყობთ ხელს.

თამაში, როგორც საქართველოს ჩემპიონატს სჩვევია, უინტერესო გამოდგა. დაბალი ტემპი, ბურთის უაზრო და უთავბოლო გორება...

პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთს თუ არ ჩავთვლით, მატჩი მერანელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა პირველი რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს. 33-ე წუთზე მასპინძელთა კარში დანიშნული ჯარიმა კვეკვესკირმა შეასრულა. ბურთი ცოცხალ კედელში მდგომ მცველს მოხვდა და მიმართულება იცვალა. ნაჭყეპიამ რეაგირება და ბურთის მოგერიება მოასწრო, დამატებაზე კი გოგიტაძემ ვერ ივარგა, ორიოდე მეტრიდან ბურთი ცარიელ კარს ააცილა. მართალია, მერანელები სტუმრებს უტევდნენ, რამდენჯერმე სახიფათოდაც დაარტყეს, მაგრამ ასპროცენტიანი შანსი 59-ე წუთზეღა მიეცათ, თუმცა დავითაშვილს მეკარემ აჯობა. ავჭალელები 66-ე წუთზეც გაწბილდნენ. დევიძის პასით ბაბუაძესთან პირისპირ დარჩენილმა ბაჯელიძემ დარტყმას საშველი არ დააყენა. ამის შემდეგ თორიამ ითამაშა კარგად, როცა მცველი მოატყუა და ნაჭყებიასთან პირისპირაც დარჩა — ისევ მეკარემ იმარჯვა. ამ მომენტიდან წუთის შემდეგ კი ორდინიძემ თორიას სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აპატია და მინდორი დაატოვებინა, რამაც მასპინძლებს სტიმული მისცა. მათ შეტევა გააძლიერეს, თუმცა შაბათს „მერანის" მწვრთნელმა თემურ ჩხაიძემ მეტოქის ტაქტიკას გასაღები ვერ მოუძებნა. ბოლო წუთზე ერთი კი გაიბრძოლეს ტრანსპორტელებმა, მაგრამ ბაბუაძემ ჩინებულად ითამაშა, როცა დევიძის ეშმაკურად დარტყმული მარჯვენა დაბალი კუთხიდან გამოაძრო. მეტის გაკეთება „მერანმა" ვერ შეძლო. მასპინძლებს ვერც შეცვლაზე შესულმა როსტიაშვილმა უშველათ, რომლის მინდორზე შეყვანა, ალბათ, უფრო ადრეც შეიძლებოდა.

# ზოგი წინ და ზოგი უკან

წყალტუბო
23 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:3 ლოკომოტივი**

0:1, 0:2 ქებაძე (29, 38), ჩიხრაძე (56)
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე, ლ. ქობულაძე (ზურაბიანი 46), სადილიანი, ვოსკანოვი, ჭყონია, სუხიაშვილი (ძაგნიძე 71), ი. ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი, კოხრეიძე (ფხაკაძე 62), ღონღაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; კოპალიანი, ნებიერიძე, გაბელაია
**ლოკომოტივი:** ჯანელიძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, კ. მელქაძე (ბარნოვი 69), გ. ჩიხრაძე, მ. ქობულაძე, შ. ჩომახიძე (ბაქრაძე 57), კაციაშვილი, ქებაძე, რუსია (შავგულიძე 76), ამაშუკელი
*სათადარიგონი:* ასლანაძე, დოლაბერიძე; იაგორაშვილი, გველესიანი
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** რ. ჩილაჩავა

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

„ლოკომოტივი" აღარც ხუმრობს. თემურ მახარაძის ხელში აგერ ზედიზედ მესამედაც იმარჯვა. მოიგო დამსახურებულად, დამაჯერებლად. რის დაშლა, რა დაშლა?! არ დაიჯეროთ. „ლოკომოტივი" აშკარად აღმავალ გზაზეა. „26 მაისის" საპატიო სტუმართა ლოჟა უნდა გენახათ. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ლამის მთელი შემადგენლობით აქ შეყრილიყო და აქტიურად უჭერდა მხარს საკუთარ გუნდს. ტაიმებს შორის შესვენება კი სულ სიცილ-მასხრობაში გაატარა ჩვენმა ლიანდაგთ უფროსობამ. რატომაც არა, „ლოკომოტივი" ხომ უკვე პირველი 45 წუთის შემდეგ ორი ბურთით იყო დაწინაურებული.

არადა, პირველი საგოლე მომენტი ამ მატჩში სწორედ მასპინძლებმა შექმნეს. მე-7 წუთი იყო, კოხრეიძე გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ საოცრად ზანტად გაისარჯა და ჯანელიძემ იოლად აართვა ბურთი. რკინიგზელებს დაცვაში ამის მეტი შეცდომა აღარც დაუშვიათ, წყალტუბოელთა ეულ ფორვარდს, ძოძუაშვილს ფხიზლად დარაჯობდნენ და, საერთოდ, საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი საჯარიმოს მისადგომები. სტუმართა შუა და წინახაზელები კი ხსენებული ეპიზოდის შემდეგ ერთობ შეწყობილად ამოქმედდნენ და თამაშმაც „სამგურალის" ნახევარზე გადაინაცვლა.

რკინიგზელთაგან პირველმა კაციაშვილმა შეაწუხა მასპინძლები. გენადიმ საჯარიმოს გარედან ძლიერად და სახიფათოდ დაარტყა, ფრანგიშვილის ფეხიდან ბურთი კუთხურზე გადავარდა. სამ წუთში იმავე კაციაშვილმა მარცხნიდან კარგად ჩააწოდა მიქაძეს, რომლის თავურს ადგილზე დაუხვდა ბობოხიძე. 23-ე წუთზე სტუმრებმა გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან. ქებაძემ ოთხიოდე მეტრიდან ააცილა კარს. სამაგიეროდ ლევანმა 15 წუთში დუბლით გამოისყიდა თავისი ეს შეცდომა.

პირველი გოლი ასე გავიდა. მარცხენა ფლანგზე ლევან ქობულაძე კაციაშვილს ეუხეშა. ჯარიმა. კოტე მელქაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას ქებაძემ დაასწრო და ახლოდან თავურით ბურთი მიზანში მოახვედრა. მეორე კი ქებაძის ინდივიდუალური ოსტატობის ნაყოფი იყო. ლევანი ჯერ სეხნია წყალტუბოელ მცველს, ქობულაძეს დაუსხლტდა მარდად, მერე წინ გამოსულ გოლკიპერსაც იოლად აუარა გვერდი და ცარიელ კარში გატანა, რაღა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა.

სტუმრები მეორე ტაიმშიც დომინირებდნენ მოედანზე, თამაში მათი კარნახით მიმდინარეობდა. „ლოკომოტივი" გაშლილად, სწრაფად უტევდა და აკი გაასამა კიდევაც. რუსია გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, გვერდიდან შევიდა საჯარიმოში და კარის გასწვრივ ჩააწოდა, ბურთმა ქებაძემდე კი მიაღწია, მაგრამ კარში დარტყმას აზრი არ ჰქონდა, მცველები ეფარებოდნენ, ამიტომაც ლევანმა უკან პასი არჩია, საჯარიმოს კუთხეში ჩიხრაძეს დაუგორა და, მოგეცათ ლხენა, რკინიგზელთა კაპიტანმა ულამაზესი გოლი გაიტანა, შეუჩერებლივ ძლიერი დარტყმით ბურთი კარის შორეულ მაღალ კუთხეში გაგზავნა. წყალტუბოელთა მეკარე არც განძრეულა.

ამის შემდეგ „სამგურალმა" ის აკეთა, რაც მეტოქემ აცალა. „ლოკომოტივის" საჯარიმომდე კი, ბატონო, ხშირად ჩადიოდნენ მასპინძლები, მაგრამ მერე ველარ ახერხებდნენ შეტევის გაგრძელებას. სულ ეს იყო. მასპინძლებს ამ მატჩში მეტის თავი არ ჰქონდათ.

ძალიანაც ცუდი. „სამგურალმა" ამ წაგებით (ზედიზედ მეოთხე გახლდათ) პრაქტიკულად დაკარგა პირველ ოთხეულში მოხვედრის შანსი, თუმცა ქულები ყველგან საჭიროა და საგაზაფხულო მარაგად ახლანდელ განახევრებულს წყალტუბოელები, ალბათ, არ იკმარებენ.

სათქმელად ისღა დაგვრჩა, რომ „სამგურალის" ხელმძღვანელობამ დავით პეტრიაშვილი დაითხოვა გუნდიდან. კიდევ ერთი. ილო ჯავახაძე საკუთარი ნებით წამოვიდა წყალტუბოდან. „ლოკომოტივთან" რომ „სამგურალს" ახალშემატებულმა ლადო ჭყონიამ ითამაშა, უკვე იცით.



„სამგურალის" მეკარე ოთარ ბობოხიძე და ლევან ქებაძე საჰაერო ბრძოლისას

# შარო, საიდან მოდიხარ?!



ეს-ესაა, ბურთმა „თბილისის" კარი მოინახულა და გარეთ გამობრუნდა

ბათუმი
24 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
1 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 2:0 თბილისი**

1:0 აფხაზავა (65), 2:0 მაჭუტაძე (76)
მელქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (69, მეკარე)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, მინდაძე (რომანაძე 46), ხუჯაძე, კობიძე, გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტულუში (თედორაძე 84), გადელია (აფხაზავა 46)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; სიხარულიძე, ი. მახარაძე, ქაცარავა
**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, კვარაცხელია, ლ. ბურდული, ქემოკლიძე, ვ. გაგუა, ლ. მელქაძე (გ. მიქაძე 71)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ტყებუჩავა, კანდელაკი, ი. შენგელია, ნორაკიძე, ისიანი
**გაფრთხილება:** გაგუა (3), ზამთარაძე (48), მ. მახარაძე (68), მიქაძე (72), რუხაძე (78), პაპიძე (83), არჩვაძე (89)
**გაძევება:** მიქაძე (78)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

წინა ტურში მარად ჩემპიონთან სეზონის პირველი მარცხის შემდეგ „ბათუმს" უცილობლად მოგება მართებდა. თანაც მეტოქედ ხომ „დინამოს" უმცროსი ძმა „თბილისი" ჰყავდა და წარმატება ერთგვარ რევანშადაც ჩაითვლებოდა.

თავის მხრივ „თბილისმა" ბოლნისელებთან შინ მარცხით აშკარად გაიუარესა სიტუაცია და თუ ოთხეულში მოხვედრა სურდა, მასაც უნდა ემარჯვნა ამ მატჩში.

ამის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ეგ არის და დიდი ბრძოლა იქნება ამ თბილისობა დღეს ბათუმშიო. თქვენც ნუ მომიკვდებით, არაფერი მსგავსი არ ყოფილა. პირველი წუთებიდანვე ჩვენი ფეხბურთისთვის ნაცნობი სურათი გადაიშალა „დინამოზე" მოსულ ქომაგთ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, რომელიც დიდი მოსაწყენი რამ გამოდგა. მეტოქეთა ალმა-დალმა ბურთის გორების ფონზე თვალსაჩინოს ვერაფერს შეამჩნევდით. მომენტის მსგავსი ეპიზოდი ხომ თითებზე ჩამოსათვლელი შეიქმნა და გონებას თუ დავძაბავ, ასეთს სამად სამს გავიხსენებ. აქედან ორი, ბოლოს და ბოლოს უკრაინულ „ნივადან" გამოსყიდულ შალვა ხუჯაძის შორეული დარტყმების შედეგად იშვა. ხოლო მესამე ტაიმის ბოლოს ვალერი გაგუას სახიფათო ჯარიმას მოჰყვა, რომელმაც ტოგონიძის კარის ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

შესვენების შემდეგ „ბათუმი" კარნევალეს მიერ შეფუცხუნებული ჩანდა და აფხაზავას გამოჩენამაც თამაში გაამწვავა. შალვას გამოსვლისთანავე შეეძლო გატანა, მაგრამ ხუჯაძის კარგ პასს, ოდენ უხეირო დარტყმა შეაგება. ამას ტულუშის მზაკვრული ჯარიმა მოჰყვა, რომელიც ჩიხრაძემ ძლივსძლივობით მოიგერია.

ამის შემდეგ თამაში ჩვეულ, წყნარ კალაპოტში ჩაჯდა და სწორედ მაშინ გავიდა გოლი. ზღვისპირელთა წვალებას მაინც აფხაზავამ მოუღო ბოლო. გოლი კი საკმაოდ ლამაზი გამოდგა. მაჭუტაძის გონივრული გადაცემის შემდეგ აფხაზავამ წინ გამოსულ მეკარეს ეფექტურად გადაუგდო ბურთი თავზე.

ამ დუეტმა ათიოდ წუთში მეორე გოლიც გამოაცხო. ამჯერად ასისტენტობა აფხაზავამ იკისრა, ხოლო მაჭუტაძემ მახვილი კუთხიდან ძელის დახმარებით გააორა.

ამ გოლებს შორის კი დიდი ამბები დატრიალდა. პირველმა გაშვებულმა ბურთმა სტუმრები გამოაფხიზლა და ამას მალე კინაღამ შედეგიც მოჰყვა. სრულიად უწყინარ სიტუაციაში კობიძე გაგუასთან ჭიდილში შემთხვევით ბურთს შეეხო და კარგა შორსაც მოისროლა. ჩემი აზრით, განზრახ ხელით თამაში აქ არც ყოფილა, მაგრამ ასკაროღლიმ სხვაგვარად განსაჯა და კინაღამ შარშიც ჩავარდა. მისი ბედი, რომ ტოგონიძემ ლევან მელქაძეს პენალტი არ გაატანინა, თორემ მორიგი „სკანდალე" მერე გენახათ.

გაავებულმა მაყურებელმა ტოგონიძის ვაჟკაცობით დიდად გაიხარა, მაგრამ ნაწილმა მსაჯის ქმედება ვერ აიტანა, დამცავ ლობეს მიაწყდა და ასკაროღლის კარგა გვარიანი ლანძღვა-გინების აკომპონიმენტით ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყო. მსაჯმაც რამდენიმე წუთით თამაში შეწყვიტა და მხოლოდ სიტუაციის მიწყნარების შემდეგ გააგრძელა.

პენალტის გაფუჭებამ დამთრგუნველად იმოქმედა მელქაძეზე. ამ ბიჭმა წინა თამაშში მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ ბათუმში მაინც შეძლო თამაში. აი, ახლა ამას სულიერი სტრესიც დაემატა და ძნელი სათქმელია, როდის გამოვა აქედან.

შეცვლაზე შესულმა გიორგი მიქაძემ კი მხოლოდ შვიდი წუთი ითამაშა. ჯერ იყო და გამოსვლისთანავე გაფრთხილება მიიღო. მერე კი თავის კაპიტანს რუხაძეს აუხირდა და შეხლა-შემოხლაში ასკაროღლიმ წითელიც აუფრიალა.

ამის შემდეგ რაიმე ბრძოლაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, „ბათუმმა" აუღელვებლად მიიყვანა შეხვედრა მოგებამდე, მაგრამ ზღვისპირელთა თამაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კარნევალეს რაღაც ზომები რომ აქვს მისაღები, ეს უდავოა, თორემ ასეთი თამაშით, ადვილი შესაძლებელია, „ბათუმი" ოთხეულს მიღმა დარჩეს.

# სიხარული და სანაძლეო სამი წლის შემდეგ

რუსთავი
23 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:1 კოლხეთი**

0:1 ღალანიძე (82)
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, მიშველიძე, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ა. ბუკია (ბერიძე 73), კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიტაური, ბაჩილავა
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, დავითნიძე, ანჯაფარიძე (ე. გვასალია 57), შალამბერიძე, ღალანიძე, კიკლიაშვილი (ბულუხია 62), ტრაპაიძე, ხუჭუა (კედელაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ბურკვაძე, ჭოხონელიძე, ჯღარკავა
**გაფრთხილება:** ღალანიძე (40), ბუკია (43), შალამბერიძე (77), ბექაური (77), ბერიძე (84)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. მარლიშვილი (ქარელი); ო. ხეცაძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან

გული უგრძნობდა თუ რა იყო, ფაქტია: ფოთის „კოლხეთის" აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა დარწმუნებული იყო, რომ სტუმრები შაბათის მატჩს მოიგებდნენ. ამიტომაც იყო, შეხვედრის დაწყების წინ რომ სთხოვა ფეხბურთელებს, მთელი სულით და გულით ითამაშეთ, გული მიგრძნობს უეჭველად გავიმარჯვებთო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ბატონ ვახოს აუხდა წინასწარმეტყველება. ცხადია, „გორდას" მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილიც ასევე დამოძღვრავდა თავის შეგირდებს. თუმცა უფრო იღბლიანნი ფოთელები აღმოჩნდნენ. თავიდანვე გეტყვით: რომ არა ზაველ ღალანიძის ჩვეულად შორიდან გასროლილი ბურთი და რუსთაველთა მეკარის, მამუკა ქორიძის დაგვიანებული რეაქცია, რომლის შედეგადაც „ფოლადზე" კურიოზული ბურთი გავიდა, არც ერთი გუნდი იყო გამტანი და არც მეორე. როგორც ბუქმეიკერები იტყვიან ხოლმე, სუფთა 0:0-ის თამაში იყო და სწორედ აქეთკენ მიდიოდა ყოველივე.

ნათქვამია, ერთხელ ცარიელი თოფიც ისვრისო. ცარიელისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ღალანიძემ მართლაც რომ უძლიერესად დარტყმული ბურთი უცნაური ტრაექტორიით გაგზავნა. ალბათ, თავად ზაველიც არ ელოდა, რომ ბურთი ბადეში აღმოჩნდებოდა. გოლით გახარებულმა ნიგერიელებს მიბაძა და თანაგუნდელთა გარემოცვაში ზანგურად წაუცეკვა.

...1996 წლის შემოდგომა იდგა. რუსთავში „გორდა" ფოთის „კოლხეთს" მასპინძლობდა. პირველი ნახევრის შემდეგ მასპინძლები ზღვისპირელებს 2:0 უგებდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული. მაშინ ფოთელთა რიგებში გიორგი დარასელია თამაშობდა. „ტუკუმაც" აიწყვიტა, თავად ხომ ჰეთ-თრიქი შეასრულა, ერთიც თანაგუნდელს გაატანინა და „კოლხეთს" 4:2 მოაგებინა. სამი წლის წინანდელი მატჩი შემთხვევით არ მიხსენებია. ფოთელებს მას მერე რუსთავში მოგების სიტკბო არ ეგემნათ. ამ გუნდების შეხვედრები ან ფრედ მთავრდებოდა, ანაც „გორდა" რჩებოდა გამარჯვებული. ჰოდა, ახლა „კოლხეთმა" ნავსი გატეხა. მართალია, ღალანიძის კინკილა გოლით, მაგრამ მაინც მოიგო.

...შაბათს „ფოლადზე" შეკრებილმა ხუთასიოდე მაყურებელმა დებიუტი იხილა, ოღონდ... ფოთელთა რიგებში წლეულს პირველად ითამაშა სომხურ „ერევანში" განათხოვრებულმა და გუნდში მობრუნებულმა ელდარ გვასალიამ. სტუმართა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ თავდამსხმელი 57-ე წუთზე შეუშვა მინდორზე და დაცვა-ნახევარდაცვის გაძლიერება დაავალა, უფრო სწორად, სახიფათოდ მოთამაშე ალექსანდრე კიტეიშვილის მეურვეობა დააკისრა.

რაც შეეხება კიტეიშვილს, იგი მასპინძელთა შორის ყველაზე გამორჩეული გახლდათ, მაგრამ ნამდვილად არ უმართლებდა. ერთხელ მამუკა გვასალიასთან პირისპირ დარჩენილმა ფორვარდმა უძლიერესად გაისროლა, ვეტერანმა მეკარემ კი ბურთი კუთხურზე გადააგდო.

თამაშის მიწურულს არბიტრ სერგო კვარაცხელიას ყვითელი ბარათებით მოუხდა ფეხბურთელთა დაშოშმინება. ეს მაშინ, როცა რუსთაველი პავლე ბექაური და კოლხი ჯონი შალამბერიძე ჯერ შელაპარაკდნენ, მერე კი ერთმანეთისკენაც გაიწიეს. მოშულარნი მალევე შერიგდნენ და ერთურთს ხელიც ჩამოართვეს.

გამარჯვებამ ძალიან გაახარა კოლხი დათო ხუჭუა. მას მეგობართან სანაძლეო დაუდია, თუ მოვიგეთო...

# ინგლისი

XII ტური

**ჩელსი 2:3 არსენალი**

1:0 ფლო (38), 2:0 პეტრესკუ (52), 2:1, 2:2, 2:3 კანუ (75, 83, 90)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი, ბაბაიარო, პეტრესკუ, უაიზი, დეშამპი, ლე სო (პოიეტი 53), სატონი, ფლო (ძოლა 70)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, პარლოუ, ლიუნგბერგი (ანრი 62), პეტი (ვივასი 64), ოვერმარსი (აპსონი 90), კანუ, შუკერი

გაფრთხილება: ლე სო, უაიზი, დეშამპი, სატონი, დიქსონი, შუკერი, პეტი, ვივასი

მსაჯი: უილკი

**შეფილდი 0:0 ქოვენთრი**

შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, ჰინჩკლიფი (ბრისკო 61), იონკი, ტომი, უოლკერი, სონერი, ბუტი (სიბონი 80), რუდი, ალექსანდერსონი, დე ბილდე

ქოვენთრი: ჰედმანი, უილიამსი, შოუ, რობი კინი, მაკალისტერი, მ. ჰაჯი, ტელფერი, პალმერი, ფროგატი, ჩიპო (რუსელი 17), ჰალი

გაფრთხილება: აზერტონი, უილიამსი

მსაჯი: რილი

**ასტონ ვილა 1:1 უიმბლდონი**

0:1 ერლი (26), 1:1 დაბლინი (35)

ასტონ ვილა: ჯეიმსი, საუთგეიტი, ბოატენგი (მერსონი 75), ტეილორი, დაბლინი, ტომპსონი (გრაიები 78), ბარი, ჰენდრი, კარბონე, დილანი, კალდერვუდი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ტეტჩერი, კორტი, ერლი, ჰარტსონი (ანდრესენი 62), იუელი, გეილი (ლებერნი 82), ანდერსენი, პრეიდარსონი

გაფრთხილება: ბარი

მსაჯი: რენი

**ბრედფორდი 3:1 ლესტერი**

1:0 ბლეიქი (12), 1:1 იმპი (21), 2:1 მილსი (40), 3:1 რედფერნი (66)

ბრედფორდი: უოლში, ჰალი, ვეზეროლი, ობრაიენი, შარპი, უინდასი, მაკკოლი, რედფერნი, სონდერსი (ლოურენსი 84), მილსი, ბლეიქი

ლესტერი: ფლაუერსი, გაპი, ჯილკრისტი, სინკლერი, ელიოტი, იმპი, ლენონი, იზეტი, სევიჯი (მარშალი 55), კოტი (უოლში 71), ჰესკი

გაფრთხილება: სინკლერი

მსაჯი: რიდი

**ევერტონი 4:4 ლიდსი**

1:0 კემპბელი (4), 1:1 ბრიჯესი (15), 2:1 კემპბელი (28), 2:2 კიუელი (35), 3:2 ჰათჩისონი (37), 3:3 კიუელი (68), 3:4 ვუდგეიტი (72), 4:4 ვეირი (90)

ევერტონი: ჟერარდი, ბალი (ჯონსონი 79), გუგი, უოტსონი, ანსუორთი, კოლინზი, ბარმბი, კ. კემპბელი, ჰათჩისონი, ჯემილი (პემბრიჯი 27), ვეირი

ლიდსი: მარტინი, კელი, ჰარტი, რადებე, ვუდგეიტი, ბრიჯესი, კიუელი, ბოუერი, მაკფეილი, სმიტი (ჰაკერბი 67), ბეტი

მსაჯი: გალაჰერი

**ტოტენჰემი 3:1 მანჩესტერი**

0:1 გიგზი (23), 1:1 ივერსენი (37), 2:1 სქოულზი (40 ს.კ.), 3:1 კარი (71)

ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კემპბელი, იანგი (ვეგა 76), ტარიკო, ფოქსი (პირსი 87), ფროინდი, შერვუდი, ლეონარდსენი, ივერსენი, ჟინოლა

მანჩესტერი: ბოსნიჩი, ფ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი (გრინინგი 82), ბექემი (სოლსკიაერი 68), სქოულზი, როი კინი, გიგზი, იორკი, კოული

გაფრთხილება: ფოქსი, შერვუდი, ფროინდი, ბექემი, კინი

მსაჯი: უინტერი

**ვესტ ჰემი 1:1 სანდერლენდი**

0:1 ფილიპსი (23), 1:1 სინკლერი (88)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, სტიმაჩი (რადოკი 51), რ. ფერდინანდი, მარგასი, ლომასი (მონკური 73), ლამპარდი, კოული, კელერი, სინკლერი, დი კანიო, ვანჩოპე (კიტსონი 62)

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, ბოულდი, სამერბი, ქუინი (დიჩიო 71), ფილიპსი, შვარცი, მაკკენი, რაე (როი 67), გრეი (უილიამსი 23)

გაფრთხილება: მაკკენი, ფერდინანდი, შვარცი, ლომასი, მაკინი, სინკლერი, რადოკი

გაძევება: ბოულდი (19)

მსაჯი: პელსი

**საუთჰემპტონი 1:1 ლივერპული**

1:0 სოლტვედტი (39), 1:1 კამარა (81)

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბენალი, ლე ტისიე (რიპლი 53), ოუკლი, ჰიუზი, კაჩლული, სოლტვედტი (ბიტი 86), პახარსი

ლივერპული: ფრიდელი, ენჩოსი, სონგი, ჰიიპია, შმიცერი (ჰეგემი 73), რედნაპი, კარაგერი, მერფი (ოუენი 58), სტონტონი, მეიერი (ტომპსონი 58), კამარა

გაფრთხილება: დოდი, ოუკლი, ენჩოსი

მსაჯი: ბარი

**უოტფორდი 1:3 მიდლსბრო**

0:1 უილიამსი (2 ს.კ.), 0:2 ჟუნინიო (18), 1:2 სმიტი (53), 1:3 ინსი (83)

უოტფორდი: ჩემბერლენი, ბეიჯი, ბალმერი, რობინსონი, პიჯი, ჯონსონი, ვუტერი, გიბსი (ისტონი 75), სმიტი, უილიამსი, მილერი

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, ინსი, დინი, ონილი, ციგე, რიკარდი (არმსტრონგი 46), ჟუნინიო (სტამპი 76), კუპერი

გაფრთხილება: ციგე, უილიამსი

მსაჯი: უილი

**ნიუკასლი 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ერანიო (42 ს.კ.), 2:0 შირერი (52)

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი (ჰიუზი 55), მარსელინიო, დაიერი (მარიჩი 37), შირერი, სპიდი, სოლანო, გალაჰერი (ფერგიუსონი 80), დაბიზასი, პისტონე, ლი

დერბი ქაუნთი: ჰოულტი, შნური, პაუელი, დორიგო (პრიორი 83), მორისი (დ. ბარტონი 57), ჯონსონი, დელაპი, ლაურსენი, ბეკი, ბაიანო ([illegible]), ერანიო

გაფრთხილება: პაუელი, დ. ბარტონი, ლაურსენი

მსაჯი: დანი

# კანუ წვიმაში



ტოტენჰემი — მანჩესტერი 3:1. წამიც და სტეფენ ივერსენი (მარცხნივ) ანგარიშს გაათანაბრებს

REUTERS ლონდონიდან

შაბათს, ნაშუადღევიდან, ლონდონში გვარიანად წვიმდა. ხანდახან მზეც კი გამოანათებდა ხოლმე, მაგრამ ერთ ნახევარ საათს ისეთი თავსხმა წამოვიდა, რომ სადაც კი მინდორი ნახა, დაალბო და აატალახა. წვიმა მთლიანად გადასწვდა ლონდონის ოთხივე კუთხეს, დაემთხვა ფეხბურთის სათამაშო საათნახევარს.

ქალაქის ჩრდილო-დასავლეთში, „უაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ფეხარეულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობდა, მეორე ტაიმში, მინდორზე დამდგარი წყალი ბურთს აჩერებდა. ასევე იყო სამხრეთ-დასავლეთშიც, სადაც „ჩელსი“ „არსენალს“ ებრძოდა მშობლიურ „სტემფორდ ბრიჯზე“.

მოგეხსენებათ, თავსხმა წვიმაში ბურთაობის თავისებურება — ამ დროს ფეხბურთი სხვანაირია. მაგრამ კარგია, როცა საქმეს კარგ ამინდში მოათავებ და როცა გაწვიმდება, იმან უნდა იწვალოს, ვინც აგებს. რა გამოვა ამ წვალებიდან, ღმერთმა იცის. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ რაიან გიგზმა ადრევე გაუტანა „ტოტენჰემს“ და „იუნაიტედმაც“ მშრალი ამინდის შესაბამისი მარაგი შეიქმნა.

ახლა კი ერთი კარგად მოვიფიქროთ, რა ახასიათებს წლევანდელ „მანჩესტერ იუნაიტედს“? ათას კარგსა და ცუდს შორის ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ გუნდის დაცვის ხაზი არის შეუთანხმებელი, შეუთამაშებელი და არასოდეს თამაშობს ერთნაირი განლაგებითა და შემადგენლობით. ჩვეულებრივ, უცნობია მეკარისა და მცველების ლინგვისტური ურთიერთობის ფორმებიც. რახან მასიმო ტაიბიმ ინგლისურში ენა ვერ გაიტეხა, კომიკური გოლების გაშვება დაიწყო. ახლა კარში ბოსნიჩი დგას, მაგრამ გაირკვა, რომ ინგლისურში ენაგაუტეხელი, მცველი სილვესტრიც ყოფილა. მისი და ბოსნიჩის შეუთანხმებლობამ კუთხური წარმოშვა, კუთხურმა გოლი: სტეფენ ივერსენი კარის წინ ჩაუწვა ბურთს და ან ხელი წაჰკრა, ან მუხლი, ან ფერდი. ბოსნიჩი მისწვდა ამ ბურთს და მოიგერიასავით, მაგრამ იმავ ივერსენმა ჭვინტი წაჰკრა და კარში შეაგდო. ასე გათანაბრდა ანგარიში და სულ მალე, მასპინძელთა მორიგ კუთხურს სქოულზის აულებელი თავური მოჰყვა — ოღონდ საკუთარ კარში.

მეორე ტაიმი კოკისპირული წვიმის, „მანჩესტერი“ უშედეგო შეტევების და სტივენ კარის ბრწყინვალე გოლისა იყო. ტოტენჰემელმა მარჯვენა ფრთაზე გასწია რეიდი და შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი შორეულ კუთხეში. დევიდ ბექემმა ყვითელი ბარათი მიიღო და გამოცვალეს კიდეც. ყვითელი მიიღო როი კინმაც, ჯამში კი ჩემპიონმა 1:3 წააგო. ცხრილში ორი საფეხურით დაიწია დაბლა. ტოტენჰემელთა თამაშს, როგორც ყოველთვის, ძალიან უხდებოდა დავიდ ჟინოლას რამერუმეები.

ჩრდილო-სამხრეთულ ლონდონურ დერბიში კი, სიმშრალეში გაკეთებულმა საქმემ „ჩელსის“ ვერ უშველა. მასპინძლებს ჯანფრანკო ძოლა არ გამოეყვანათ და მის ადგილას ტორე ანდრე ფლო გაუმწესებიათ. გუსტავო პოიეტიც (ძოლასი არ იყოს) გვიან გამოჩნდა მოედანზე. „არსენალი“ ასვენებდა დენის ბერხკამპს, სასტარტოში ჰყავდა შუკერი და გამოჯანმრთელებული მანიუ პეტი. თამაშიც იმგვარი გაქანებით მიდიოდა, თითქოს, ვიალი და ვენგერი ჩემპიონთა ლიგაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე პრემიერლიგაზე. მცირე სისხლითო, რომ იტყვიან, სწორედ ეს იყო, მაგრამ ლონდონელ დიადთა დერბი ყოველთვის დიდ ინტრიგას ინახავს და ახლაც ასე მოხდა. „ჩელსი“ ფლოსა და კრის სატონის თავურებით იგებდა ტაიმნახევრის განმავლობაში და როცა კანუმ ერთი საპასუხო გაიტანა, ეს უფრო დამბალი მოედნის საჩუქრად ჩანდა, ვიდრე მეთოფეთა გამოღვიძების დასაწყისად. მაგრამ ამ თამაშის ბოლო ათ წუთს ნებისმიერი დიდი გუნდი მოაწერდა ხელს. წვიმამაც იკლო და აფეთქებაც დაიწყო. კანუმ საუცხოოდ გაიგდო ოვერმარსის ჩაწოდებული ბურთი და ახლო კუთხეში ჩააჭედა. 2:2-ს „ჩელსის“ შტურმი და საშინელი კუთხურები მოჰყვა. ერთერთი თავური კი ხელსაც წაეცაცუნა, თუმც, მსაჯმა უილკიმ არ დაუსტვინა. მერე საქმე ისე წავიდა, რომ მარცხენა ფრთაზე, პირით ხაზთან, საჯარიმოს საზღვართან კანუმ ბურთი მოიგდო, თავისი ოჩოფეხებით მოხდენილი ფანდი ჩაატარა და მოწინააღმდეგე ჩამოიშორა. საშიში არაფერი იქნებოდა, ეს მოწინააღმდეგე მასპინძელთა ნერვებაშლილი მეკარე ედ დე გუი რომ არ ყოფილიყო. კანუ შორს აღარ წასულა — იქედანვე ჩაახვია ბურთი კარში, სადაც ფრანკ ლებეფი უხერხული მოძრაობით ცდილობდა თავისი გუნდის ხსნას.

ამით „არსენალი“ მეორე ადგილამდე აფოფხდა, თუმც, თავისუფლად შეიძლებოდა, რომ ეს ადგილი „სანდერლენდს“ სჭეროდა.

კევინ ფილიპსმა კი გაიტანა თავისი მეცამეტე გოლი ამ პრემიერლიგაში, და ასევე ლონდონში, ასევე წვიმაში, „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ, სამ ქულასაც ჩაუწერდა თავის გუნდს, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთს „სანდერლენდმა“ საქმე მოთავებულად ჩათვალა და ტრევორ სინკლერმა გაიტანა საპასუხო და ქულის გადამრჩენი. „სანდერლენდს“ ადრევე გაუძევეს ლიგის ვეტერანი სტივ ბოულდი, თუმც გუნდს ეს დიდად არ დატყობია.

ლიდერის საკითხი კი ლივერპულში „გუდისონ პარკზე“ წყდებოდა, სადაც „ევერტონმა“ ნაღდი, ძველებურად ლაღი ინგლისური თამაში შესთავაზა „ლიდსს“ და იორკშირელებმაც მიიღეს ეს გამოწვევა. „ევერტონი“ რამდენჯერმე იგებდა, „ლიდსი“ მხოლოდ ერთხელ, თუმც, საბოლოოდ 4:4 გამოვიდა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

ლიდერთა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ კი თქვა: „ოთხით სამს ვიგებდით, მაგრამ მსაჯის დამატებულ დროში გავუშვით გოლი. დაცვა ძალიან მოეშვა, მაგრამ ვხარობ, რომ პირველ ადგილზე დავრჩით. თუმც, უკეთესი განსხვავებით შეგვეძლო დაგვეჭირა ეს პოზიცია“.

ასეა, თუ ისე, „ლიდსი“ კვლავ ლიდერია. საუთჰემპტონში კი, იქაურებთან დიდი გაჭირვებით, თუმცა ლამაზი თამაშით მიღწეულ ფრეს „ლივერპულმა“ მორიგი დანაკარგი მიუმატა — კვლავ დაშავდა მაიკლ ოუენი. ამჯერად, ათი დღით. ანუ, სქოთთა წინააღმდეგ სანაკრებო ევრო პლეი ოფში, ოუენი მოედანზე უნდა იყოს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:16 | 9 | 26 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:11 | 4 | 13 |
| 2 არსენალი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:12 | 8 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 10 |
| 3 სანდერლენდი | 12 | 7 | 3 | 2 | 21:10 | 11 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 |
| 4 მანჩესტერი | 12 | 7 | 3 | 2 | 28:19 | 9 | 24 | 6 | 4 | 2 | 0 | 19:6 | 13 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:13 | -4 | 10 |
| 5 ტოტენჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:15 | 5 | 20 | 6 | 4 | 0 | 2 | 15:11 | 4 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 |
| 6 ლესტერი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:17 | 3 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 14 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | -2 | 6 |
| 7 ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:7 | 10 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:3 | 10 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 8 ევერტონი | 12 | 5 | 3 | 4 | 21:18 | 3 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 15:7 | 8 | 12 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 6 |
| 9 ასტონ ვილა | 12 | 5 | 3 | 4 | 13:12 | 1 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 12 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 6 |
| 10 მიდლსბრო | 12 | 6 | 0 | 6 | 16:16 | 0 | 18 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 9 |
| 11 ვესტ ჰემი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:9 | 3 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 4 |
| 12 ლივერპული | 11 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 1 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:5 | 0 | 6 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 |
| 13 ქოვენთრი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:15 | 1 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:8 | 3 | 9 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 14 საუთჰემპტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | -4 | 4 |
| 15 უიმბლდონი | 12 | 2 | 6 | 4 | 18:26 | -8 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:16 | -7 | 6 |
| 16 ბრედფორდი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 5 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 6 |
| 17 ნიუკასლი | 12 | 3 | 1 | 8 | 23:27 | -4 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 16:7 | 9 | 10 | 6 | 0 | 0 | 6 | 7:20 | -13 | 0 |
| 18 დერბი ქაუნთი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:21 | -11 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | -9 | 3 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 |
| 19 უოტფორდი | 12 | 3 | 0 | 9 | 8:18 | -10 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | -3 | 6 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:9 | -7 | 3 |
| 20 შეფილდ უენსდი | 12 | 1 | 2 | 9 | 8:27 | -19 | 5 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:9 | -2 | 4 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:18 | -17 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 13 |
| შირერი (ნიუკასლი) | 11 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 9 |

XIII ტური

27 ოქტომბერი (XVI ტურის მატჩი)

ლივერპული — ვესტ ჰემი

30 ოქტომბერი

არსენალი — ნიუკასლი

დერბი — ჩელსი

ლიდსი — ვესტ ჰემი

ლესტერი — შეფილდი

მანჩესტერი — ასტონ ვილა

მიდლსბრო — ევერტონი

უიმბლდონი — საუთჰემპტონი

31 ოქტომბერი

ქოვენთრი — უოტფორდი

სანდერლენდი — ტოტენჰემი

1 ნოემბერი

ლივერპული — ბრედფორდი

## პირველი დივიზიონი

XIII ტური

**ჩარლტონი 0:0 ვესტ ბრომვიჩი**

**კრიუ 0:1 ბარნსლი**

0:1 ჰინეტი (45)

**კრ. პალასი 2:2 ტრანმერი**

1:0 სვენსონი (34), 2:0 ოსტინი (45), 2:1 ჯონსი (82), 2:2 პარკინსონი (90)

**გრიმსბი 1:1 ბირმინგემი**

1:0 ალენი (34), 1:1 ვრე (37)

**ჰადერსფილდი 1:1 ფულემი**

0:1 გრეი (7 ს.კ.), 1:1 ვინარდი (75)

**მანჩესტერ სიტი 2:0 ბლექბერნი**

1:0 ედჯილი (39), 2:0 უიტლი (82)

**ნოტინგემი 1:1 სტოკპორტი**

0:1 დჯაფო (15), 1:1 რაიტი (16)

**ქუინზ პარკი 0:0 პორტსმუთი**

**სუინდონი 2:2 შეფილდ იუნ.**

1:0, 2:0 ჰეი (11, 21), 2:1, 2:2 სმიტი (52, 82)

**უოლსოლი 0:1 იფსვიჩი**

0:1 ნეილორი (90)

**ვულვზი 2:2 პორტვეილი**

1:0 [illegible] (47), 1:1 უოლში (80), 1:2 რუ[illegible] (84), 2:2 კარლი (89 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 13 | 8 | 2 | 3 | 18:7 | 26 |
| იფსვიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:16 | 23 |
| ჩარლტონი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 23 |
| ფულემი | 12 | 6 | 5 | 1 | 15:7 | 23 |
| ბირმინგემი | 14 | 6 | 4 | 4 | 22:15 | 22 |
| ბარნსლი | 13 | 7 | 1 | 5 | 26:23 | 22 |
| სტოკპორტი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:16 | 22 |
| ჰადერსფილდი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:17 | 19 |
| ქუინზ პარკი | 12 | 5 | 4 | 3 | 16:12 | 19 |
| ვულვზი | 13 | 4 | 6 | 3 | 13:14 | 18 |
| ნოტინგემი | 13 | 4 | 5 | 4 | 19:15 | 17 |
| ბოლტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:17 | 16 |
| ნორვიჩი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| პორტსმუთი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:19 | 16 |
| გრიმსბი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:18 | 16 |
| შეფილდ იუნ. | 13 | 4 | 4 | 5 | 18:23 | 16 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 2 | 8 | 2 | 10:10 | 14 |
| ბლექბერნი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 13 |
| კრ. პალასი | 12 | 3 | 4 | 5 | 18:22 | 13 |
| ტრანმერი | 14 | 3 | 4 | 7 | 16:24 | 13 |
| პორტვეილი | 14 | 3 | 3 | 8 | 16:22 | 12 |
| კრიუ | 12 | 3 | 3 | 6 | 14:21 | 12 |
| უოლსოლი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:24 | 12 |
| სუინდონი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:22 | 10 |

## მეორე დივიზიონი

XIV ტური. როვერსი — ნოტსი 0:1; ბარნლი — ბრისტოლი 2:0; ბერი — ბორნმუთი 2:2; ჩესტერფილდი — სკანთორპი 1:1; კოლჩესტერი — მილუოლი 1:2; ჯილინგემი — კემბრიჯი 2:1; ოლდემი — რედინგი 1:2; ოქსფორდი — ლუთონი 0:1; პრესტონი — ბრენტფორდი 2:1; სტოკი — რექსჰემი 2:0; უიგანი — კარდიფი 2:0; უიკომბი — ბლექპული 0:2

## მესამე დივიზიონი

XV ტური. ბარნეტი — ტორკი 1:2; კარლაისლი — ალიფაქსი 1:1; ჩელტენემი — ბრაიტონი 0:0; ჰარტლპული — ლეიტონი 1:0; ლინკოლნი — ჩესტერი 4:1; მაკლსფილდი — ექსეტერი 1:0; ნორთჰემპტონი — როტერჰემი 0:1; პეტერბრო — საუთენდი 1:0; პლიმუთი — დარლინგტონი 0:0; შრიუსბერი — მენსფილდი 1:2; იორკი — ჰალი 1:1; სუონსი — როჩდეილი 1:0



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი 0:2. „ბაიერნის“ ახალგაზრდა მეკარე შტეფან ვესელსმა კაიზერსლაუტერნელ ჰანი რამზის (№6) არ გაატანინა

# მეკარეთა ტური

## გერმანია

IX ტური

### ფრაიბურგი 0:0 ლევერკუზენი

ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, ჰერმელი (კორელი 65), კონდე, ვილი, ბაია, ცაიერი, გიუნეში (ვაისჰაუპტი 65), კობიაშვილი, იაშვილი (ბრუნსი 76), სელიმი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჰოფმანი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, რეები, შნაიდერი (პონტე 67), რამელო, ემერსონი, ბაინლიხი, კირსტენი, ნოივილი
გაფრთხილება: ვილი, კობიაშვილი, ემერსონი, ბაინლიხი, ჰოფმანი, კირსტენი, ნოვოტნი
მსაჯი: ალბრეხტი

### ჰანზა 2:1 არმინია

1:0, 2:0 არვიდსონი (20, 68), 2:1 მაისნერი (81)
ჰანზა: ბროიტიგამი, ბენკენი, ჰოლეჩეკი, ელერსი, ლანგე, ვიბრანი, ვაილანდტი (იასერი 65), ბრანდი, ემარა (ოსვალდი 76), ბაუმგარტი, არვიდსონი (კოვაჩიჩი 80)
არმინია: კოხი, პეეტერსი, შტრატოსი (ვატერინკი 76), კლიცპერა, რიდლევიჩი (გიოქთანი 73), მაისნერი, ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი (ბომე 56), მაული, ლაბადია, ვან დერ ვენი
გაფრთხილება: კოვაჩიჩი, შტრატოსი
მსაჯი: იანსენი

### მიუნხენი 0:0 ჰამბურგი

მიუნხენი: ჰოფმანი, ზელიჩი, ვანენბურგი, პასლაკი, გრაილიხი, ჩერნი (ბორიმიროვი 60), ტაპალოვიჩი, ჰესლერი, ჩიჟეკი (პურკი 46), ვინკლერი, მაქსი (აგოსტინო 71)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰირში, ჰოოგმა, პანადიჩი, გრავესენი (ფიშერი 68), ერნსტი (სიმუნიჩი 84), გრამოცისი, კარდოზო, მაჰდავიკია, იებოა, დემბინსკი (დოლი 46)
მსაჯი: მერკი

### ჰერტა 1:1 შტუტგარტი

1:0 ვოში (29), 1:1 კარნელი (81)
ჰერტა: კირალი, რეკდალი, სვერისონი, კონსტანტინიდისი, ვან ბურიკი, დაისლერი (შმიდტი 46), ტომი (ჰ. ჰერცოგი 86), ვოში, ნოიენდორფი, დაეი, პრეეტცი
შტუტგარტი: ვოლფარტი, შნაიდერი, ბერთოლდი, ბორდონი, კელერი, ტიამი (კარნელი 57), სოლდო, ბალაკოვი, გერბერი (ჰოსნი 57), ლისტეში, განეა
გაფრთხილება: ბორდონი
გაძევება: კონსტანტინიდისი (54), ბერთოლდი (90)
მსაჯი: ვაკი

### კაიზერსლაუტერნი 0:2 ბაიერნი

0:1 სანტა კრუზი (52), 0:2 ელბერი (86)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი (ბუკი 65), შონბერგი, რატინიო, ვაგნერი, კომლიენოვიჩი (ტარე 82), შტრასერი (რაიხი 54), სფორცა, ჯორკაეფი, მარშალი
ბაიერნი: ვესელსი, პ. ანდერსონი, იერემისი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი (ბაბელი 46), ეფენბერგი, ფინკი, ტარნატი, იანკერი (ელბერი 78), პაულო სერჟიო (ლიზარაზუ 68), სანტა კრუზი
გაფრთხილება: ვაგნერი, ჯორკაეფი, კომლიენოვიჩი
მსაჯი: კრუგი

### ულმი 1:0 უნტერჰახინგი

1:0 ოტო (35)
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი, მარკესი, შტადლერი, რადოკი, მაიერი, შარინგერი, ოტო, როსლერი (პლულერი 67), ტრკულია (ზდრილიჩი 67), ვან დერ ჰაარი
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, გრასოვი, ზაიფერტი, შტრაუბე, ჰაბერი, შვარცი (ობერლაიტნერი 79), მატიას ციმერმანი, კიოგლი (გარსია 57), რაკლი (მენდეხი 46), ზაიტცი
გაფრთხილება: შტადლერი, მარკესი, როსლერი, ტრკულია, შარინგერი, ზაიფერტი, გრასოვი
მსაჯი: დარდენე

### დორტმუნდი 1:3 ვერდერი

0:1 ლემანი (4 ს.კ.), 0:2 ბოდე (42), 1:2 რიკენი (57), 1:3 პიზარო (80)
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი (იკპება 65), ევანილსონი (ადო 46), რიკენი, სტევიჩი (ვ. ბუტი 79), დედე, რეინა, ბობიჩი, მიოლერი
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, ბაუმანი, ცეზარი, ვიდნერი, მაქსიმოვი (ვოიტალა 87), დაბროვსკი, ვიკი, ა. ჰერცოგი (ფლოკი 58), ბოდე, პიზარო
გაფრთხილება: ნიეგუსი, ფრინგსი, ვიდნერი, ჰერცოგი, ვიკი, მაქსიმოვი
გაძევება: დედე (90)
მსაჯი: აუსტი

### აინტრახტი 0:2 შალკე

0:1 ვილმოტსი (52), 0:2 ასამოა (82)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კრახტი, დომბი, შური (რასიევსკი 83), ბულუტი (გუიე მენი 46), ვებერი, გებჰარდტი (ჰელდტი 63), სალუ, ფიორტოფტი
შალკე: შობერი, აიგენრაუხი, ტონი, ვალდოხი, კამპუისი, კმეტჩი (გუსენსი 74), ალპუგანი, ვან კერკჰოვენი, ვილმოტსი, სანდი (ჰელდი 72), ასამოა (ლატალი 83)
გაფრთხილება: ვებერი, შური, ტონი, ვან კერკჰოვენი
მსაჯი: ფანდელი

### ვოლფსბურგი 1:0 დუისბურგი

1:0 აკპობორი (48)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, სებეშენი, გრაინერი (მალტრიცი 69), მუნტეანუ (დამაიერი 32), ნოვაკი, ვაისერი, იუსკოვიაკი (ფელდჰოფი 80), აკპობორი
დუისბურგი: სტაუჩე, შნაიდერი, ვოლერტი, კოვაჩევიჩი, ჰაიტო (ვოლტერსი 76), ტოფტინგი (ვედაუ 65), ჯოსი (ცაიერი 80), ჰირში, ნოინი, ბაიერლე, შპისი
გაფრთხილება: აკპობორი, ვედაუ, კოვაჩევიჩი
მსაჯი: კესლერი

ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეცხრე ტურში უჩვეულოდ ცოტა — 15 გოლი გავიდა. ყველაზე მეტი, 4 ბურთი „დორტმუნდი“ — „ვერდერის“ მატჩში გავიდა, ხოლო „ფრაიბურგი“ — „ლევერკუზენისა“ და „მიუნხენი“ — „ჰამბურგის“ შეხვედრებში ვერავინ გაიხარა. საბოლოოდ ტურში გამართულ ცხრა თამაშში გუნდებმა საშუალოდ 1,66 გოლი გაიტანეს. მეკარეებმა შემტევებს აშკარად აჯობეს.

„ფრაიბურგი“ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩში კიევში დამარცხებულ „ლევერკუზენს“ კვლავაც ტრავმირებული ლევან ცქიტიშვილის გარეშე დაუხვდა. ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი კი მასპინძელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ ძირითადში ათამაშა. კობიაშვილი კვლავაც მარცხენა ფლანგზე იყო გამწესებული, თუმცა ამჯერად ფლანგური გარღვევებით მეტოქე არ შეუწუხებია. ერთხელ ლევანს გატანაც შეეძლო, მაგრამ ჯარიმიდან ბურთი ოდნავ ააცილა კარს. იაშვილი ძირითადად პასების განაწილებით იყო დაკავებული.

საბოლოოდ, საგოლე მომენტებით მწირი თამაში ლოგიკური შედეგით დასრულდა — 0:0. ჩემპიონობის კანდიდატთან მოპოვებულმა ქულამ „ფრაიბურგიც“ და სტადიონზე შეკრებილი 25 ათასი ქომაგიც კმაყოფილი დატოვა.

კმაყოფილი გახლდათ ფინკეც: „ლევერკუზენი“ იმ გუნდთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა დამარცხებაც თითქმის შეუძლებელია, ამიტომ შედეგი ჩვენთვის სრულიად მისაღებია“.

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი კაიზერსლაუტერნში შედგა, სადაც ოტო რეჰაგელის შეგირდებმა ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბს, მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლეს. „ლაუტერნი“ ბავარიელებთან გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა. რატინიოსა და მარშალის მიერ გაცუდებული მომენტების საპასუხოდ „ბაიერნმა“ ორი გოლი გაიტანა. პირველი ნახევარი თანაბრად წარიმართა, გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ მეკარეები მარჯვობდნენ. კვლავაც ჩინებულად ითამაშა მიუნხენელთა ყმაწვილმა კარის დარაჯმა ვესელსმა, რომელმაც „ბაიერნის“ მაისურა პირველად „რეინჯერსთან“ ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩში მოირგო, მეორედ კი ახლა. ვესელსი გუნდში მეოთხე მეკარედ კი ითვლება, მაგრამ ასე თუ გააგრძელა, მალე თვით ოლივერ კანსაც სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა. 52-ე წუთზე პაულო სერჟიოს პასის შემდეგ იანკერმა მცველებთან ბრძოლაში კარში დარტყმა მაინც მოახერხა, შონბერგმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა, თუმცა სანტა კრუზმა ყველას დაასწრო — 0:1. ანგარიშში სხვაობა მატჩის მიწურულს გაიზარდა, როცა შეცვლაზე შესულმა ჯოვანი ელბერმა ვაგნერი და რამზი გააბითურა და კარგი დარტყმით ყველაფერს [illegible]ელი მოჰფინა. ამ გოლებს შორის ეფენბერგსა და სანტა კრუზსაც შეეძლოთ, ეზეიმათ. „ბაიერნმა“ 2:0 გაიმარჯვა და შარშანდელი მარცხისთვის სრული რევანში აიღო. გასულ სეზონში „კაიზერსლაუტერნმა“ ამავე ანგარიშით მოუგო მომავალ ჩემპიონს. იმ თამაშის გმირი ანდრეას ბუკი, რომელსაც მაშინ პირველი გოლი სამთვიან ტრავმად დაუჯდა, შაბათს თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მოგვიანებით ჩაერთო თამაშში.

სამშაბათს საკუთარ მინდორზე ნორვეგიული „რუსენბორგისგან“ სირცხვილნაჭამმა „დორტმუნდმა“ შოკიდან გამოსვლა ვერ მოასწრო და ამჯერად შინ ბრემენის „ვერდერთან“ წააგო — 1:3. „რუსენბორგთან“ მატჩში დორტმუნდელთა მეკარე იენს ლემანს ერთ ეპიზოდში ბურთი აეჭრა და კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა. ლემანმა, ეტყობა, ვარჯიშებზე მიზანი გაისწორა და ბრემენელებთან ავტოგოლით მეოთხე წუთზევე გახსნა ანგარიში. ასე რომ ლემანს ამ ტურში [illegible] მხარი ვერ აუბა. პირიქით, კიდევ ორი გოლი გაუშვა. [illegible] კენმა ერთი გაქვითა. საბოლოოდ სტუმრებმა დამსახურებულად მოიგეს. მასპინძლებმა კი, წაგების მიუხედავად, პირველობა კვლავ შეინარჩუნეს.

„პირველი გოლი ძალიან ადრე გავუშვით. 0:2-ზე კარგად ავთამაშდით, სამწუხაროდ, იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო და მატჩის შემობრუნებაც ვერ შევძელით“ — ცოტა არ იყოს, ქართველი მწვრთნელივით ახსნა მარცხი დორტმუნდელთა თავკაცმა მიხაელ სკიბემ, რომლის გუნდიც, სპეციალისტთა ვარაუდით, კრიზისს განიცდის.

„ჰამბურგმა“, როგორც მიმოხილვის დასაწყისში ალვნიშნეთ, უგოლოდ დაასრულა გასვლითი მატჩი „მიუნხენ 1860“-თან. სტუმრებმა თამაში საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და დებიუტშივე კინაღამ გახსნეს კიდეც ანგარიში — იებოას კარგი პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილ კარდოზოს დარტყმა ჰოფმანმა მოიგერია. ჰოფმანმა თავად იებოაც გააწბილა, როცა მეორე ტაიმში მისი დარტყმული კარის ხაზზე გააქვავა. კარგად ითამაშა ჰოფმანის ჰამბურგელმა კოლეგა ჰანს-იორგ ბუტმა, რომელიც შტატიან პენალტისტად არის ცნობილი. ბუტმა ჰესლერის და ვინკლერის მცდელობები გაჭირვებით, თუმცა მაინც ჩაშალა. 90-ე წუთზე კი მართლაც დიდებულად ითამაშა — ჰესლერის ნაწოდებული აგოსტინოს შემთხვევით მუხლში მოხვდა და კარში წავიდა, ბუტმა კი რეაგირება მოასწრო. ამ ქულამ „ჰამბურგს“ მეორე ადგილი შეუნარჩუნა.

„მილანის“ დამმარცხებელმა ბერლინის „ჰერტამ“ შინ „შტუტგარტს“ ვერ მოუგო, რაშიც დიდი წვლილი მსაჯმაც შეიტანა. მან 54-ე წუთზე კონსტანტინიდისი მეორე ყვითელი ბარათით დააჯილდოვა და მინდორი დაატოვებინა. ამ დროს „ჰერტა“ 1:0-ს იგებდა. ანგარიში 29-ე წუთზე დარიუს ვოშმა გახსნა, რომელმაც ბოლო ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში. კონსტანდინიდისის გაძევება რომ არა, „ჰერტა“ გამარჯვებას ხელიდან, ალბათ, არ გაუშვებდა.

**ვანო ოქროპირიძე**

## მეორე ბუნდესლიგა

IX ტური

### კოტბუსი 1:0 ჰანოვერი

1:0 ლაბაკი (77)

### ალემანია 3:1 ნიურნბერგი

1:0, 2:0 ბერშტოლდი (33, 53), 3:0 დიანე (59), 3:1 ჰობში (78)

### ობერჰაუზენი 1:0 ოფენბახი

1:0 იუდტი (58)

### კიკერსი 3:1 გლადბახი

1:0 მარიჩი (63), 1:1 პოლსტერი (64პ), 2:1, 3:1 მარიჩი (67, 72)

### ბოხუმი 2:6 ბერლინი

0:1 როსლერი (1), 1:1 ვებერი (28), 1:2 ტრედუპი (37), 1:3 კირიაკოვი (41), 1:4 კოპადო (57), 2:4 პეშელი (72), 2:5, 2:6 როსლერი (86, 90)

### ფიურტი 0:0 ვალდჰოფი

### კარლსრუე 1:2 ქემნიცი

0:1 შკელა (49პ), 1:1 ლოუნდელი (80), 1:2 ენდროშიკი (85)

### ზანქტ პაული 2:2 მაინცი

1:0 მარინი (16), 1:1, 1:2 პოლიცელა (37, 53), 2:2 მარინი (61პ)

### კიოლნი 3:0 ფორტუნა

1:0 ლოტნერი (15), 2:0 კიჩონი (45), 3:0 ლოტნერი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 20 |
| კოტბუსი | 9 | 6 | 0 | 3 | 18:8 | 18 |
| ბერლინი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:11 | 18 |
| ალემანია | 9 | 5 | 2 | 2 | 18:17 | 17 |
| ქემნიცი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| ფიურტი | 9 | 4 | 4 | 1 | 9:6 | 16 |
| ნიურნბერგი | 9 | 5 | 1 | 3 | 15:13 | 16 |
| ჰანოვერი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:12 | 13 |
| მაინცი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:13 | 13 |
| კიკერსი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:14 | 12 |
| ფორტუნა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:15 | 10 |
| გლადბახი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:15 | 10 |
| კარლსრუე | 9 | 2 | 3 | 4 | 16:17 | 9 |
| ვალდჰოფი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| ბოხუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:19 | 8 |
| ობერჰაუზენი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:15 | 8 |
| ზტ. პაული | 9 | 1 | 4 | 4 | 7:12 | 7 |
| ოფენბახი | 9 | 0 | 3 | 6 | 5:15 | 3 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დორტმუნდი | 9 | 6 | 1 | 2 | 14:6 | 8 | 19 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 9 |
| 2 | ჰამბურგი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:9 | 10 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 9 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 |
| 3 | ლევერკუზენი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:4 | 8 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | -1 | 6 |
| 4 | ბაიერნი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 4 | 17 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 10 |
| 5 | შალკე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 10 |
| 6 | ვოლფსბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:14 | 0 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:9 | 1 | 12 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 7 | მიუნხენი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:10 | 5 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 8 | ჰანზა | 9 | 4 | 1 | 4 | 13:20 | -7 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 6 | 13 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | -13 | 0 |
| 9 | ვერდერი | 9 | 3 | 3 | 3 | 20:12 | 8 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 8 |
| 10 | ფრაიბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:10 | 5 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 11 | ჰერტა | 9 | 2 | 5 | 2 | 13:15 | -2 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 4 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | -6 | 2 |
| 12 | შტუტგარტი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 7 |
| 13 | ლაუტერნი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:20 | -8 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:14 | -9 | 1 |
| 14 | არმინია | 9 | 2 | 3 | 4 | 7:14 | -7 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 15 | უნტერჰახინგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | -4 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | -8 | 0 |
| 16 | ულმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | -6 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:12 | -7 | 1 |
| 17 | აინტრახტი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 18 | დუისბურგი | 9 | 0 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 7 |
| სალუ (აინტრახტი) | 5 |
| მაქსი (მიუნხენი) | 5 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 5 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 5 |
| პიზარო (ვერდერი) | 5 |
| ბოდე (ვერდერი) | 5 |

### X ტური

30 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ლევერკუზენი | - | მიუნხენი |
| ბაიერნი | - | ვოლფსბურგი |
| არმინია | - | აინტრახტი |
| უნტერჰახინგი | - | ფრაიბურგი |
| დუისბურგი | - | ულმი |
| შტუტგარტი | - | ლაუტერნი |
| შალკე | - | ჰერტა |
| ჰამბურგი | - | დორტმუნდი |
| ვერდერი | - | ჰანზა |

## იტალია

VII ტური

### ინტერი 1:2 მილანი

1:0 რონალდო (20პ), 1:1 შევჩენკო (73), 1:2 ვეა (89)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, ფრეზი, მორიერო (დომორო 36), ხ. ძანეტი, დაბო (კოე 74), იუგოვიჩი (სამორანო 57), გეორგატოსი, რონალდო, ვიერი
მილანი: აბიატი, სალა, აიალა, მალდინი, გულიელმინპიეტრო, ამბროზინი (ალბერტინი 42), გატუზო, სერჟინიო, ჯუნტი (ბობანი 57), ბირჰოფი (შევჩენკო 68), ვეა
გაფრთხილება: მალდინი, ვიერი, გატუზო, სალა
გაძევება: რონალდო (31), აიალა (82)
მსაჯი: ბორიელო

### ტორინო 1:1 რომა

1:0 სკარკილი (21), 1:1 დი ფრანჩესკო (55)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, ანდრე კრუზი, დიავარა, მენდესი, პეკია (მალტალიატი 20), სკარკილი, კოკო, სომეზე (ტრიკარიკო 83), ფერანტე, ივიჩი (სილენცი 60)
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, რინალდი, კანდელა, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო, ალენიჩევი (ფაბიო ჟუნიორი 27), ტოტი, მონტელა
გაფრთხილება: სომეზე, დი ფრანჩესკო, ივიჩი, რინალდი, ბონომი, სკარკილი
გაძევება: დიავარა (90)
მსაჯი: რაკალბუტო

### პერუჯა 2:1 ვენეცია

0:1 მანიერო (10), 1:1, 2:1 ამორუზო (54, 73)
პერუჯა: პაგოტო, დაინო, კალორი, მატერაცი, სუსი, ბა (ესპოზიტო 85), ტედესკო (ბიზოლი 44), ოლივე, რაპაიჩი (ნ. ამორუზო 27), ნაკატა, მელი
ვენეცია: კასაცა, კარდონე, ბილიკა, ლუპი, ბეტარინი, ბერგი, მარანგონი (დალ კანტო 49), ნანამი (ვალტოლინა 88), პედონე, პეტკოვიჩი (ბორგობელო 68), მანიერო
გაფრთხილება: ბილიკა, მარანგონი, ბერგი, ბა, პეტკოვიჩი
მსაჯი: როსი

### პიაჩენცა 2:0 ფიორენტინა

1:0 კრისტალინი (83), 2:0 დი ნაპოლი (89პ)
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, საკეტი, კრისტალინი, მაცოლა, სტროპა (დელი კარი 86), რასტელი, დიონიჯი (დი ნაპოლი 65)
ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, რეპკა, ტაროცი (ბრესანი 29), ოკონი, კ. ამორუზო (კოისი 4), დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა (ბალბო 62), ბატისტუტა
გაფრთხილება: ვერხოვოდი, მანიგეტი
გაძევება: რეპკა (90)
მსაჯი: პრეშენი

### ბარი 1:1 იუვენტუსი

0:1 პესოტო (21), 1:1 სპინეზი (86)
ბარი: მანჩინი, გარსია, ინოჩენტი, დელ გროსო (სპინეზი 40), დე როსა, მადსენი (ჯორჯეტი 52), დ. ანდერსონი, მარკოლინი, პეროტა (მარკიჩი 64), ოსმანოვსკი, მასინგა
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ტუდორი 15), ბირინდელი, იულიანო, პესოტო, ტაკინარდი (კოვაჩევიჩი 86), ძამბროტა, კონტე, დელ პიერო, ესნაიდერი (ოლისე 37), ფ. ინძაგი
გაფრთხილება: მარკოლინი, გარსია, პეროტა, ძამბროტა, ოლისე
გაძევება: კოვაჩევიჩი (88)
მსაჯი: ბოლონინო

### რეჯინა 2:2 პარმა

0:1 კრესპო (1), 1:1 ბარონიო (53), 1:2 კრესპო (54), 2:2 პირლო (59)
რეჯინა: ორლანდონი, სტოვინი, ჩირილო, ჯიაკეტა, ბერნინი (მარტინო 75), ბარონიო (პოლი 65), პრალია, პირლო, მორაბიტო, რეგი (ოშადოგანი 70), პოსანცინი
პარმა: ბუფონი, ლასისი, ტურამი, კანავარო, სერენა (დი ვაიო 62), ფუზერი, ბოგოსიანი, ვალემი (მაინი 62, ბრედა 72), ვანოლი, ორტეგა, კრესპო
გაფრთხილება: კანავარო, პრალია, სტოვინი, ვანოლი, მაინი, ფუზერი, ბოგოსიანი
მსაჯი: მესინა

### კალიარი 0:3 უდინეზე

0:1 ვან დერ ვეგტი (4), 0:2, 0:3 მუცი (7, 63)
კალიარი: სკარპი, ვილა, ლოპესი, ძებინა, ამეტრანო (კორადი 60), ბერეტა (კავეცი 65), ონილი, მაჩელარი, მაიელე (კონტი 33), მბომა, ოლივეირა
უდინეზე: ტურჩი, სოტილი, ძანკი, გარგო (იორგენსენი 30), ბერტოტო, ჟენო, ჯანიკედა, ფიორე, ვან დერ ვეგტი, სოსა (ვარლეი 73), მუცი (პოჯი 66)
გაფრთხილება: ამეტრანო, ბერტოტო, ჟენო, ონილი
მსაჯი: ბონფრისკო

### ბოლონია 0:0 ვერონა

ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პარამატი, ტარანტინო, ნერვო (ვენტოლა 72), ინგესონი, მაროკი, ვომე, ფონტოლანი (ერიბერტო 39), კ. ანდერსონი, სინიორი
ვერონა: ფრეი, ფილიპინი, ფრანჩესკეტი, აპოლონი, სერიჩი, ჯანდებიაჯი, მარასკო, კოლუჩი, მელისი, ადაილტონი (კამარატა 10, სალვეტი 55), ალიეტი (ფალსინი 63)
გაფრთხილება: ვომე, მარასკო, სინიორი
გაძევება: სერიჩი (18)
მსაჯი: პელეგრინო

### ლაციო 4:2 ლეჩე

0:1 ლუკარელი (16), 1:1 პანკარო (26), 2:1, 3:1 სტანკოვიჩი (30, 32), 3:2 ლუკარელი (33), 4:2 ინძაგი (93)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (ფაველი 49), სენსინი, მიხაილოვიჩი, პანკარო, დ. სტანკოვიჩი, სიმეონე, ალმეიდა, ვერონი, სალასი (ს. ინძაგი 82), ბოკშიჩი (სერჟიო კონსეისაო 65)
ლეჩე: ლოტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიჩიო, (ბონომი 75), ლიმა, პიანჯერელი, კოლონელო, სესა (ბილოტი 70), ლუკარელი (მარინო 61)
გაფრთხილება: ლუკარელი, ვიალი, პიანჯერელი, სენსინი, სიმეონე, ბალერი
მსაჯი: ჩეზარი

# ანტიგმირი სან სიროზე და ნაგვის ყუთი ფლორენციაში

„ინტერის" დამარცხებას „მილანი" ექვსი სეზონის განმავლობაში ეშურებოდა.

„თავდადებით ვითამაშეთ. თითოეულმა ფეხბურთელმა ღირსეულად წარმოაჩინა თავი, მაგრამ აქვე მსურს, სწორედ მე ვიყო ის ადამიანი, რომელიც სხვებზე ადრე აღნიშნავს, რომ გამარჯვებაში ხელი რიცხობრივმა უპირატესობამ შეგვიწყო" — განაცხადა „მილანის" მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

„არავის არაფერს ვაბრალებ, თუმცა აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ ის, რაც მან ჩაიდინა, უდიდესი უპასუხისმგებლობა გახლდათ. ვგ... კა, ეს რომ ასეა, თავადაც საუცხოოდ მოეხსენება" — დასძინა ძაკერონის მეტოქე — კოლეგამ მარჩელო ლიპიმ.

მაშ ასე, ორი მწვრთნელის ნათქვამიდან ვიტყობთ, რომ „ინტერი" რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილა, ხოლო ვიღაცა უპასუხისმგებლოდ მოქცეულა. ალღო გვკარნახობს - მით უფრო, როდესაც მატჩი ნანახი გვაქვს - რომ ეს ორი ამბავი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქმის შემდგომი კვლევა გვიჩვენებს, რომ ფეხბურთელი, რომელიც მოედნიდან, მარჩელო ლიპის აზრით, უპასუხისმგებლობის გამო გააძევეს, გახლავთ „ინტერის" ბრაზილიელი ფორვარდი, შეხვედრის პირველი გოლის ავტორი რონალდო, ყოველივე ამაში არანაკლები როლი „მილანის" არგენტინელმა მცველმა რობერტო აიალამაც შეასრულა.

დავიწყოთ მე-20 წუთით: შავ-წითელთა საჯარიმოში აიალა რონალდოს ბურთისთვის ებრძვის — მსაჯი ჯენარო ბორიელო ეპიზოდს წესების დარღვევად აღიქვამს და აიალას გუნდის კარში პენალტს ნიშნავს. პენალტის დანიშვნიდან დარტყმამდე რამდენიმე წუთი გადის, რადგან მილანელთა აღშფოთებული ქომაგები მოედანზე მაშხალებს ისვრიან და თამაშის გაგრძელებას აბრკოლებენ. საბოლოოდ ტრიბუნა მშვიდდება და რონალდოს გოლი გააქვს.

გადის 11 წუთი და ბორიელო აიალასა და რონალდოს მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ ბრაზილიელს მოედნიდან აძევებს.

„მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის დაცვა ვცადე" — ამბობდა თამაშის შემდეგ გაძევებული — „აიალა პირველივე წუთიდან ჩემს პროვოცირებას ცდილობდა. გაძევებამდე წამებით ადრე იგი კბილების ჩამტვრევით დამემუქრა. შემდეგ, როდესაც კვლავ ჩემზე წამოვიდა, მისი შეჩერება ვცადე და ამ დროს იდაყვის მოხვედრა გაითამაშა".

მოკლედ, რონალდო ამბობს, რომ უდანაშაულოა, თუმცა: „ასეთი სისულელის გამო ჩემმა გუნდმა შეხვედრის დარჩენილ დროში იწვალა და წააგო. ძალიან გაბრაზებული ვარ. ვიცი, გუნდი დავაზარალე, მაგრამ განა ეს მსურდა? სერიოზული არაფერი ჩამიდენია".

რონალდოს გარეშე დარჩენილი „ინტერი" მაინც კარგად თამაშობდა. შესვენების შემდეგ, ხუთ წუთში, გრიგორიოს გეორგატოსის პასით კრისტიან ვიერის შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მისი ლამაზად დარტყმული მიზანს ცოტათი აცდა.

51-ე წუთზე ოლივერ ბირჰოფს გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ახლოდან ვერ მოახერხა ბურთის კარში შეგდება. შემდეგ კი იგი ანდრეი შევჩენკოთი შეცვალეს და გარდატეხაც მალე დადგა: უკრაინელმა სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ყოფილმა კიევის დინამოელმა „ინტერის" მცველებს ამის მერეც გვარიანი სირთულეები შეუქმნა. თანდათან შავ-ლურჯები ილლებოდნენ, შავ-წითლები კი მეტ და მეტ უპირატესობას ეუფლებოდნენ.

თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სულ უფრო სახიფათო ჟორჟ ვეას ანჯელო პერუციმ ზედიზედ ორი დარტყმული აულო...

8 წუთით ადრე აიალამ ვიერი წააქცია — ბორიელოს ხელში წითელმა ბარათმა გაიელვა. „ინტერის" ქომაგთა აზრით, სამართლიანობა აღდგა, მაგრამ...

ბოლოს წუთზე [illegible] კიდევ ერთი [illegible] ბობანმა კუთხური ჩააწოდა. ამჯერად ვეას თავურს პერუციმ ვეღარაფერი დაუპირისპირა — 2:1.

„მოდი, ჩვენს ლიდერობაზე ნურაფერს ვიტყვით. შემდეგ ტურში „ინტერთან" გვაქვს სათამაშო" — ეს კი „ლაციოს" შეედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა გვთხოვა. „ლაციომ" „ლეჩეს" 4:2 მოუგო და უახლოეს მდევარს, „იუვენტუსს" სამი ქულით უსწრებს. ამჯერად შევასრულოთ ერიკსონის თხოვნა, მის გუნდზე მეტს ნურაფერს ვიტყვით.

„ფიორენტინას" დიდმა თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ კი ნამდვილად გაგვიჩინა სათქმელი: „სტუმრად, „პიაჩენცასთან" 0:2 წაგების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებს განცხადება შეუტანა, ზედიზედ სამი მარცხი მეტისმეტია, მივდივარო.

„წარმოუდგენელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. აქ ჩემი და ფეხბურთელების ურთიერთობა არაფერ შუაშია, გუნდი ერთსა და იმავე შეცდომებს იმეორებს. სანამ გადარჩენის შანსი არსებობს, გადავდგები. იქნებ ამან შოკური თერაპიის ეფექტი მოახდინოს" — ბრძანა დონ ტრაპმა, მაგრამ„სწორედ ახლაა ერთად დგომა საჭირო" — განაცხადა ფლორენციული კლუბის დირექტორმა ლუჩანო ლუნამ და მწვრთნელის განცხადება სანაგვეში ჩააგდო.

პიაჩენცელებმა კი გამარჯვება თავიანთი მწვრთნელის, ჯიჯი სიმონის ვაჟს, 33 წლის ადრიანოს მიუძღვნეს. ადრიანო სიმონი 14 ოქტომბრის ავტოკატასტროფის შემდეგ ბოლონიის საავადმყოფოში უგონოდ იწვა. მამა, ბუნებრივია, გვერდიდან არ მოშორებია, მაგრამ... მიძღვნამ სამწუხაროდ ვერ უშველა...

**პაპუნა ბედია**

REUTERS მილანიდან



ინტერი — მილანი 1:2. მილანელი ანდრეი შევჩენკო (№7) სირილ დომოროსა (№17) და ლორან ბლანს შორის

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 7 | 5 | 2 | 0 | 18:8 | 10 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 13:7 | 6 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 |
| 2 | იუვენტუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 3 | მილანი | 7 | 3 | 4 | 0 | 18:11 | 7 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 0 | 9:8 | 1 | 6 |
| 4 | ინტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 5 | რომა | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 12 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 4 | 8 |
| 6 | პერუჯა | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 10 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 7 | პარმა | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 5 |
| 8 | უდინეზე | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 9 | რეჯინა | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 0 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 10 | ტორინო | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | -3 | 2 |
| 11 | ფიორენტინა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 12 | ლეჩე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 13 | ბარი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:7 | -2 | 7 | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 14 | ბოლონია | 7 | 1 | 4 | 2 | 3:6 | -3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | -4 | 2 |
| 15 | ვერონა | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 16 | პიაჩენცა | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 17 | ვენეცია | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 1 |
| 18 | კალიარი | 7 | 0 | 3 | 4 | 5:13 | -8 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| ვიერი (ინტერი) | 5 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 5 |
| ვერონი (ლაციო) | 4 |
| ლუკარელი (ლეჩე) | 4 |
| კრესპო (პარმა) | 4 |
| მუცი (უდინეზე) | 4 |

### VIII ტური

31 ოქტომბერი

ფიორენტინა — ტორინო
ინტერი — ლაციო
იუვენტუსი — პიაჩენცა
ლეჩე — პერუჯა
პარმა — ბარი
რომა — კალიარი
უდინეზე — რეჯინა
ვენეცია — ბოლონია
ვერონა — მილანი

## სერია B

VIII ტური

### ვიჩენცა 2:0 კოზენცა

1:0 კომანდინი (65პ), 2:0 ლუიზო (71პ)

### ტრევიზო 5:1 ნაპოლი

1:0 პიცი (7), 2:0 ბეგეტო (45), 3:0, 4:0 ტონი (50პ, 64), 4:1 შვოხი (77პ), 5:1 პიცი (81)

### სავოია 1:1 ალძანო

1:0 ნოჩერინო (3), 1:1 ფლორიანჩიჩი (45)

### სალერნიტანა 1:1 მონცა

0:1 ტოპიჩი (24), 1:1 დი მიკელე (29)

### ჯენოა 1:1 სამპდორია

0:1 კასტელინი (44), 1:1 რუოტოლო (86)

### ემპოლი 1:1 პესკარა

1:0 დი ნატალე (82), 1:1 ჯამპაოლო (95)

### ჩეზენა 0:0 რავენა

### ბრეშა 3:0 ტერნანა

1:0 უბნერი (21), 2:0 ილანა (67), 3:0 უბნერი (94)

### ატალანტა 3:1 პისტოიეზე

1:0 სკუგუგია (2 ს.კ.), 2:0 დონი (15პ), 3:0 კაჩა (37), 3:1 ფიორეტი (41)

### კიევო 2:1 ფერმანა

0:1 რაჩინი (13), 1:1 მარაზინა (29), 2:1 კორინი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 8 | 6 | 1 | 1 | 15:7 | 19 |
| ბრეშა | 8 | 5 | 3 | 0 | 13:3 | 18 |
| სამპდორია | 8 | 4 | 3 | 1 | 9:6 | 15 |
| ვიჩენცა | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 13 |
| პესკარა | 8 | 3 | 4 | 1 | 13:11 | 13 |
| ნაპოლი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 |
| ტერნანა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:10 | 12 |
| ტრევიზო | 8 | 3 | 2 | 3 | 15:11 | 11 |
| ალძანო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| რავენა | 8 | 2 | 4 | 2 | 10:8 | 10 |
| ემპოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 5:12 | 10 |
| კიევო | 8 | 3 | 0 | 5 | 11:12 | 9 |
| კოზენცა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 |
| სავოია | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| ჯენოა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| ჩეზენა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:8 | 8 |
| მონცა | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| პისტოიეზე* | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | 6 |
| სალერნიტანა | 8 | 1 | 3 | 4 | 9:16 | 6 |
| ფერმანა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |

* *„პისტოიეზეს" დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

VIII ტური. კრემონეზე — მოდენა 2:1; ლეკო — ალბინოლეფე 1:1; ლუკეზე — კომო 1:0; პიზა — ბრეშელო 1:0; რეჯანა — კარარეზე 1:2; სანდონა — მონტევარკი 0:0; სიენა — ჩიტადელა 0:1; სპალ — ლუმეცანე 1:1; ვარეზე — ლივორნო 1:1

## სერია C1/B

VIII ტური. არეცო — კროტონე 1:1; ატლეტიკო — ნოჩერინა 3:1; აველინო — კატანია 1:2; დი სანგრო — ლოდიჯანი 1:1; ფ. ანდრია — ჯულიანოვა 1:1; გუალდო — ანკონა 1:0; სტაბია — ბენევენტო 4:0; მარსალა — პალერმო 0:0; ვიტერბეზე — ასკოლი 2:2

# ცხრაკაციანი რაიოს მუხრუჭი

## ესპანეთი

IX ტური

### ბარსელონა 4:0 ბილბაო

1:0 კოკუ (38), 2:0 რივალდო (60), 3:0 ფიგუ (77პ), 4:0 დანი (90)
ბარსელონა: არნაუ, სერხი, რაიციგერი, დეუ, აბელარდო, ლუის ენრიკე (რ. დე ბური 46), გვარდიოლა, კოკუ, რივალდო (ზენდენი 65), დანი, ფიგუ (სიმაო 78)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლაკრუსი, ალკორტა, პაჩი ფერეირა, ლარასაბალი, ურუტია (ესკერო 61), ალკისა, ი. გერერო (კარლოს გარსია 61), ურსაისი (ედუ ალონსო 79), ხ. ეჩებერია
გაფრთხილება: ფელიპე, ლარასაბალი, გვარდიოლა, ალკისა, ზენდენი
გაძევება: ლარასაბალი (36)
მსაჯი: სევილია

### ვალენსია 2:0 დეპორტივო

1:0 კილი გონსალესი (27), 2:0 ხერარდი (86)
ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ხერარდი, მენდიეტა, კილი გონსალესი (ფარინოსი 66), ალბელდა, ანგულო, კლაუდიო ლოპესი (ხუან სანჩესი 69), ილიე (სორია 88)
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, რომერო, ჯალმინია, მაურო სილვა, იოკანოვიჩი (ხაიმე 80), ფერნანდო (მაკაი 51), დონატო, პაულეტა (ტურუ ფლორესი 69), ვიქტორი
გაფრთხილება: ანგულო, ჯალმინია, ალბელდა, დონატო
მსაჯი: გონსალესი

### სევილია 1:1 რეალი

1:0 ცარტასი (20), 1:1 რაული (82)
სევილია: ვალენსია, ნანდო, ტაბარე, პრიეტო, პიბიჩი, ექტორი, პოდესტა (ოლივეირა 90), ცარტასი, ფრანსისკო, მარსელო ოტერო (ხესული 81), ხუან კარლოსი (ანხელი 57)
რეალი: ბიზარი, იერო, რობერტო კარლოსი, ხულიო სეზარი, გუტი, ზეედორფი, ივან ელგუერა, კარემბუ (რაული 60), ხერემი, მორიენტესი (სავიო 53, მანუელ სანჩისი 70), ანელკა
გაფრთხილება: ზეედორფი, ნანდო, პოდესტა, ივან ელგუერა, რობერტო კარლოსი, ცარტასი, ექტორი, ხულიო სეზარი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### სელტა 2:1 ესპანიოლი

1:0 გუსტავო ლოპესი (7), 1:1 დე ლუკასი (43), 2:1 ხუანფრანი (94)
სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი, ველასკო, კასერესი, ჯოვანელა, მაკელელე, კარპინი, ხუანფრანი, მოსტოვოი (სერჟიო 90), ბენი მაკკარტი (კავიედესი 79), გუსტავო ლოპესი (რევივო 56)
ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, პოჩეტინიო, როტჩენი, არტეაგა (სანტისი 64), დე ლუკასი (ლოპო 84), ველამასანი, გალკა, მაურო ნავასი, ტამუდო (მარტინ პოსე 56), ბენიტესი
გაფრთხილება: კასერესი, როტჩენი, მოსტოვოი, ბენიტესი, ხუანფრანი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### რაიო ვალეკანო 1:3 ბეტისი

1:0 სემბრანოსი (58), 1:1 ალფონსო (64პ), 1:2 დენილსონი (68), 1:3 ალფონსო (72)
რაიო ვალეკანო: კელერი, ფერონი (ჟილმარი 67), ლორენსი, კოტა, ერნანდესი, ალკასარი, ესტიბარისი, სემბრანოსი, პოშნერი (პაბლო სანსი 83), კანაბალი (კლოტე 46), ბოლო
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო (კანიასი 46), რივასი, კარპანი, ფილიპესკუ, რომერო, ფინიდი (ბენჟამინი 83), დენილსონი, ალექსისი (იტო 80), კროსა, ალფონსო
გაფრთხილება: მერინო, ერნანდესი, კროსა, ლორენსი, ალკასარი
გაძევება: ერნანდესი (35), ალკასარი (63)
მსაჯი: კარმონა მენდესი

### მალიორკა 2:1 მალაგა

1:0 ლორენი (18), 2:0 კინტეროსი (20), 2:1 დე ლოს სანტოსი (50)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, ი. სტანკოვიჩი, ენგონგა (კარერასი 83), ჩიჩი სოლერი, ლორენი, დიეგო ტრისტანი (იბაგასა 79), კინტეროსი (ლეო ბიაჯინი 68)
მალაგა: რაფა, ვალკარსე, როხასი, ლარაინსარი, ბრავო, ისნატა (რუანო 46), მოვილია, დე ლოს სანტოსი, რუფეტი (დარიო სილვა 46), კატანია, ედგარი
გაფრთხილება: მიგელ სოლერი, დარიო სილვა, სივიერო, ვალკარსე, კინტეროსი, მოვილია, ჩიჩი სოლერი
მსაჯი: პერეს ბურული

### სარაგოსა 4:1 რასინგი

1:0 მილოშევიჩი (29), 2:0 ხუანელე (49), 3:0 მილოშევიჩი (75), 3:1 ტაისი (82), 4:1 მილოშევიჩი (89)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, სუნდგრენი, აგუადო, პაბლო, არაგონი (გარიტანო 89), აკუნია, მილოშევიჩი, ველისკა, ჟამელი, ხუანელე (ელგუერა 90)
რასინგი: სებალიოსი, ტაისი, მელბერგი, არსენო, ნერუ (სიეტესი 62), ბილაბონია (მანხარინი 71), ვივარ დორადო, ესპინია, რუშფელტი (ბესჩასტნიხი 60), მუნიტისი, ამავისკა
გაფრთხილება: პაბლო
მსაჯი: ანსუატეგი როჩა

### ატლეტიკო 3:1 ვალიადოლიდი

1:0 კაპდევილა (27), 1:1 ვიქტორი (62), 2:1 სოლარი (69), 3:1 ჰასელბაინკი (90)
ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, შამოტი, გამარა, გასპარი, ბეიბლი, ბარახა, კორეა (ვალერონი 71), ხოსე მარი (უგო ლეალი 93), ჰასელბაინკი, სოლარი (აგილერა 85)
ვალიადოლიდი: სესარი, სანტამარია, გარსია კალვო, პენია, მარკოსი, ჩემა (ლუის გარსია 80), აროლდ ლოსანო, ეუსებიო (ტურიელი 58), ალბერტო (კონგო 57), ვიქტორი, როდრიგო
გაფრთხილება: როდრიგო, ბარახა, შამოტი, აგილერა
მსაჯი: ბრიტო არსეო

### სოსიედადი 1:1 ალავესი

0:1 ასტუდილიო (23), 1:1 ლოპეს რეკარტე (36)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, არანსაბალი, პიკაბეა (ბონილია 75), ლორენი, ანტია, ადეპოჟუ, დე პედრო (ბარკერო 70), გომესი, დე პაულა (ალდეონდო 77), სა პინტუ
ალავესი: ერერა, კონტრა, ეგენი, კარმონა, ტელიესი, ხოსეტე, პაბლო (ასკოიტია 81), დესიო (ხავი მორენო 87), კოდრო, მაგნო (სალკედო 71), ასტუდილიო
გაფრთხილება: დე პედრო, ტელიესი, ადეპოჟუ, კონტრა, ლოპეს რეკარტე
გაძევება: კონტრა (62), ლოპეს რეკარტე (68), ადეპოჟუ (82)
მსაჯი: ანდრეუ

### ოვიედო 1:0 ნუმანსია

1:0 ლოსადა (60)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (ივანი 50), ბორისი, ბანგო, დანჟუ, პომპეი, პაულო ბენტუ, ესკურსა, ლოსადა, დელი ვალდესი (მიოლერი 73), დუბოვსკი
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე, ბელსუე, ივან როჩა, ოქტავიო, მუნისი, კასტანიო (ინიაკი 77), ნაგორე, პაჩეტა, რუბენ ნავარო (ბარბუ 63), ოხედა (მორალესი 63)
გაფრთხილება: ბორისი, კასტანიო, ივანი
მსაჯი: პერეს ლასა


REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ბილბაო 4:0. ბარსელონელმა რივალდომ (№11) და მისმა გუნდმა ვიტორ ალკისა და „ბილბაო“ ასე ამოაყირავეს

**პრიმერადივიზიონში** ახალაღზევებულმა „რაიო ვალეკანომ“ ვერ შეძლო ცხრილის მწვერვალიდან იქ წინა დღეს ასული „ბარსელონას“ გაძევება. სამი მადრიდული კლუბიდან ყველაზე ნაკლებად ცნობილმა შინ „რეალ ბეტისთან“ 1:3 წააგო და მეორე ადგილზეა.

იმ შეხვედრაში „რაიოს“ ორი ფეხბურთელი გაუძევეს მოედნიდან, ორივე მცველი: ერნანდესი და ალკასარი. როგორც კი მადრიდელები მოედანზე ცხრა კაცით დარჩნენ, „ბეტისმა“ ფრთები გაშალა: ესპანეთის ნაკრების წევრმა ალფონსო პერესმა ორი გოლი გაიტანა — აქამდე, მიმდინარე სეზონში, არ გაეტანა — მესამე კი (რიგით მეორე) ბრაზილიელმა დენილსონმა.

„შედეგი იმან განაპირობა, რომ საათნახევრიდან ერთი საათი „ბეტისზე“ ნაკლები ფეხბურთელით ვითამაშეთ. სანამ თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ ვიყავით, ათი საგოლე მომენტი შევქმენით და შინ სწორედ ამ მოგონებით წავალ“ — თქვა პრესკონფერენციაზე „რაიოს“ მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა.

„რეალ სარაგოსას“ თავდამსხმელმა, სავო მილოშევიჩმა „რასინგ სანტანდერთან“ შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა და სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა ათამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ სანტანდერელებს არ ჰყავდათ სალვა ბალესტა, ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ჯერჯერობით მილოშევიჩზე მეტი აქვს შეგდებული.

მადრიდის „ატლეტიკოს“ 3:1 გამარჯვება „ვალიადოლიდთან“, მისი იტალიელი მწვრთნელისთვის, კლაუდიო რანიერისთვის, მცირე ამოსუნთქვის ტოლფასი იყო, თუმცა ბევრსაც არაფერს უნდა ნიშნავდეს: „ატლეტიკომ“ სეზონი ცუდად დაიწყო, ხოლო რანიერი დიდი კრიტიკის ობიექტადაა ქცეული.

ხუან კაპდევილას, სანტიაგო სოლარისა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის — ჰოლანდიელმა სეზონში მეხუთედ შეაგდო — გოლებმა მადრიდელებს ცხრილში მდგომარეობა გამოუკეთა და თავკაცს თავისი მოთამაშეების შექების გუნებ-განწყობა დაუყენა.

„ფეხბურთელები პროგრესის მისაღწევად თავს არ ზოგავენ, ხალხს კი ავიწყდება, რომ ჩვენ ახალი გუნდი გვყავს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ფეხბურთელებისგან შედგენილი. ვიცი, ეს გამარჯვება მთელი სეზონის ვნებათაღელვასთან შედარებით პატარა მოვლენაა, მაგრამ კმაყოფილი გახლავართ, რომ ბიჭების მოწადინება და თავდადება ვიხილე“ — განაცხადა რანიერიმ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ბარსელონამ“ ჩემპიონატის ლიდერის ჩვეული პოზიცია ტურის პირველ დღეს, შაბათს დაიბრუნა: კატალონიელებმა ერთობ იოლად, 4:0 მოიგეს ბილბაოს „ატლეტიკს“, რომელიც 36 წუთის შემდეგ კაცნაკლული ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას.

„ბარსელონამ“ რიცხობრივი უპირატესობა მას მერე მოიპოვა, რაც მსაჯმა აიტორ ლარასაბალი გააძევა მოედნიდან. ამ ინციდენტიდან ორი წუთის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა ტაბლოზეც აისახა: ფილიპ კოკუმ ახლოდან პირველად დალაშქრა ბასკთა გუნდის კარი.

შესვენების შემდეგ, მე-60 წუთზე, მეორე გოლი რივალდომ გაიტანა, შემდეგ ლუიშ ფიგუმ პენალტი დაარტყა შედეგიანად, ხოლო ბოლოს „კამპ ნოუზე“ შეყრილ გულშემატკივარს დანი გარსიამ უძღვნა მეოთხე გოლი.

იმავე საღამოს მადრიდის „რეალმა“ „სევილიასთან“ 1:1 ითამაშა. მადრიდელებს უკვე შვიდი ტურია არ გაუმარჯვიათ. თანაც, „სამეფო გუნდს“ საქმე გასათანაბრებლად გაუხდა. ბერძენი ვასილის ცარტასის ჩინებულ გოლს რაულმა თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრეღა უპასუხა.

„ჯერ სეზონის ბოლომდე დიდი დროა. ჩემპიონის ტიტულის მოგებას მოვასწრებთ. გამარჯვების მოსაპოვებლად ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ ბოლო 30-35 მეტრზე დიდ წინააღმდეგობებს წავაწყდით“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „რეალის“ მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა.

„რეალის“ ხსენება და ნიკოლა ანელკას ამბის მოკითხვა ამ ბოლო დროს ერთი გახდა. რა ქნა მადრიდში ხმაურით გადასულმა ფრანგმა, რომელსაც მისი მტკიცებით ხმაური არ უყვარს?

მას მორიგი, არაფრისმთქმელი საღამო ჰქონდა.

**მიხეილ სურგულაძე**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 9 | 6 | 2 | 1 | 23:9 | 14 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 9 | 6 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 19 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 |
| 3 | სელტა | 9 | 6 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 |
| 4 | სარაგოსა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:6 | 10 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | 12 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 5 | დეპორტივო | 9 | 4 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 9 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 6 | რასინგი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:15 | 2 | 14 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 5 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:10 | 0 | 9 |
| 7 | ესპანიოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:13 | -1 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 3 |
| 8 | ბეტისი | 9 | 4 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | -8 | 3 |
| 9 | რეალი | 9 | 2 | 6 | 1 | 17:14 | 3 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 5 | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 1 | 7 |
| 10 | ალავესი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 11 | ვალიადოლიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:7 | -5 | 2 |
| 12 | ბილბაო | 9 | 3 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 13 | ოვიედო | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 14 | ვალენსია | 9 | 3 | 1 | 5 | 12:11 | 1 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 |
| 15 | მალიორკა | 9 | 3 | 1 | 5 | 12:14 | -2 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | -6 | 0 |
| 16 | ატლეტიკო | 9 | 3 | 1 | 5 | 11:15 | -4 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 2 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 17 | სოსიედადი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:16 | -4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 18 | ნუმანსია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:17 | -8 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 1 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:12 | -9 | 3 |
| 19 | სევილია | 9 | 1 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 20 | მალაგა | 9 | 2 | 2 | 5 | 14:18 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 13 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 10 |
| კატანია (მალაგა) | 7 |
| დანი (ბარსელონა) | 7 |
| რივალდო (ბარსელონა) | 6 |

### X ტური

31 ოქტომბერი

რასინგი — მალიორკა
ესპანიოლი — სარაგოსა
ალავესი — სელტა
ბეტისი — სოსიედადი
ვალიადოლიდი — რაიო
რეალი — ატლეტიკო
ნუმანსია — სევილია
ბილბაო — ოვიედო
დეპორტივო — ბარსელონა
მალაგა — ვალენსია

## მეორე დივიზიონი

XI ტური

### ესტრემადურა 2:1 ლას პალმასი

1:0 მანუელი (45), 2:0 ვიუ (47პ), 2:1 ელოი (89)

### ხეტაფე 1:0 მერიდა

1:0 კაიკუ (78)

### ლევანტე 2:1 ტენერიფე

1:0 ტომასი (17), 1:1 ბარატა (78), 2:1 მიგელი (86)

### ბადახოსი 1:1 ატლეტიკო B

1:0 პატრი (34), 1:1 რაულ მოლინა (63)

### ლოგრონიესი 2:2 კორდობა

1:0 არენასა (49), 1:1 ურისი (61პ), 1:2 აგუადო (76), 2:2 პერესი (86პ)

### ლეიდა 3:1 კომპოსტელა

1:0 როა (14), 1:1 ჩანგუ (54), 2:1 ხოსემი (73), 3:1 როა (75)

### სალამანკა 1:0 ოსასუნა

1:0 ბარბარა (71)

### ალბასეტე 0:0 ლეგანესი

### ეიბარი 2:1 ტოლედო

1:0 არტეჩე (19), 1:1 ფედე მარინი (51), 2:1 რუბენი (83)

### ელჩე 3:1 უელვა

0:1 პუნტასი (6), 1:1 დანი ბორიხერო (64), 2:1 სილასი (83), 3:1 ვილიანოვა (89)

### ვილიარეალი 1:2 სპორტინგი

0:1 მარიო (16), 0:2 ჩერიშევი (29), 1:2 მოიზესი (40)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 11 | 7 | 3 | 1 | 16:8 | 24 |
| ესტრემადურა | 11 | 7 | 3 | 1 | 14:8 | 24 |
| ლას პალმასი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:10 | 22 |
| ლევანტე | 11 | 5 | 4 | 2 | 19:15 | 19 |
| ალბასეტე | 11 | 5 | 3 | 3 | 11:10 | 18 |
| ეიბარი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:12 | 17 |
| ბადახოსი | 11 | 3 | 8 | 0 | 11:8 | 17 |
| ოსასუნა | 11 | 5 | 1 | 5 | 13:12 | 16 |
| სპორტინგი | 11 | 5 | 1 | 5 | 15:16 | 16 |
| ტენერიფე | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 15 |
| ელჩე | 11 | 3 | 5 | 3 | 14:13 | 14 |
| მერიდა | 11 | 3 | 5 | 3 | 10:9 | 14 |
| ლეიდა | 11 | 4 | 2 | 5 | 15:15 | 14 |
| კომპოსტელა | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | 14 |
| კორდობა | 11 | 3 | 4 | 4 | 11:10 | 13 |
| ვილიარეალი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:14 | 13 |
| ლოგრონიესი | 11 | 2 | 6 | 3 | 17:17 | 12 |
| უელვა | 11 | 3 | 3 | 5 | 9:14 | 12 |
| ხეტაფე | 11 | 2 | 4 | 5 | 8:13 | 10 |
| ატლეტიკო B | 11 | 2 | 3 | 6 | 10:17 | 9 |
| ტოლედო | 11 | 1 | 3 | 7 | 6:17 | 6 |
| ლეგანესი | 11 | 0 | 5 | 6 | 7:20 | 5 |

REUTERS ბორდოდან



ბორდო — მარსელი 2:1. ბორდოელი იოან მიკუ (მარცხნივ) მარსელელი სებასტიან პერესის წინააღმდეგ

## საფრანგეთი

XII ტური

**ბორდო 2:1 მარსელი**

0:1 დე ლა პენია (21), 1:1, 2:1 ლასლანდი (23, 87)

**რენი 4:1 სენტ ეტიენი**

1:0 ნონდა (21), 1:1 პედრონი (26), 2:1 ნონდა (54), 3:1 გრეგორი (72), 4:1 დიატა (86)

**პსჟ 3:2 სედანი**

1:0 მადარი (16), 1:1 ნდიეფი (19), 2:1 კრისტიანი (33), 2:2 დებლოკი (46), 3:2 რობერი (75)

**ლიონი 2:1 ნანსი**

0:1 მიკაელ როდრიგესი (23), 1:1 ანდერსონი (32), 2:1 სერჟ ბლანი (59)

**მეცი 3:0 ლე ავრი**

1:0 ასუა (4), 2:0 პადოვანო (53პ), 3:0 ბოფინი (87)

**მონპელიე 1:1 ბასტია**

1:0 ფუჟიე (5), 1:1 პრინსი (10)

**სტრასბური 3:2 ნანტი**

1:0 ბელოსო (4), 1:1 ჟილე (28), 1:2 და როჩა (50), 2:2 ეშუაფნი (55), 3:2 დიეგო გარა (68)

**ტრუა 0:1 ლანსი**

0:1 ნუმა (84)

**მონაკო — ოსერი**

გადაიდო

საფრანგეთის ჩემპიონატს „ლიონი" ლიდერობს. მას ამაში უამინდობა დაეხმარა. საქმე ისაა, რომ გადაუღებელი წვიმის გამო ტურის ცენტრალური მატჩი „მონაკოს" და „ოსერს" შორის გადაიდო. „ლიონმაც" ამით ისარგებლა, ბრაზილიელი სონი ანდერსონის და სერჟ ბლანის გოლებით 2:1 მოუგო „ნანსს". ახლა ისინი ერთი ქულით უსწრებენ „ოსერს". „მონაკო" —„ოსერის" შეხვედრა სავარაუდოდ დღეს გაიმართება. ანდერსონმა კი ამასობაში თავისი მერვე გოლი გაიტანა მიმდინარე სეზონში.

ამ დღეს თითქმის მთელ საფრანგეთში წვიმდა. თუმცა უამინდობამ „მეცი" ვერ შეაშინა. მან აუტსაიდერი „ლე ავრი" 3:0 დაამარცხა. ასეთი რამ ფეხბურთში იშვიათად ხდება: ოთხ ფეხბურთელს თამაშის დატოვება ნაადრევად მოუხდა. საჯარიმოში უხეში თამაშისთვის ჯერ მეცელი ფრედერიკ მეირო გააძევეს. ამ დარღვევისთვის მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა, თუმც სტუმართა სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა — პუჟემ უხეიროდ დაარტყა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე „ლე ავრის" კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც იტალიელმა ლეგიონერმა პადოვანომ ზუსტად შეასრულა. სტუმრები სრული შემადგენლობითაც არ იყვნენ თამაშის მომგებნი და მით უმეტეს, რვანი ვერაფერს გახდებოდნენ. მათ პუჟე, დიავარა და ჰენინი გაუძევეს.

ათი კაცით დაამთავრა შეხვედრა „ლანსმაც". თუმცა მან მაინც მოახერხა სტუმრად „ტრუას" დამარცხება. ეს „ლანსის" მეორე მოგებაა მას შემდეგ, რაც გუნდს ახალი მწვრთნელი ფრანსუა ბრისონი ჰყავს. წითელი ბარათი კი სირილ რულმა მიიღო. სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, ეს ფეხბურთელი სეზონში საშუალოდ 4 წითელ ბარათს იღებს.

„პარი სენ ჟერმენმა" 3:2 მოუგო „სედანს". ამ შეხვედრაში თავისი პირველი გოლი გაიტანა კრისტიანმა. ეს ფეხბურთელი წლეულს შეუერთდა პარიზულ გუნდს. „მისი დღევანდელი თამაში მშვენიერი პასუხია მათთვის, ვინც კრისტიანს აკრიტიკებდა. მე მისი ყოველთვის მჯეროდა" — თქვა პარიზელთა თავკაცმა ფილიფ ბერჟერომ.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა „სტრასბურმა". მან 3:2 მოუგო „ნანტს".

„მონპელიემ" ოთხი წაგების შემდეგ ფრე 1:1 გააზერხა შინ „ბასტიასთან". ტურის ერთ-ერთ უმშვენიერეს მატჩში „ბორდომ" 2:1 მოუგო მარსელის „ოლიმპიკს".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 12 | 7 | 3 | 2 | 15:8 | 24 |
| ოსერი | 11 | 7 | 2 | 2 | 19:13 | 23 |
| ბორდო | 12 | 6 | 3 | 3 | 21:16 | 21 |
| პსჟ | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| მონაკო | 11 | 6 | 2 | 3 | 24:12 | 20 |
| მეცი | 12 | 4 | 6 | 2 | 16:9 | 18 |
| მარსელი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:12 | 17 |
| რენი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:18 | 17 |
| სენტ ეტიენი | 12 | 4 | 4 | 4 | 19:21 | 16 |
| სტრასბური | 12 | 4 | 4 | 4 | 13:17 | 16 |
| სედანი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:23 | 16 |
| ბასტია | 12 | 3 | 5 | 4 | 15:18 | 14 |
| ლანსი | 12 | 4 | 2 | 6 | 8:14 | 14 |
| ნანსი | 12 | 3 | 3 | 6 | 17:18 | 12 |
| ნანტი | 12 | 4 | 0 | 8 | 13:16 | 12 |
| მონპელიე | 12 | 3 | 3 | 6 | 14:19 | 12 |
| ტრუა | 12 | 4 | 0 | 8 | 10:17 | 12 |
| ლე ავრი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | 10 |

### მეორე დივიზიონი

XV ტური. ნიორი — აიაჩო 1:0; ლე მანი — ნიცა 0:0; კანი — ლავალი 0:0; ვალანსი — გენგამი 1:1; ლორიანი — ამიენი 2:0; გენიონი — ლილი 0:1; ტულუზი — ლუანი 2:0; ვასკეალი — შატორუ 0:0; კრეტეი — სოშო 0:0; კაენი — ნიმი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 15 | 12 | 2 | 1 | 24:7 | 38 |
| გენგამი | 15 | 8 | 5 | 2 | 27:19 | 29 |
| ტულუზი | 15 | 8 | 2 | 5 | 23:11 | 26 |
| კაენი | 15 | 7 | 5 | 3 | 20:12 | 26 |
| ნიმი | 15 | 7 | 3 | 5 | 17:14 | 24 |
| გენიონი | 15 | 6 | 5 | 4 | 19:14 | 23 |
| ლე მანი | 15 | 5 | 7 | 3 | 17:17 | 22 |
| კანი | 15 | 6 | 4 | 5 | 13:14 | 22 |
| ლორიანი | 15 | 6 | 3 | 6 | 14:13 | 21 |
| ამიენი | 15 | 4 | 8 | 3 | 16:16 | 20 |
| სოშო | 15 | 5 | 4 | 6 | 16:15 | 19 |
| ლავალი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:14 | 18 |
| აიაჩო | 15 | 5 | 2 | 8 | 16:21 | 17 |
| კრეტეი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:18 | 17 |
| ნიცა | 15 | 2 | 10 | 3 | 11:12 | 16 |
| შატორუ | 15 | 3 | 5 | 7 | 14:23 | 14 |
| ვალანსი | 15 | 2 | 7 | 6 | 13:19 | 13 |
| ნიორი | 15 | 2 | 7 | 6 | 11:19 | 13 |
| ვასკეალი | 15 | 2 | 6 | 7 | 10:18 | 12 |
| ლუანი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:22 | 10 |

## ბელგია

X ტური

**მუსკრონი 3:0 ბევერენი**

1:0 ვანდურენი (55), 2:0 ჟევლაკოვი (58), 3:0 ტეკლაკი (72)

**ჰარელბეკე 1:1 აალსტი**

1:0 ვოსტინი (2), 1:1 ვან ჰავეგენი (57)

**ანდერლეხტი 4:0 გეელი**

1:0 ზეტერბერგი (42პ), 2:0 რადზინსკი (66), 3:0 კოლერი (74), 4:0 რადზინსკი (89)

**გენკი 1:0 ბრიუგე**

1:0 ნსუმბუ (84)

**გენტი 4:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ფიერსი (11), 1:1 ჯოლი (17), 2:1 შეპენსი (44), 2:2 ტეპერსი (45), 3:2, 4:2 არსტი (68, 90პ)

**სტანდარდი 4:1 ლომელი**

1:0, 2:0 მონარი (28, 55), 3:0 დიასი (59), 3:1 ვალიგორა (68), 4:1 ბისკონტი (85)

**შარლერუა 1:1 ლიერსი**

0:1 სნოექსი (10), 1:1 კალმანოსი (60)

**მეხელენი 2:0 ბეერსხოტი**

1:0, 2:0 რიბუსი (14, 63)

**ვესტერლო 3:3 ლოკერენი**

0:1 ვონასეკი (5), 1:1 პორტე (10პ), 1:2 ვან გენეგენი (25), 1:3 ბოეკა ლისასი (48), 2:3 ლამენსი (50), 3:3 ტოელენი (90)

ბელგიის ჩემპიონატის ლიდერმა „ანდერლეხტმა" საკმაოდ ადვილად მოუგო „გეელს" 4:0. მისმა კონკურენტმა „ლიერსმა" მხოლოდ ფრეს მიაღწია გათამაშების ცხრილის შუაში მყოფ „შარლერუასთან" — 1:1. ამ ტურის შემდეგ „ანდერლეხტს" და „ლიერსს" 23-23 ქულა დაუგროვდათ. ბურთების უკეთესი შეფარდების გამო პირველ ადგილზე „ანდერლეხტია", თან „ლიერსთან" შედარებით მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 9 | 7 | 2 | 0 | 28:14 | 23 |
| ლიერსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:11 | 23 |
| გენტი | 10 | 7 | 0 | 3 | 31:18 | 21 |
| გენკი | 10 | 5 | 4 | 1 | 24:14 | 19 |
| ბეერსხოტი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:15 | 17 |
| ბრიუგე | 9 | 5 | 1 | 3 | 21:8 | 16 |
| მეხელენი | 10 | 5 | 1 | 4 | 14:19 | 16 |
| ვესტერლო | 9 | 4 | 3 | 2 | 20:17 | 15 |
| შარლერუა | 10 | 4 | 3 | 3 | 15:13 | 15 |
| მუსკრონი | 10 | 4 | 2 | 4 | 21:18 | 14 |
| აალსტი | 10 | 4 | 2 | 4 | 19:16 | 14 |
| სტანდარდი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:16 | 13 |
| სენტ ტრუიდენი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:23 | 9 |
| ჰარელბეკე | 10 | 1 | 4 | 5 | 10:16 | 7 |
| ლოკერენი | 10 | 1 | 4 | 5 | 12:19 | 7 |
| ლომელი | 10 | 1 | 3 | 6 | 13:25 | 6 |
| გეელი | 10 | 0 | 5 | 5 | 5:20 | 5 |
| ბევერენი | 9 | 0 | 2 | 7 | 9:27 | 2 |

## შოტლანდია

XI ტური

**სენტ ჯონსტონი 1:2 სელტიკი**

1:0 ლოუნდსი (29), 1:1 ბერჩილი (48), 1:2 ვიგჰორსტი (90)

**აბერდინი 2:2 კილმარნოკი**

1:0 ბერნარდი (2), 1:1 კოკარი (50), 2:1 ბერნარდი (57), 2:2 მიტჩელი (90)

**დანდი იუნ. 0:2 მოზერუელი**

0:1 სპენსერი (45), 0:2 ტალე (69პ)

**ჰიბერნიანი 5:2 დანდი**

0:1 ფალკონერი (6), 1:1 მილერი (31), 2:1 ლატაპი (40), 3:1 სოზე (63), 3:2 ფალკონერი (73), 4:2 ლატაპი (79), 5:2 დირკ ლემანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 9 | 8 | 1 | 0 | 25:7 | 25 |
| სელტიკი | 9 | 8 | 0 | 1 | 27:4 | 24 |
| დანდი იუნ. | 10 | 5 | 2 | 3 | 14:14 | 17 |
| ჰართსი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 |
| სტ. ჯონსტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | 12 |
| ჰიბერნიანი | 11 | 2 | 5 | 4 | 18:22 | 11 |
| მოზერუელი | 9 | 2 | 4 | 3 | 16:19 | 10 |
| კილმარნოკი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:11 | 9 |
| დანდი | 11 | 3 | 0 | 8 | 16:24 | 9 |
| აბერდინი | 11 | 1 | 2 | 8 | 11:36 | 5 |

## თურქეთი

მე-17 ტური. ბურსა — გალათასარაი 0:0; ბეშიქთაში — ისთანბული 3:0; გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი 0:1; გიოზთეფე — ადანა 0:1; ვანი — ქოჯაელი 5:0; ერზურუმი — ტრაბზონი 2:1; ფენერბაჰჩე — ანკარაგიუჯიუ 1:1; დენიზლი — ალთაი 2:1; სამსუნი — ანთალია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| გაზიანთეფი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:4 | 16 |
| დენიზლი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:7 | 16 |
| ბეშიქთაში | 7 | 4 | 2 | 1 | 17:4 | 14 |
| ტრაბზონი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 13 |
| ანთალია | 7 | 4 | 1 | 2 | 9:8 | 13 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 3 | 3 | 1 | 12:8 | 12 |
| ალთაი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:8 | 9 |
| გიოზთეფე | 7 | 2 | 3 | 2 | 6:5 | 9 |
| გენჩლერბირლიგი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| ერზურუმი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:14 | 8 |
| ისთანბული | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | 7 |
| სამსუნი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | 7 |
| ადანა | 7 | 1 | 3 | 3 | 9:11 | 6 |
| ქოჯაელი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:13 | 6 |
| ვანი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:13 | 5 |
| ბურსა | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 0 | 2 | 5 | 4:16 | 2 |

## პორტუგალია

VIII ტური

**სეტუბალი 1:1 ფარენსე**

1:0 კონდე (12), 1:1 ევერსონი (31)

**სპორტინგი 2:0 ბრაგა**

1:0 იორდანოვი (51), 2:0 ფრანჩესკი (61)

**გიმარაეში 1:1 პორტუ**

0:1 რიკარდო სილვა (63), 1:1 ჟერალდო ჟუნიორი (82)

**ბენფიკა 1:1 ბოავიშტა**

1:0 ჟოაო პინტუ (32), 1:1 ველიტონ სილვა (82)

**სანტა კლარა 1:1 ამადორა**

1:0 პორტელა (29), 1:1 გომეშ გაუჩო (48)

**სალგეირუში 1:2 ჟილ ვისენტე**

1:0 პაკიტო მარტინსი (22), 1:1 პედრო სანტუში (27), 1:2 ჟორჟე (82)

**მარიტიმუ 3:0 ალვერკა**

1:0 მარიანო ტოდტლი (42), 2:0, 3:0 მარიუშ სიმუდიკა (53პ, 76)

**ლეირია 1:2 კამპომაიორენსე**

0:1 ნოვაისი (11), 1:1 პერეირა (53პ), 1:2 ჟოზე ლეალსონი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 8 | 6 | 2 | 0 | 14:2 | 20 |
| პორტუ | 8 | 4 | 4 | 0 | 13:5 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:7 | 15 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| ბოავიშტა | 8 | 3 | 3 | 2 | 6:6 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| ალვერკა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 11 |
| სანტა კლარა | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | 10 |
| სალგეირუში | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| ბელენენსეში | 7 | 2 | 3 | 2 | 9:6 | 9 |
| რიუ ავე | 7 | 2 | 3 | 2 | 9:13 | 9 |
| ამადორა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:11 | 8 |
| კამპომაიორენსე | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| ლეირია | 8 | 1 | 3 | 4 | 8:11 | 6 |
| სეტუბალი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| ფარენსე | 8 | 1 | 3 | 4 | 5:14 | 6 |
| ბრაგა | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | 4 |

REUTERS ლისაბონიდან



ბენფიკა — ბოავიშტა 1:1. ბოავიშტელი პაულო სოუზა (№2) მეტოქეების ჟოაო პინტუსა და როხერიო მელოსაგან (№19) თავის დაღწევას ცდილობს

## შვეიცარია

XVI ტური

**ქსამაქსი 0:1 გრასჰოპერი**

0:1 შაპუიზა (84)

**არაუ 4:2 დელემონი**

0:1 ბუი (4), 0:2 რომანო (9), 1:2 რომანო (30ს.კ.), 2:2 ვოიჩეკოვსკი (41), 3:2 პავლიჩევიჩი (68), 4:2 ბალდასარი (76)

**ლუგანო 2:2 ივერდონი**

1:0 მორესი (46), 2:0 პეკო (50ს.კ.), 2:1, 2:2 ჩუგა (66, 84)

**ლოზანა 2:1 ლუცერნი**

1:0 გერბერი (6), 2:0 მაცონი (7), 2:1 ვისი (88)

**ბაზელი 4:1 სენტ გალენი**

1:0 კუმანტარაკისი (35), 2:0 კროიცერი (47), 3:0, 4:0 კუმანტარაკისი (63, 70), 4:1 ამოა (78)

**ციურიხი 2:0 სერვეტი**

1:0 ბარტლეტი (32), 2:0 დუგლასი (38)

ციურიხი: პასკოლო, ჯანინი, შტოკლასა, ანდრეოლი, კვენტინი, კასტილიო, კებე, სანტანა, დუგლასი, ყაველაშვილი (ჯამარაული 52), ბარტლეტი (ნდლოვუ 48)

საკმაო შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, „ციურიხმა" მოიგო. ბოლოს ციურიხელებმა გამარჯვება 18 სექტემბერს იგემეს. მაშინ გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდმა შინ „ივერდონს" 1:0 სძლია.

ამჯერად „ციურიხს" უფრო ძლიერი მეტოქე — შარშანდელი ჩემპიონი „სერვეტი" ესტუმრა. ქულების დაკარგვის შემთხვევაში მასპინძლები პირველ რვა გუნდში მოხვედრის, ანუ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს მკვეთრად გაიუარესებდნენ. ეს, როგორც ჩანს, რაიმონდო პონტეს შეგირდებს კარგად ესმოდათ და მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ.

ციურიხელთა ძირითადში გოჩა ჯამარაული ვერ ვიხილეთ. იგი, როგორც იცით, შეუძლოდ იყო, რის გამოც უეფას თასის მატჩიც გამოტოვა. ჯამარაული მეორე ტაიმში 52-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე. პონტეს გადაწყვეტილებით, გოჩამ ყაველაშვილი შეცვალა. ამ დროს მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი გახლდათ. მასპინძელთა წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი სამხრეთაფრიკელმა ლეგიონერმა შონ ბარტლეტმა შეიტანა. მან 32-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ცოტა ხანში კი დუბლის შესრულებაც შეეძლო — მისი თავური ძელს მოხვდა, თუმცა დამატებაზე დუგლასმა ივარგა და ანგარიშში სხვაობა გაზარდა.

მეორე ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად სტუმრები დაეუფლნენ, თუმცა ჟენეველებმა ამით სარგებელი ვერ ნახეს. მატჩის მიწურულს მსაჯმა ჯამარაული გააფრთხილა. ქართველს სიმულაცია არ ეპატია.

ჩემპიონატის ლიდერი „სენტ გალენი" „ბაზელს" ეწვია და 1:4 განადგურდა. შეხვედრის გმირი მასპინძელთა ბერძენი თავდამსხმელი კუმანტარაკისი გახდა, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა. მის სამ გოლს ერთი კროიცერმაც დაამატა. სენტგალენელებმა პრესტიჟის გოლის გატანაც ვერ შეძლეს.

„ლოზანამ" „ლუცერნს" უმასპინძლა. მსაჯის საფინალო სასტვენმა 2:1 დააფიქსირა. მესამე ადგილზე მყოფმა ლოზანელებმა დებიუტშივე მოიგვარეს საქმე. გერბერმა და მაცონიმ შესაბამისად მე-6 და მე-7 წუთებზე გაიტანეს.

მოიგო ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა ციურიხის „გრასჰოპერმა". „კალიები" ნოიშატილს ესტუმრნენ „ქსამაქსთან" სათამაშოდ და ქულაზე მეტს ვერც წამოიღებდნენ, მატჩის მიწურულს შტეფან შაპუიზას თავისი ბომბარდირული თვისებები რომ არ გაეხსენებინა. ექსდორტმუნდელმა 84-ე წუთზე შეაგდო ერთადერთი გოლი.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 16 | 8 | 5 | 3 | 31:22 | 29 |
| ბაზელი | 16 | 7 | 7 | 2 | 23:12 | 28 |
| ლოზანა | 16 | 7 | 6 | 3 | 25:17 | 27 |
| გრასჰოპერი | 16 | 6 | 6 | 4 | 27:20 | 24 |
| სერვეტი | 16 | 7 | 2 | 7 | 26:26 | 23 |
| ივერდონი | 16 | 5 | 7 | 4 | 22:18 | 22 |
| ლუცერნი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:21 | 22 |
| არაუ | 16 | 6 | 3 | 7 | 25:33 | 21 |
| ციურიხი | 16 | 4 | 6 | 6 | 15:21 | 18 |
| ლუგანო | 16 | 4 | 5 | 7 | 21:22 | 17 |
| ქსამაქსი | 16 | 2 | 7 | 7 | 19:28 | 13 |
| დელემონი | 16 | 3 | 4 | 9 | 19:33 | 13 |

## რუსეთი

XXVIII ტური

**დინამო 1:1 სპარტაკი**
1:0 გოლოვსკოი (31პ), 1:1 ტიტოვი (39)

**ლოკომოტივი 1:0 ცსკა**
1:0 ჩუგაინოვი (42)

**ალანია 3:1 შინიკი**
1:0 დემეტრაძე (44), 2:0 ტარლოვსკი (61), 3:0 დემეტრაძე (72), 3:1 კოვარდაევი (81)

**კრილია 3:2 ზენიტი**
1:0 წიკლაური (44), 2:0 ტეტერინი (46), 3:0 კაინოვი (71), 3:1 ოვსეპიანი (78), 3:2 კურტიანი (89)

**ურალანი 3:1 ჩერნომორეცი**
1:0 ტუტიჩენკო (29), 2:0 ავალიანი (40), 3:0 გარინი (74), 3:1 ზაიარნი (80)

**ჟემჩუჟინა 2:2 როტორი**
0:1 ესიპოვი (3), 1:1 დემენკო (44), 2:1 ხრუსტოვსკი (49), 2:2 ესიპოვი (86)

**სატურნი 1:1 როსტსელმაში**
1:0 გავრილინი (60), 1:1 დუიუნი (90)

**ნ. ნოვგოროდი 0:1 ტორპედო**
0:1 კამოლცევი (43)

როგორც მოსალოდნელი იყო, „სპარტაკმა" ჩემპიონობის ოფიციალურად გასაფორმებელი ქულა აიღო და თანაქალაქელ „დინამოს" უეფას თასის საგზურის დაუფლების შანსი შეუნარჩუნა. თუმც კიდევ სამმა მოსკოვურმა კლუბმა სულ არია ყველაფერი ცხრილის პირველ ექვსეულში. „ლოკომოტივმა" ცსკა-ს მოუგო და არმიელების მესამე საფეხურზე დამკვიდრება ნიჟნი ნოვგოროდში გამარჯვებულმა „ტორპედომ" სათუო გახადა. თანაც მომდევნო ტურში ცსკა ეთამაშება „დინამოს", „ტორპედო" კი „სატურნს" მასპინძლობს, ინტერტოტოზე გასვლისთვის მებრძოლი „ზენიტი" უეფაზე მოხვედრის მსურველ „ალანიას" მიიღებს და ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლებს უნდა ველოდოთ.

„სპარტაკის" მსგავსად ჩემპიონატი ნაადრევად დაამთავრეს „ლოკომოტივმა" და „შინიკმა". რკინიგზელებმა ვერცხლი და ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპი გაინაღდეს, იაროსლაველებმა კი — პირველ დივიზიონში დაქვეითება.

როგორც იქნა, იმარჯვა ქართველების „ალანიამ" და კვლავ გაანახლა გოლების გატანა გიორგი დემეტრაძემ. არადა, დემემ 31-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა და ზედიზედ 12 გატანილი პენალტის შემდგომ პირველად მოეცარა ხელი. პირველად ვლადიკავკაზელთა შემადგენლობაში მთელი 90 წუთი ითამაშა გია ჩხაიძემ, რომელმაც ასისტენტობა გაუწია მეორე გოლის ავტორ ტარლოვსკის. თუ დარჩენილ შეხვედრებში რაიმე სასწაული არ მოხდა, გიორგი დემეტრაძე რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდება.



СПОРТ-ЭКСПРЕСС

„სპარტაკი" რუსეთის მეშვიდე ჩემპიონობას ზეიმობს

გაიხარა ქართველების „კრილიამ". სამარელებმა მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს „ზენიტთან" და უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად ბრძოლაში ოდნავ ამოისუნთქეს. აღსანიშნავია „კრილიას" ქართული ლეგიონის წარმატებული თამაში. თავდამსხმელმა ზურაბ წიკლაურმა ანგარიში გახსნა, მანამდე კი მეკარე დავით გვარამაძემ პენალტი აუღო სანკტპეტერბურგელ ბაბის და თანაგუნდელები მდევრის როლისგან იხსნა.

უჭირს ბადრი სპანდერაშვილის „ჩერნომორეცს". ელისტაში ნასტუმრევ ნოვოროსიისკელებს ყალმუხეთის ბუნება პირველი თოვლით შეეგება. მიუხედავად ამისა, სტადიონზე ანშლაგი იყო და ქომაგობით გამხნევებულმა „ურალანმა" შანსი არ დაუტოვა „ჩერნომორეცს". ეს შეხვედრა ცუდ მოგონებად დარჩება სპანდერაშვილს. მეორე გოლი სტუმართა კარში სწორედ მისი შეცდომის შედეგად გავიდა — ბადრიმ მეტოქეს ჩააბარა ბურთი და ვეტერანმა ავალიანმა ნაჩუქარი შანსი კარგად გამოიყენა.

სუსტი მსაჯობით აღინიშნა ორი აუტსაიდერის — „ჟემჩუჟინა" — „როტორის" მატჩი, თუმცა ორივე გუნდმა შეძლო ქულის აღება და საქმე სკანდალამდე არ მისულა. ეს ფრე იქნებ საბედისწერო გამოდგეს სოჭელებისთვის, რომლებიც მომდევნო ტურში „როსტსელმაშს" სტუმრობენ და ძალიან გაუჭირდებათ გამარჯვების მიღწევა. როსტოველები ინტერტოტოს საგზურს შესციცინებენ და საეჭვოა, „ჟემჩუჟინას" უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაში ხელი წაუკრან.

და მაინც, წინასწარ ძნელია, იმის თქმა, თუ ვინ მიჰყვება „შინიკს". „ჩერნომორეციც" და „ნ.ნოვგოროდიც" რეალური კანდიდატები არიან. რაც შეეხება „როტორს", ვოლგოგრადელები 29-ე ტურში რუსეთის გათამაშებაში უმოტივაციოდ დარჩენილ „ლოკომოტივს" მასპინძლობენ და არა მგონია, უეფას თასზე ინგლისურ „ლიდსთან" საპასუხო მატჩის მომლოდინე რკინიგზელებმა თავი შეაკლან ვოლგისპირელებს.

**ხვიჩა სანიძიძე**

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| დემეტრაძე | (ალანია) | 21 |
| ტიხონოვი | (სპარტაკი) | 18 |
| კულიკი | (ცსკა) | 14 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 29 | 21 | 6 | 2 | 72:24 | 69 |
| ლოკომოტივი | 28 | 19 | 5 | 4 | 59:29 | 62 |
| ცსკა | 28 | 14 | 9 | 5 | 51:27 | 51 |
| ტორპედო | 28 | 13 | 10 | 5 | 37:30 | 49 |
| ალანია | 28 | 12 | 6 | 10 | 52:40 | 42 |
| დინამო | 28 | 11 | 8 | 9 | 41:36 | 41 |
| როსტსელმაში | 28 | 10 | 8 | 10 | 30:33 | 38 |
| ზენიტი | 28 | 9 | 10 | 9 | 34:32 | 37 |
| ურალანი | 28 | 10 | 5 | 13 | 27:33 | 35 |
| კრილია | 29 | 8 | 6 | 15 | 38:48 | 30 |
| სატურნი | 28 | 7 | 9 | 12 | 27:37 | 30 |
| ნ. ნოვგოროდი | 28 | 8 | 5 | 15 | 29:45 | 29 |
| ჩერნომორეცი | 28 | 7 | 7 | 14 | 27:45 | 28 |
| როტორი | 28 | 6 | 10 | 12 | 34:49 | 28 |
| ჟემჩუჟინა | 28 | 5 | 10 | 13 | 27:52 | 25 |
| შინიკი | 28 | 4 | 8 | 16 | 19:44 | 20 |

## ჰოლანდია

X ტური

**აიაქსი 6:1 დენ ბოსხი**
1:0 მახლასი (29), 2:0 ლაუდრუპი (31), 2:1 მიხელსი (33), 3:1 მახლასი (51), 4:1 კნოპერი (58), 5:1 მახლასი (88), 6:1 ვიჩგე (89)
აიაქსი: გრიმი, ნიუვენბურგი, ვინტერი, ვერლაატი (კ. კანუ 66), ჩივუ, ობრაიენი, კნოპერი, ვიჩგე, ლაუდრუპი, მახლასი, ვამბერტო (შ. არველაძე 46)

**ფეიენოორდი 2:1 ნაიმეგენი**
1:0 კონტერმანი (45), 1:1 რენფურმი (62), 2:1 ბოსველტი (64)

**უტრეხტი 4:1 ვალვაიკი**
1:0 ვან დერ ჰაგი (24), 2:0 დე იონგი (40), 3:0 ცვანცვიკი (74), 4:0 დე იონგი (78პ), 4:1 ლანკორი (84)

**როდა 0:1 ვიტესი**
0:1 ვან ჰოიდონკი (80)

**კამბური 1:0 გრააფსხაპი**
1:0 შარენბურგი (22)

**ტილბურგი 1:0 მაასტრიხტი**
1:0 სანუ (75)

**პსვ 2:2 ტვენტე**
1:0 ვან ნისტელროოი (30), 2:0 კოლკა (69), 2:1, 2:2 სკოტ ბუტი (87, 88)

**სიტარდი 3:2 სპარტა**
1:0 კიკენსი (16), 1:1, 1:2 ელ ხატაბი (32, 33), 2:2 ჰამინგი (38), 3:2 ვოლმერი (64)

**ალკმარი 0:1 ჰერენვენი**
0:1 დენიბუმი (62)

ჰოლანდიის ჩემპიონატის წინა ტურში „პსვ ეინდჰოვენმა" 7:0 მოუგო „დენ ბოსხს". „აიაქსმა" თავისი ძირითადი კონკურენტის დაწყებული საქმე გააგრძელა და „დენ ბოსხი" ამჯერად 6:1 დაამარცხა.

ანგარიში 29-ე წუთზე მახლასმა თავურით გახსნა. ორი წუთის შემდეგ კნოპერის დარტყმული მეკარემ ცუდად მოიგერია და ლაუდრუპმა ანგარიში ორამდე გაზარდა. აიაქსელები ჯერ კიდევ გატანილ გოლს ზეიმობდნენ, როდესაც მიხელსმა საპასუხო შეაგდო. ეს გოლი „დენ ბოსხისთვის" ერთადერთი აღმოჩნდა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, კრისტიან ჩივუმ მახლასს ჩააწოდა და ბერძენმაც ამ მატჩში თავისი მეორე გოლი გაიტანა. 58-ე წუთზე კნოპერმა მეოთხედ გაახარა თანაგუნდელები. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე შოთა არველაძე მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. მეკარემ ჩვენებური მოცელა. თანაგუნდელებმა პენალტის დარტყმა მახლასს მიანდეს, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა. „დენ ბოსხის" განადგურება ვიჩგემ დაასრულა. 6:1 „აიაქსის" სასარგებლოდ.

ამ ტურში პსვ „ტვენტეს" მასპინძლობდა. მასპინძლები 30-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ დააწინაურა. 69-ეზე კოლკამ მეორეც შეაგდო. „პსვ" უკვე თავის ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას ზეიმობდა ჩემპიონატში, მაგრამ მატჩის მიწურულს დაცვის ზედიზედ ორმა უხეშმა შეცდომამ ყველაფერი წყალში ჩაუყარათ. „ტვენტეს" ფეხბურთელმა, სკოტ ბუტმა 87-ე და 88-ე წუთებზე შეძლო თავის გამოჩენა და თამაშიც 2:2 დამთავრდა.

„აიაქსმა" 26 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. პსვ-ს 1 ქულით ნაკლები აქვს, თუმცა პოტენციური ლიდერია, ერთი თამაში მარაგში აქვს.

ჩემპიონმა „ფეიენოორდმა" როგორც იქნა, შეწყვიტა მოუგებელი თამაშების სერია. მან „ნაიმეგენი" დაამარცხა 2:1. პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში კონტერმანმა გახსნა. 62-ე წუთზე რენფურმა გაათანაბრა, მაგრამ „ფეიენოორდი" არ დაბნეულა. ორიოდე წუთის შემდეგ ბოსველტმა გამარჯვების გოლი შეაგდო. „ფეიენოორდი" ამ გამარჯვებით მე-6 ადგილზე გადავიდა. მას 10 თამაშიდან 18 ქულა აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 10 | 8 | 2 | 0 | 37:14 | 26 |
| პსვ | 9 | 8 | 1 | 0 | 42:8 | 25 |
| ტილბურგი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:19 | 22 |
| როდა | 10 | 6 | 1 | 3 | 16:12 | 19 |
| ჰერენვენი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:12 | 19 |
| ფეიენოორდი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:8 | 18 |
| ვიტესი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:14 | 18 |
| ტვენტე | 10 | 4 | 5 | 1 | 14:9 | 17 |
| ალკმარი | 10 | 5 | 1 | 4 | 19:16 | 16 |
| უტრეხტი | 10 | 5 | 0 | 5 | 13:15 | 15 |
| ვალვაიკი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:19 | 14 |
| სპარტა | 10 | 3 | 0 | 7 | 16:26 | 9 |
| გრააფსხაპი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:13 | 7 |
| სიტარდი | 10 | 2 | 1 | 7 | 12:20 | 7 |
| მაასტრიხტი | 10 | 1 | 2 | 7 | 13:28 | 5 |
| კამბური | 10 | 1 | 2 | 7 | 7:22 | 5 |
| დენ ბოსხი | 10 | 1 | 2 | 7 | 11:31 | 5 |
| ნაიმეგენი | 9 | 1 | 1 | 7 | 12:22 | 4 |

# ლიგაში დაქანცულს ვერ ნახავთ

CHAMPIONS LEAGUE

### ჩემპიონთა ლიგა. მეექვსე ტური

„ყველაფერს ჩვენი დაცვის თამაში გადაწყვეტს. თუ იგი „რეალის" თავდამსხმელებს შეავიწროვებს და მოედნის შუისკენ დაწევს, მაშინ მოსალოდნელ სირთულეებს თავიდან ავიცილებთ" — ვარაუდობს პირეოსის „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი დუშან ბაევიჩი და ფეხბურთელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშისთვის ამზადებს.

ჩემპიონთა ლიგის E ჯგუფს ამ შეხვედრაში ბერძენთა მთავარი იმედი გამთამაშებლად გამწესებულ ზლატკო ზაჰოვიჩსა და სტოპერ კირიაკოს კარატაიდისს დაეყრდნობა, ხოლო დისკვალიფიცირებული თავდამსხმელი ჯოვანი მოედანზე არ იქნება. მის ნაცვლად ვეტერანი სინიშა გოგიჩის ხილვაა მოსალოდნელი.

„რეალს" არ ეყოლება სავიო. მან შაბათს, „სევილიასთან" შეხვედრაში ბარძაყის კუნთი იტკინა. დაცვაში კრისტიან კარემბუს მაგივრად — „სევილიასთან" ცუდად ითამაშა — ჯონ ტოშაკი, ალბათ, ისევ მიჩელ სალგადოს ენდობა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში „პორტუ" „მოლდეს" უმასპინძლებს. მასპინძლებმა არ იციან შეძლებს თუ ვერა ბრაზილიელი ცენტრალური მცველი არჟელ ფუქსი თამაშს. წინა ტურში, „რეალთან" დაშავებული მოთამაშის ბედი ექიმების სიტყვაზეა დამოკიდებული. თუ მას ტკივილი ვერ დაუამეს, თანამემამულე ალოიზიო ალვეში შეცვლის.

„პორტუს" მწვრთნელი, ფერნანდო სანტოსი ამბობს, რომ მისი გუნდის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ცუდ ფიზიკურ ფორმაშია. მარიო ჟარდელი და დეკო სოუზა მან ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში, „ვიტორია გიმარაეშის" წინააღმდეგ, სასტარტო შემადგენლობაში სულაც არ შეიყვანა.

სტუმართაგან არ იქნება კაპიტანი კნუტ ანდერს ფოსტერვოლდი. მისი ცოლი მოსალოგინებელია.

F ჯგუფში, წინა ტურში „რეინჯერსისგან" 4:1 ჩარტყმული „პსვ" „ბაიერნს" მასპინძლობს. ეინდჰოვენელთათვის ეს შეხვედრა მხოლოდ ორიოდ დამატებითი დოლარისა და თავმოყვარეობის აღდგენის ფუნქციას ატარებს. გუნდს ძველებურად დაცვის პრობლემა აქვს. დაშავებულები გახლავან იური ნიკიფოროვი და მეკარე ივიცა კრალი.

„ბაიერნი" ვერც ამჯერად ათამაშებს მეკარე ოლივერ კანს. მოედანზე არც ნახევარმცველი თომას შტრუნცი იქნება, ისევე, როგორც გრიპთან მებრძოლი მეჰმეთ შოლი.

„ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი, ძნელი თამაში გველის, მაგრამ შანსები კარგი გვაქვს, რადგან შემადგენლობა ცნობილი და მოწესრიგებული გვყავს" — ამბობს ბავარიელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი.

„რეინჯერსი" კი „ვალენსიას" ურიგო ხასიათზე არ ელის. გლაზგოელები „ჰართსთან" შეთანხმდნენ და შოტლანდიის პრემიერლიგის მატჩი გადასდეს, რამაც მწვრთნელს, დიკ ადვოკაატს, არტურ ნუმანისა და კლაუდიო რეინას აღდგენითი პროცესის თავის გემოზე მართვის საშუალება მისცა. „ვალენსიას" შვედი მცველის იოახიმ ბიორკლუნდის მოედანზე ყოფნა — არყოფნის ამბავი აწუხებს. მის მაგივრად, ალბათ, მიროსლავ ჯუკიჩი ითამაშებს.

გადავედით G ჯგუფზე, საიდანაც „ბორდოს" შემდგომ ეტაპზე თამაში უკვე გარანტირებული აქვს. ჟირონდელები ამჟამად პრაღის „სპარტას" მასპინძლობენ, ოღონდ დაშავებული ნახევარმცველის სტეფან ზიანის გარეშე. ვერ ითამაშებს პასკალ ფეინდუონოც, რომელიც გვინეელი გახლავთ და თავისი ქვეყნის 21 წლამდელთა ნაკრებშია გამოძახებული.

„სპარტა" ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს. თუ მან „ბორდოსთან" ქულების გაყოფა მაინც შეძლო, ხოლო „სპარტაკმა" „ტილბურგთან" წააგო, მაშინ იგიც შემდეგ ეტაპზე გავა და ამიტომ ჩეხეთის პირველობის ბოლო ტურის შეხვედრაში ოთხი ფეხბურთელი დაასვენა.

მაგრამ ძალიან საეჭვოა „სპარტაკმა" „ტილბურგთან" წააგოს. მოსკოველები, შაბათს, „დინამოსთან" 1:1-ის შემდეგ მეშვიდედ გახდნენ რუსეთის ჩემპიონები, დღეს კი ავადმყოფი მწვრთნელის, ოლეგ რომანცევის გამოჯანმრთელებასაც ელიან და კიდევ, თუ შემდგომ ეტაპზე გასვლა სურთ, ამ შეხვედრაში უეჭველად უნდა გაიმარჯვონ. მათ კვლავ დისკვალიფიცირებული ჰყავთ ბრაზილიელი ფორვარდი ლუის რობსონი.

დაბოლოს ჯგუფი H, სადაც ბერლინის „ჰერტა" სტამბოლის „გალათასარაის" მასპინძლობს, ხოლო „მილანი" ლონდონის „ჩელსის".

„ჩემპიონატის ბოლო ტურში, „შტუტგარტს" რომ ვერ მოვუგეთ, ყველამ ნახა, რომ თამაშის ბოლოს გუნდი გადაიღალა, ჩემპიონთა ლიგაში კი ყველანი ბოლო წამამდე, ერთი მეორეზე მეტს დავრბივართ" — განაცხადა „ჰერტას" მოთამაშემ, დარიუს ვოშმა.

ბერლინელებს დაუბრუნდებათ ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული კოსტას კოსტანტინიდისი, სხვა მხრივ კი ყველაფერი ძველებურადაა მოსალოდნელი.

„გალათასარაის" დაუშავდნენ გეორგე ჰაჯი და ჰაქან შუქური. ამბობენ, რომ მათ შეიძლება ვერ ითამაშონ. დისკვალიფიცირებულნი არიან ჰაქან უნსალი და დავალა უმითიც, მეკარე კლაუდიო ტაფარელს კი შეუძლია მოედანზე დაბრუნდეს.

რაც შეეხებათ მილანელებს, მათ ლონდონელების წინააღმდეგ შეხვედრაში ეყოლებათ მოთამაშეები, რომელთაც შაბათს, იტალიის პირველობაზე, „ინტერთან" ვერ ითამაშეს — ალესანდრო კოსტაკურტა და თომას ჰელვეგი. საეჭვოა ლეონარდოსა და დემეტრიო ალბერტინის ამბავი.

„ჩელსი" ჯანლუკა ვიალის სრული შემადგენლობით მიჰყავს თავის სამშობლოში. ერთადერთი ოდნავ დაშავებული გრემ ლე სო გახლავთ, ხოლო რობერტო დი მატეო ვარჯიშს შეუდგა.

ლონდონელებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ.

**მიხეილ სურგულაძე**



ჯანლუკა ვიალიმ „ჩელსი" მილანში სრული შემადგენლობით ჩაიყვანა

# მსოფლიოს თასი

# სამხრეთელ ბობოლებს საფრანგეთიღა შერჩათ

23 ოქტომბერი, კარდიფი

**უელსი 9(9):24(10) ავსტრალია**

**უელსი:** ჰოვარტი, ტომასი (ბეიტმანი 52), ტეილორი, გიბსი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი, ჰოულეი (კაპ.), სინკინსონი, ს. ქუინელი, ჩარვისი, ვიატი, კ. ქუინელი (ვოილი 72), იანგი (ევანსი 37), გ. ჯენკინსი, როჯერსი (ლუისი 72)
3 ს — ნ. ჯენკინსი (9, 19, 30)
**ავსტრალია:** ბარკი, ტიუნი (ლითლი 78), ჰერბერტი, ჰორანი, როფი, ლარკჰემი, გრეგანი, უილსონი, სტრაუსი, კოკბეინი (ფინეგანი 60), ილზი (კაპ.) (კონორსი 80), გიფინი, ბლეიდზი, ფოლეი, ჰარი
3 ლ — გრეგანი (6, 80), ტიუნი (65); 3 გ. და 1 ს — ბარკი (12)
**მსაჯი:** კ. ჰოუკი (ახალი ზელანდია)

უელსის ნაკრებს დიდი შანსი ჰქონდა მსოფლიოში საუკეთესო გამხდარიყო. ბრიტანელები ტურნირს მასპინძლობდნენ, მათი მთავარი მწვრთნელი, ზელანდიელი გრეჰემ ჰენრი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია, შესაშურ ფორმაში იყო გუნდის ლიდერი ნილ ჯენკინსი, მაგრამ საკმაოდ ძლიერ ავსტრალიის ნაკრებთან უელსელთა დაპირისპირება მარცხით დასრულდა. „ვოლაბები" ნახევარფინალში გავიდნენ. მასპინძლები კი ტურნირს მაყურებლის როლში ჩაამთავრებენ.

ანგარიში ავსტრალიელებმა გახსნეს. მე-6 წუთზე ჯო როფი ოსტატურად დაუსხლტა მეტოქის დაცვას და კარგ პოზიციაში მყოფი გრეგანი მოძებნა. მანაც დაუფასა გარჯა თანაგუნდელს და ლელო გაიტანა. ბარკმა ზუსტად გარდასახა. რამდენიმე წუთში უელსელმა ნილ ჯენკინსმა საჯარიმო დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ იმავე ბარკმა ასევე საჯარიმოდან კვლავ გაზარდა თავისი გუნდის უპირატესობა, თუმცა მსოფლიოს ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ ნილ ჯენკინსმა, უელსელებს ტაიმი მინიმალური სხვაობით დაათმობინა. ერთ მომენტში კი, როდესაც ანგარიში 9:10 იყო, ბრიტანელთა მეათე ნომერმა არეკნი შეასრულა, მაგრამ ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა მიზანს.

მეორე ნახევარში ავსტრალიელთა უპირატესობაში გამოიკვეთა. „ვოლაბები" გაახრებულად და რაც მთავარია, შედეგიანად უტევდნენ. 65-ე წუთზე გრეგანმა მეორედ დალაშქრა მეტოქის სალელოე მოედანი. რამდენჯერმე უელსელებსაც შეეძლოთ ლელოს გატანა, მაგრამ ბოლო წამს სცოდავდნენ. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტიუნმა საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩს. ბრიტანელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ არც დრო ეყოთ და არც ოსტატობა. ავსტრალიელები ნახევარფინალში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონს სამხრეთ აფრიკას დაუპირისპირდებიან.

24 ოქტომბერი, მარიფილდი

**ახალი ზელანდია 30(25):18(3) შოტლანდია**

**ახალი ზელანდია:** უილსონი, უმაგა (გიბსონი 77), კალენი, იერემია, ლომუ, მერთენსი (ბრაუნი 40), მარშალი, კრომფელდი, რენდელი (კაპ.), ტორნი, ბრუკი, მაქსველი (ჯონსი 63), დოუდი, ოლივერი (ჰემეტი 61), ჰოფტი (მეუვსი 75)
4 ლ — უმაგა (13, 40), უილსონი (15), ლომუ (61); 2 გ — მერთენსი (13, 15); 2 ს — მერთენსი (7, 24)
**შოტლანდია:** მეტკალფი, კ. მიურეი, ტეიტი, მეიერი, ლოგენი, თაუნსენდი, არმსტრონგი (კაპ.), პოუნტნი, სიმპსონი, ლესლი, ს. მიურეი, ვეირი (გრიმზი 57), ბარნელი (გრეჰემი 55), ბალოკი (რასელი 69), სმიტი
2 ლ — პოუნტნი (67), კ. მიურეი (80); 1 გ — ლოგენი (67); 1 ს — ლოგენი (20); 1 ა — თაუნსენდი (49)
**გაფრთხილება:** ბრუკი (65)
**მსაჯი:** ე. მორისონი (ინგლისი)

ახალი ზელანდია ფავორიტი იყო და მოიგო კიდეც. მოიგო მიუხედავად მცირეოდენი სირთულეებისა, რაც გარკვეულწილად წვიმის ბრალი იყო.

მატჩი შოტლანდიის შეტევებით დაიწყო, მაგრამ მათ მოწინააღმდეგის დაცვის გასაღები ვერაფრით მოარგეს. ზელანდიელებმა კი მეტოქის ნახევარზე პირველივე გადასვლისთანავე გახსნეს ანგარიში. მე-7 წუთზე მერთენსმა ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ხუთ წუთში ტანა უმაგამ ლელოც გაუტანა სკოტებს, რასაც მალევე ჯეფ უილსონის ლელო მოჰყვა და სამხრეთელები საგრძნობლად დაწინაურდნენ — 17:0.

შოტლანდიაც არ იყო უქმად, ბევრსაც უტევდა, მაგრამ ბოლო ფაზაში ჯარიმდებოდა. მათი იერიშები ძირითადად „შავების" ჩათვლის მოედანთან იფუშებოდა, სადაც ზელანდიელთა დაცვა ფაქტობრივად გაუვალი იყო. ტაიმის ბოლო წუთზე კი სკოტებმა მესამე ლელოც გაუშვეს. თავი ისევ უმაგამ გამოიჩინა. ახალზელანდიელთა სამწუხაროდ, ამ შეტევაში მათი დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი დაშავდა. მას მარცხენა მუხლი ეტკინა.

ანგარიში 25:3 იყო და წესით მეორე ტაიმი უბრალო ფორმალობადღა უნდა ქცეულიყო. თუმცა შოტლანდიელთა თავგანწირვამ და ზელანდიელთა ნაადრევად დამშვიდებამ სულ სხვაგვარი შედეგი გამოიღო. „ოლ ბლექსის" ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბის — ჯონა ლომუს წინააღმდეგ თამაშში სკოტმა კამერონ მიურეიმ გამოიჩინა თავი. მან რამდენჯერმე კარგად შებოჭა მეტოქე, მაგრამ 61-ე წუთზე ლომუმ თავისი ლელო მაინც გაიტანა.

თითქოს ევროპელები საბოლოოდ უნდა გამტყდარიყვნენ, თუმც ასე არ მოხდა. 66-ე წუთზე პოუნტნიმ შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ზელანდიელებმა თამაშის დაწყნარება გადაწყვიტეს და ეს კარგადაც გამოუვიდათ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მათ შეტევებზე ხელი აიღეს, მაგრამ მეტი ქულა ვეღარ მიითვალეს. ეს, ალბათ, წვიმის ბრალი იყო, რადგან სველი ბურთი ხშირად ხელიდან უვარდებოდათ. ისე, „ოლ ბლექსს" დერეფანშიც საკმაოდ გაუჭირდა, რაც ერთობ მოულოდნელი იყო.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი კამერონ მიურეიმ მეორე ლელო გაიტანა, რითაც კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ „მთაკაცი" ლომუ დაცვაში საკმაოდ მოიკოჭლებს. ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ამას ფრანგები.

24 ოქტომბერი, დუბლინი

**საფრანგეთი 47(27):26(20) არგენტინა**

**საფრანგეთი:** გარბაჟოზა (მოლა 80), ბერნა-სალი, დურთი (გლა 80), ნტამაკი, დომინისი, ლამეზონი, გალტიე (ს. კასტანიედი 69), მანი, ჟუიე (კოსტი 68), მ. ლიევრემონი, ბრუზე, ბენაზი (ორადუ 80), ტურნერი, იბანესი (კაპ.) (დალ მაზო 74), სულეტი (დე ვილიე 59)
5 ლ — გარბაჟოზა (7, 78), ბერნა-სალი (11, 73), ნტამაკი (28); 5 გ. და 4 ს — ლამეზონი (2, 33, 51, 72)
**არგენტინა:** კორლეტო, კამარდონი, სიმონე (მ. კონტეპომი 74), არბიზუ (კაპ.), ალბანეზე, კესადა (ფ. კონტეპომი 60), პიჩოტი (ფერნანდეს-მირანდა 80), მარტინი, ლონგო, ფელანი (ოსტილია 61), ალუბი, ლობე (რუისი 32), რეჯიარდო (სკელზო 49), ლედესმა (კანალდა 80), გრაუ
2 ლ — პიჩოტი (23), არბიზუ (40); 2 გ — კესადა; 4 ს — კესადა (25, 39, 53), ფ. კონტეპომი (69)
**გაფრთხილება:** ლიევრემონი (9), რეჯიარდო (48)
**მსაჯი:** დ. ბევანი (უელსი)

საფრანგეთს ძალიან გაუმართლა! გაუმართლა არა ამ თამაშში, არამედ საერთოდ. ჯერ იყო და სატურნირო ბადეში ნახევარფინალამდე არც ერთ სამხრეთელ ბობოლას არ ხვდებოდა. თუმცა მეოთხედფინალში დუბლინში ირლანდიის დამარცხება ნამდვილად უძნელესი საქმე იქნებოდა, მაგრამ ფრანგებს ამოცანა არგენტინელებმა გაუიოლეს. ლანსში „პუმებმა" „სამყურებს" სძლიეს და „მამლებიც" უტეხ ირლანდიურ სულს აღარ შეჭიდებიან. არგენტინა კი გაცილებით სუსტი მეტოქე გამოდგა.

ერთი სიტყვით, ამ მეოთხედფინალში წესით საფრანგეთს უნდა მოეგო და ასეც მოხდა. დაიწყო თუ არა მატჩი, ევროპელები შეტევაზე გადავიდნენ. ანგარიში ლამეზონმა მე-3 წუთზე გახსნა ზუსტი საჯარიმო დარტყმით. მალე კი ფრანგებმა ორი ლელოც გაიტანეს. ლამეზონმა ორივე ლელო გარდასახა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა. თუმცა არგენტინა უბრძოლველად დანებებას სულაც არ აპირებდა. სამხრეთამერიკელებმა მეტოქის სუსტი მხარე — ყურადღების მოდუნება — მშვენივრად გამოიყენეს და პიჩოტმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. კესადამ გარდასახვა ზუსტად დაარტყა, ერთი საჯარიმოც მიაყოლა და 17:10.

საფრანგეთი მალე გამოერკვა და ემილ ნტამაკმა 28-ე წუთზე მესამე ლელო გაიტანა, მაგრამ ტაიმის უკანასკნელ წუთზე არბიზუმაც იყოჩაღა და პირველი ორმოცწუთეული 26:20 დამთავრდა. შესვენებამდე ფრანგები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ (8-ჯერ) და დერეფნის მოგებასაც ვერაფრით ახერხებდნენ, მაგრამ მათი გამთამაშებელი ლამეზონი ისე კარგად ურტყამდა, ტაიმის უმეტესი ნაწილი ბურთაობა არგენტინის ნახევარზე მიმდინარეობდა.

ფრანგები შესვენების მერეც ცდებოდნენ, მაგრამ „პუმებმა" ამით ბევრი ვერაფერი იხეირეს. მათ მხოლოდ სამი ქულის გაქვითვა შეძლეს, შეხვედრის ბოლოს კი დაღლაც შეეტყოთ და „მამლებმაც" გაილაღეს. ბერნა-სალმა და გარბაჟოზამ კიდევ ორი ლელო გაიტანეს და გამარჯვებულიც გაირკვა.

არგენტინამ წააგო, თუმცა მისთვის მეოთხედფინალში თამაშიც უდიდესი წარმატებაა და შინ „პუმები" თავაწეულნი დაბრუნდებიან.

საფრანგეთს კი ნახევარფინალში ახალი ზელანდია ელის...

24 ოქტომბერი, სენ-დენი

**სამხრეთ აფრიკა 44 (16):21(12) ინგლისი**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, კაიზერი, ფლეკი, მალერი, როსოუ, დე ბეერი, ვან დერ ვესტჰოიზენი (კაპ.), ა. ვანტერი, სკინსტადი (ვოსი 76), ერასმუსი, ენდრიუსი (ვან დენ ბერგი 68), ოტო, ვიზაჟი, დროცკი, დიუ რანდტი (ლე რუ 62)
2 ლ — ვან დერ ვესტჰოიზენი (37), როსოუ (80); 2 გ. და 5 ს — დე ბეერი (4, 9, 24, 78, 79); 5 ა — დე ბეერი (44, 46, 54, 71, 75)
**ინგლისი:** პერი, ბეილი (ჰილეი 56), გრინვუდი, დე გლენვილი (კეტი 71), ლაჯერი, გრეისონი (უილკინსონი 56), დეისონი (კორი 72), ბეკი, დალალიო, ჰილი, გრივკოკი, ჯონსონი (კაპ.), ვიკერი, გრინინგი, ლეონარდი
7 ს — გრეისონი (2, 6, 11, 17, 41, 48), უილკინსონი (62)
**მსაჯი:** ჯ. ფლემინგი (შოტლანდია)

ეს მატჩი დაძაბული რომ იქნებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, რომელი გუნდი გააგრძელებდა ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ინგლისიც და სამხრეთ აფრიკაც მსოფლიო რაგბის გრანდები არიან და, ცხადია, არც ერთი მათგანი არ აპირებდა ტურნირის მეოთხედფინალიდან გავარდნას.

მატჩი „ქურციკების" შეტევებით დაიწყო, მაგრამ თავდაპირველად ბრიტანელები დაწინაურდნენ. პირველი ტაიმი თამამად შეიძლება მოინათლოს აფრიკელი დე ბეერისა და ინგლისელი გრეისონის დაპირისპირებად. თავად განსაჯეთ, გრეისონმა ხუთჯერ გაატარა ბურთი ძელებს შუა, დე ბეერმა კი სამი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა, ამას არეკნი მიაყოლა და ვან დერ ვესტჰოიზენის ლელოც გარდასახა. ლელო კი ასე გავიდა: ვან დერ ვესტჰოიზენმა ძალისმიერ ორთაბრძოლაში დაჩაგრა მეტოქის მცველი და ზედ კუთხურის ალამთან დადო ბურთი. ვიდეოფირზე ნათლად ჩანს, რომ აფრიკელი კუთხურის ალამს შეეხო და ლელო აუტიდან გაიტანა, მაგრამ ინგლისელთა პროტესტი არ დაკმაყოფილდა. პირველი ტაიმი „ქურციკებმა" 16:12 მოიგეს.

მეორე ნახევარი რიგიანად არც კი დაწყებულიყო, რომ დე ბეერმა ჩინებული არეკნი შეასრულა. საერთოდ, მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ამ მატჩში ხუთჯერ შეძლო არეკნის ზუსტად შესრულება და თავის გუნდს 34 ქულა შესძინა. ინგლისელები გრეისონის იმედად იყვნენ, მაგრამ ბრიტანელთა მეათე ნომერი მარტო ვერას გახდა დე ბეერის წინააღმდეგ. „ქურციკები" განაგრძობდნენ შეტევებს. მათი შეჩერება სულ უფრო და უფრო უჭირდა ინგლისელთა დაცვას. დე ბეერიც მოედნის ნებისმიერი მონაკვეთიდან ზუსტად ურტყამდა და თანდათანობით ზრდიდა აფრიკელთა უპირატესობას. მე-80 წუთზე როსოუმ მეტოქის წინააღმდეგობა დაძლია და საბოლოო გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა. „ის განუმეორებელი იყო. მე არასდროს მინახავს ასე შესრულებული დარტყმები და არა მგონია, კიდევ დიდხანს ვნახო" — თქვა მატჩის შემდეგ აფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა: „მან შესანიშნავი სანახაობა გვიჩვენა, დე ბეერი ამ საღამოს საუკეთესო იყო" — საქები სიტყვა არ დაიშურა ფრანსუა პინარმა, რომელიც 1995 წელს სამხრეთ აფრიკელთა გუნდის კაპიტანი გახლდათ.

**ბაჩო სვანიძე**
**გაიოზ თალაქვაძე**



REUTERS

ჯონა ლომუს (11) ერთი შოტლანდიელი რას ეყოფოდა



REUTERS

სამხრეთაფრიკელი პიტერ მიურეი (ბურთით) და მისი თანაგუნდელები ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ

## ჰოკეი

22 ოქტომბერი

**ბუფალო — კაროლინა 7:3**

3:1 2:1 2:1

1:0 სანდერსონი 2'25(2); 1:1 რ...ბერტსი 6'02(2); 2:1 შატანი 9'22(4), 3:1 სანდერსონი 17'46(3); 3:2 კაპანენი 24'00(5); 4:2 რასმუსენი 31'52(2); 5:2 ბრაუნი 37'04(4); 6:2 პეკა 40'34(1); 7:2 რასმუსენი 47'35(3); 7:3 კაპანენი 54'09(6)

**ფლორიდა — კალგარი 2:3**

1:1 1:1 0:0 0:1

1:0 შპაჩეკი 14'41(2); 1:1 ვ. ბურე 18'02(7); 1:2 ვ. ბურე 24'02(8); 2:2 შპაჩეკი 30'27(3); 2:3 მორისი 60'20(2)

**რეინჯერსი — ფილადელფია 0:2**

0:0 0:2 0:0

0:1 ლანგკოუ 28'11(1); 0:2 მაკჯილისი 33'21(1)

**დალასი — ნიუ ჯერსი 2:1**

0:1 1:0 0:0 1:0

0:1 მაკეი 0'51(1); 1:1 ჰალი 33'33(3); 2:1 ზუბოვი 60'32(2)

**ლოს ანჯელესი — ფინიქსი 3:6**

2:1 1:2 0:3

1:0 ლაპერიე 3'54(1); 1:1 გრინი 15'21(5); 2:1 პალფი 19'43(3); 3:1 ლაპერიე 21'13(2); 3:2 დრეიკი 24'25(3); 3:3 ლეტოვსკი 34'16(1); 3:4 გუნტი 43'04(1); 3:5 ტკაჩუკი 53'49(3); 3:6 ადატალო 53'59(1)

23 ოქტომბერი

**ატლანტა — კოლორადო 2:3**

2:1 0:0 0:1 0:1

0:1 დედმარში 7'04(1); 1:1 ფერარო 10'12(1); 2:1 ბუზეკი 18'53(3); 2:2 ლემუ 30'30(3); 2:3 საკიკი 60'46(4(

**აილენდერსი — ვანკუვერი 2:2**

1:2 1:0 0:0 0:0

0:1 კარია 3'03(3); 1:1 ისბისტერი 5'54(3); 1:2 მეი 16'28(2); 2:2 ისბისტერი 23'35(4)

**ოტავა — ბუფალო 4:0**

2:0 2:0 0:0

1:0 ჰოსა 15'18(5); 2:0 მაკიჩერნი 16'08(1); 3:0 ჰოსა 29'13(6); 4:0 მარტინსი 31'13(1)

**ტორონტო — მონრეალი 3:2**

1:1 2:1 0:0

0:1 სავაჟი 8'48(10); 1:1 მაკოლი 14'37(2); 1:2 რიბეირო 20'24(1); 2:2 კოროლიოვი 30'12(2); 3:2 ბერეზინი 38'32(4)

**პიტსბურგი — კაროლინა 2:3**

0:0 0:2 2:1

0:1 ტანაბე 26'03(2); 0:2 კაპანენი 36'46(7); 1:2 კოვალიოვი 56'46(4); 2:2 იაგრი 54'26; 2:3 ბატალა 57'54(3)

**ტამპა — კალგარი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 რიშე 30'38(5); 1:1 ნაზაროვი 49'52(3); 2:1 კესა 50'131(1)

**ჩიკაგო — დეტროიტი 0:1**

0:0 0:1 0:0

0:1 შენაჰანი 21'56(3)

**ნეშვილი — ედმონტონი 4:3**

1:0 2:2 1:1

1:0 ჯონსონი 15'58(2); 2:0 ფიცჯერალდი 21'24(2); 3:0 კრივოკრასოვი 28'34(3); 3:1 სელივანოვი 30'05(4); 3:2 კომრი 30'52(1); 4:2 პელტონენი 43'35(2); 4:3 სელივანოვი 51'02(5)

**სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი 3:1**

1:0 0:1 2:0

1:0 ტარჯონი 8'03(6); 1:1 ბრილინი 20'11(3); 2:1 დემიტრა 56'50(4); 3:1 ჰესტი 59'04(2)

**ფინიქსი — ვაშინგტონი 2:2**

0:1 0:1 2:0 0:0

0:1 ბონდრა 4'36(6); 0:2 საიმონი 20'33(2); 1:2 რენიკი 43'06(2); 2:2 რენიკი 49'27(3)

**სან ხოსე — ბოსტონი 1:3**

0:2 0:0 1:1

0:1 ვან იმპი 12'36(1); 0:2 მაკლარენი 19'59(1); 0:3 კარტერი 43'07(2); 1:3 მარლო 52'23(3)

24 ოქტომბერი

**რეინჯერსი — ვანკუვერი 0:3**

0:1 0:0 0:2

0:1 შეფერი 16'50(3); 0:2 შეფერი 54'35(4); 0:3 მესიე 59'51(3)

**ფილადელფია — ფლორიდა 2:0**

1:0 0:0 1:0

1:0 ჰალი 13'40(2); 2:0 ლინდროსი 54'22(4)

**ანაჰაიმი — ბოსტონი 2:3**

0:2 0:1 2:0

0:1 სამსონოვი 3'48(2); 0:2 ანდრეიჩუკი 16'29(5); 0:3 ჰაინცი 33'21(2); 1:3 კალენი 52'06(3); 2:3 ტვერდოვსკი 58'48(3)

**ლოს ანჯელესი — სან ხოსე 4:3**

1:0 3:2 0:1

1:0 სმოლინსკი 4'04(2); 2:0 ბილსმა 25'24(1); 3:0 რობიტაილი 29'11(8); 3:1 რიჩი 30'37(3); 4:1 ოდეტი 33'26(2); 4:2 სუტერი 38'49(2); 4:3 მარლო 57'24(4)

# დამარცხებულებს თბილისში ნუღარ მოძებნით!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 23 ოქტომბერი

**ვითა 78:71 დინამო**

I ტაიმი 37:30

ვითა: უსტიაშვილი (4), ტურაშვილი (30), ჭირაქაძე, შანიძე (14), ახალკაცი (8); ტ. ვაშაკიძე, ბაქრაძე (2), გ. გაგნიძე (8), ქევხიშვილი (2), კოკოლიშვილი (10)

დინამო: ნიკოლაძე (30), მეგრელიშვილი (4), უჩუმბეგაშვილი (3), ცხვედიანი (4), ვ. აბულაძე (24); ორდენიძე (4), ენდელაძე (2), ახვლედიანი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 23 ოქტომბერი

**სსუ 53:85 აზოტი**

I ტაიმი 36:44

სსუ: არველაძე (14), გ. ულენტი (7), ფენდერავა (9), ლაცუზბაია (4), ლ. ვაშაკიძე (7); ერქვანია (10), ჩოხელი (2)

აზოტი: გაბისონია, გოგობერიშვილი (17), ნიკლაური (18), ბაბიაშვილი (19), მ. ბერუაშვილი (3); გოგოლაძე (6), ჩაჩუა (6), დანელიანი (4), კოჭლამაზაშვილი, ჯიმშელეიშვილი (12).

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლაშა თოიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 23 ოქტომბერი

**მაკაბი 75:96 სტუ**

I ტაიმი 46:46

მაკაბი: ი. ბერიშვილი (22), დ. ბერიშვილი (16), ბ. ნოზაძე (8), ლასარეიშვიში (9), ფერიაშვილი (20); ფიცხელაური, ხუხაშვილი, კრიხელი

სტუ: თორთლაძე (13), მიქაძე (7), ორმოცაძე (8), კორძაძე (6), ოთიურიძე (6); მოისწრაფიშვილი (20), მდივანი, სულაძე (2), ლოსაბერიძე (20), მინაშვილი (14).

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 24 ოქტომბერი

**ასკ 71:109 ბასკო**

1 ტაიმი 25:47

ასკ: მარხვაშვილი (2), აკოლაშვილი (13), ფანჯიკიძე (4), ზუბიაშვილი (23), ნუცუბიძე (18); ლაცაბიძე (4), ბერაძე (2), ლეინიაშვილი (3), ბიძინაშვილი (2)

ბასკო: აბრამიძე (21), დავითულიანი (4), კვაჭაძე (11), ბეჟანიშვილი (13), ვ. კილაძე (12); ა. კილაძე (7), გ. კილაძე (7), კეშელავა (9), ჭეიშვილი (16), ბერია (9)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 24 ოქტომბერი

**შევარდენი 82:79 გორი**

I ტაიმი: 35:38

შევარდენი: ორჯონიკიძე (5), მაჭავარიანი (17), შ. გაგნიძე (5), გიგაური (27), ალავიძე (12); კაზანჯიანი (16)

გორი: ნინოშვილი (26), დ. იაშვილი (14), ცაცებაშვილი (5), ფსუტური (20), მანველიშვილი (6); გრძელიშვილი (4), აბრამაშვილი, ლ. იაშვილი, კურტანიძე (4)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, როლანდ გელოვანი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

როლანდ ლაბუჩიძე

მეოთხე ტურის პირველ დღეს კალათბურთელებმა განსაკუთრებით ბილწსიტყვაობაში „ივაჟკაცეს". უამრავ ტექნიკურ შენიშვნაზე რომ არაფერი ვქთვათ, ლევან ქევხიშვილი (ვითა) და დავით თორთლაძე (სტუ) მსაჯთა შეურაცხყოფისთვის სულაც გააძევეს მოედნიდან; ასეთ შემთხვევაში დებულება დამნაშავე კალათბურთელის ორი თამაშით დისკვალიფიკაციას და სამასი ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს, რომელიც ეტყობა, ჩვენს კალათბურთელებს ჩირადაც არ უღირთ, რადგან მათი გაძევება სულაც არ გახლავთ იშვიათი მოვლენა. დარწმუნებული არ ვართ, სასჯელის გამკაცრებით აღნიშნულ პრობლემას ეშველება, მაგრამ ფაქტი ერთია: თუ ფედერაციამ გამოსავალს ვერ მიაგნო, იქნებ სულ მალე ბილწსიტყვაობა მუშტი-კრივში გადაიზარდოს.

დიდ ინტერესს იწვევდა ერთ-ერთი ლიდერის — „მაკაბის" და შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის, სტუ-ს შეხვედრა. პროგნოზების საწინააღმდეგოდ, „მაკაბი" ქულათა მაქსიმუმით მივიდა მეოთხე ტურამდე, ხოლო პლეი ოფში გასვლის ერთ-ერთი პრეტენდენტი სტუ ერთადერთი მოგებით სატურნირო ცხრილის შუაგულში ჩაიკარგა. „მაკაბის" დიდი სურვილი ჰქონდა, დაემტკიცებინა, რომ „ვითასთან" მისი გამარჯვება შემთხვევით არ ყოფილა. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ კი სტუ ყველა ღონეს იხმარდა, რათა გულშემატკივრები ამჯერადაც არ გაეწბილებინა. თამაშის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ თუ „მაკაბი" სასტარტო შემადგენლობის შენარჩუნებას შეძლებდა, სტუ-ს მისი დამარცხება ძალიან გაუჭირდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ „მაკაბის" კალათბურთელებმა საკუთარ თავს თვითონ გამოუტანეს განაჩენი, როდესაც ზედმეტი ლაპარაკისთვის ფერიაშვილმა, ნოზაძემ და დავით ბერიშვილმა მსაჯებს თითო ტექნიკური „დასტყუეს".

სანამ „მაკაბი" ხუთი ჯარიმის გამო ძირითადი ხუთეულის ერთ-ერთ წევრ დავით ბერიშვილს მოისაკლისებდა, შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე წუთის ბოლო წამებზე დავით ბერიშვილის ზუსტი სამქულიანით დაწინაურებული ლიდერის წამოწევა სტუ-მ მხოლოდ მეექვსე წუთზე შეძლო თორთლაძის ასევე ზუსტი სამქულიანი — 9:9. ფერიაშვილის მიერ წინ გასულ „მაკაბის" კორძაძემ კიდევ ერთხელ გაუთანაბრა — 11:11, ხოლო მერვე წუთის ბოლო წამებზე ამჯერადაც თორთლაძის სამქულიანი სროლით სტუ-მ მეტოქე უკან მოიტოვა — 16:14.

დროული და მეტად საჭირო გახლდათ დავით თორთლაძის სამქულიანები, რომელიც გვეგონა, მატჩის გმირად მოგვევლინებოდა, საბოლოოდ კი ანტიგმირის სახელით დაასრულა შეხვედრა. მისი ოსტატური თამაშის შედეგად მე-10 წუთზე სტუ 8 ქულით — 36-28 უგებდა მეტოქეს. მერე თორთლაძემ ზედიზედ ორი ტექნიკური შენიშვნის გამო ნაადრევად დატოვა მოედანი, ხოლო ირაკლი ბერიშვილმა შანსი შეიშნოვა და მოწინააღმდეგეს უპირატესობა გაუქარწყლა. ერთ ხანს მდევრის როლში მყომა სტუ-მ ტაიმის ბოლო წამებზე გაუთანაბრა მეტოქეს ორმოცაძის ფარის ქვემოდან ოსტატური სროლის შემდეგ და ფერიაშვილის უხეში თამაშის გამო ერთი საჯარიმო სროლის უფლებაც მოიპოვა. მართალია, „ორმოცამ" ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მაგრამ ქულაზე ბევრად უფრო უკეთესი „მაკაბის" ლიდერის, ფერიაშვილის მეოთხე ჯარიმა გახლდათ. კიდევ ერთმა მაკაბელმა დავით ბერიშვილმა დაასრულა ტაიმი ოთხი ჯარიმით და მეორე ნახევარში გუნდის სასტარტო შემადგენლობის შენარჩუნების საკითხი ეჭვის ქვეშ დადგა.

განახლდა შეხვედრა და მესამე წუთზე დავით ბერიშვილმა ხუთი ჯარიმის გამო სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მის მაგივრად შემოსული ფიცხელაური კი, ქულის გაკეთებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბურთის მიღებასაც ძლივს ახერხებდა. უკანა ხაზის მთელი სიმძიმე ტყუპისცალ ირაკლის დააწვა, რომელმაც დიდებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ძირითადად მისი დამსახურება იყო, რომ მე-15 წუთამდე სტუ-მ ვერ შეძლო სერიოზული უპირატესობის მოპოვება. „მაკაბი" აშკარად გადაიღალა, ხოლო სტუ-ს ისეთი გრძელი სკამი აქვს, საეჭვოა, მიმდინარე ჩემპიონატში ამ პრობლემის წინაშე დადგეს. გადაღლილი მაკაბელთა მხრიდან გახშირდა მარტივ სიტუაციებში დაკარგული ბურთები. ძალამოკრებილი მოისწრაფიშვილი და ლოსაბერიძე კი ერთ შეცდომასაც არ პატიობდნენ მეტოქეს. როდესაც მე-16 წუთზე მსაჯმა მეხუთედ გაიშვირა ხელი ალექსანდრე ფერიაშვილისკენ და მისგან კიდევ ერთხელ დააფიქსირა თამაშის წესების დარღვევა, შეხვედრა ფაქტობრივად დამთავრდა, რადგან ფიცხელაურის შემდეგ მოედანზე შემოსული ხუხაშვილი და კრიხელი ნამდვილად არ ტოვებდნენ ისეთი კალათბურთელების შთაბეჭდილებას, რომ თანაგუნდელთა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. სამაგიეროდ, სტუდენტებმა შეინარჩუნეს მოპოვებული უპირატესობა და ისეთი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე, რასაც პირველი ტაიმის შემდეგ ნამდვილად ვერ იწინასწარმეტყველებდით.

„ვითა" — „დინამოს" დასაწყისი „დინამოს" უპირატესობით აღინიშნა. მეხუთე წუთამდე მდევრის როლში მყოფი „ვითა" ტურაშვილის ეფექტური სროლის შემდეგ პირველად დაწინაურდა. მართალია, ცდა არ დაუკლია, მაგრამ, უკეთეს შემთხვევაში „დინამო" ანგარიშს ათანაბრებდა, ხოლო წინ გასვლას ვერ ახერხებდა.

ტურაშვილის მიერ დაწინაურებულ „ვითას" აბულაძის აქტიური თამაშის შემდეგ „დინამო" სამჯერ დაეწია. ისევ „ტურამ" ივარგა და ჩემპიონები პირველი ტაიმის ბოლო წუთებში 8 ქულით — 34:26 მოსწყდნენ მეტოქეს. როდესაც ვითელ ლევან ქევხიშვილს ზედიზედ სამჯერ დაუსტვინეს (ჯარიმა, ტექნიკური ჯარიმა, გაძევება), ექვის საჯარიმოს სროლის უფლებით „დინამოს" ანგარიშის შემცირების იდეალური შანსი მიეცა, ნიკოლაძემ კი მხოლოდ სამი გამოიყენა და ხუთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა.

„ვითამ" შესვენების შემდეგ ექსპერიმენტებს თავი მიანება და სასტარტო შემადგენლობაში ჭირაქაძის და შანიძის ნაცვლად გამოცდილ ბაქრაძეს და კოკოლიშვილს უხმო. ჩემპიონების ძირითადმა შემადგენლობამ მალე ცხრა ქულამდე ჩამოიშორა მეტოქე. მართალია, ერთი პერიოდი ცოტა მოდუნდნენ, როდესაც ანგარიშში სხვაობა მხოლოდ სამი ქულა იყო — 43:40, მაგრამ კოკოლიშვილის და ტურაშვილის სამქულიანებმა მალე ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. „დინამო" უბრძოლველად არაფერს თმობდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს პირველი ჩემპიონი ექვსეულში მოხვედრის მსურველთათვის დიდ საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

თუ ჯიბეგაფხეკილმა „დინამომ" მეორე წრეში ნიკოლაძის და აბულაძის შენარჩუნება შეძლო, მეშვიდე ადგილი მისთვის წარმატებად ჩაითვლება, თუ არა და გაერევ ასკ-სსუ-ს რიგებში და სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოუწევს ყურყუტი. ასეა, დრონი მეფობენ და არა მეფენიო, უთქვამს ბრძენ კაცს.

სსუ რომ ვიცე-ჩემპიონ „აზოტის" წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა, ეს დღესავით იყო ნათელი, მაგრამ როდესაც სტუდენტებმა შეუძლოდ მყოფი გუნდის ლიდერი ბუბა ბერიშვილი მოისაკლისეს, მათი შანსები კიდევ უფრო შემცირდა.

მე-10 წუთზე „აზოტის" ხელმძღვანელობამ მთლიანად გაიხმო მოედნიდან სასტარტო ხუთეული და საქმეში სათადარიგოები ჩართო. სტუდენტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მათ თავი არ შეურცხვენიათ და 20-ქულიანი სხვაობა 6 ქულამდეც კი დაიყვანეს.

შესვენების შემდეგ „აზოტმა" აქცენტი კვლავ სასტარტო ხუთეულის წევრებზე გააკეთა, რომლებმაც თავიანთი დაწყებული საქმე უპრობლემოდ მიიყვანეს ბოლომდე.

**საქართველოს ჩემპიონატი 4 ტური**

ვერის ბაღი. 24 ოქტომბერი

**სდასუ 90:77 თსუ**

I ტაიმი 34:37

სდასუ: ანდღულაძე (9), გ. ჩხეიძე (9), უძილაური (15), სუხიშვილი (12), მაჭარაძე (10); ნ. ნოზაძე (3), ხოშტარია (32)

თსუ: ვეფხვაძე (10), ნონელია (23), ხეცურიანი (11), მარკოიშვილი (11), გ. ბერუაშვილი (8); არსიაშვილი (10), მშვილდაძე (1), გელაშვილი (3)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე

გიორგი ბიკაშვილი

ისევ ვერის ბაღი და ისევ ერთფეროვნება, ცოტა მაყურებელი და უგერგილო კალათბურთი...

გასული უქმეებიც არაფრით გამორჩეულა. დედაქალაქში სადღესასწაულო განწყობა კი სუფევდა, მაგრამ თბილისობით გამოწვეული დადებითი ემოციები ვერის ბაღის ზღურბლამდე თუ მიგყვებოდა. იქ კი, შიგნით, ყველაფერი ძველებურად იყო — მოსაწყენი ბურთაობა და ძალიან ცოტა რამ მოსაწონი...

კვირის მატჩებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სტუდენტური დერბი, სდასუ — თსუ იქცევდა, გულშემატკივარის ინტერესი კიდევ უფრო გაამძაფრა დარბაზში სდასუელი ირაკლი ხოშტარიას გამოჩენამ, მას წინა დღით ქორწილი ჰქონდა და, ამდენად, ქომაგები ნაკლებად ელოდნენ თსუ-სთან ხოშტარიას თამაშს. მოუსვლელობის შემთხვევაშიც კი ვის მოუბრუნდებოდა ენა ახალდაქორწინებული თანაგუნდელის დასაძრახად, თუმცა თავად ხოშტარიამ სხვაგვარად განსაჯა და გუნდი არ დაალალატა, რითიც სდასუ-ს საამმატჩო მიზნებს გაუსვა ხაზი.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ხოშტარიამ ჩინებული საქორწინო საჩუქარი მოუძღვნა თავის თავს. მთელი შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და ლომის წილიც დაიდო სდასუ-ს გამარჯვებაში. მის მიერ გაწეული ჯაფის ჩვეული დაფასება კი ის გახლავთ, რომ ხოშტარია ულაპარაკოდ შეიქნა „სარბიელის" რჩეული მეცხრე ეროვნულის მეოთხე ტურში.

შეხვედრის სადებიუტო ნაწილი უხოშტარიოდ წარიმართა. ლევან მოსეშვილმა ირაკლი სათადარიგოებში გაამწესა და თამაშში მერელა ჩართო. მანამდე მეტოქეების ხისტი თამაშია აღსანიშნავი. ორივე გუნდი დაცვაზე იყო კონცენტრირებული და თითოეული ქულის მოპოვებაც კი უაღრესად ჭირდა. საიმედოდ ამოეკეტათ ერთმანეთი ცენტრებს, მაჭარაძესა და ბერუაშვილს. უკანა ხაზის თუ ფრთის მოთამაშეებიც ერთობ ავიწროებდნენ ერთურთს და აქედან გამომდინარე, შედეგიანობაც დაბალი გახლდათ. თავად განსაჯეთ, სდასუელთა უმთავრესმა სნაიპერმა, შოთა უძილაურმა მეათე წუთზე ისროლა პირველად შორი მანძილიდან, მანამდე კი შიო ხეცურიანის კლანჭებში ჩაკარგულიყო. თუ კი ვინმეს დაცვითი თამაშია გამოსარჩევი, უპირველესად გიორგი ჩხეიძისა. „ჯიჯო" იმ დღეს ლანდივით აედევნა თსუ-ს ლიდერს, გოჩა წოწელიას, ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცა და უნივერსიტეტელთა ბომბარდირი პირველ ნახევარში რვა ქულას დააჯერა.

ასე თუ ისე, თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ და სდასუ-ს უპირატესობა მოგვიანებით, შუაგული ტაიმისთვისლა გამოიკვეთა, როცა ხოშტარია ზედიზედ დაუსხლტა მეურვე მშვილდაძეს — ჯერ სამიანი ჩააგდო, მერე გარღვევაც განავითარა და გუნდი ათი ქულით (22:12) დააწინაურა.

ჩვეულად ათამაშდა შოთა მაჭარაძეც. გიორგი ბერუაშვილი მას ძლივსღა უმკლავდებოდა, რაც თსუ-ს მწვრთნელმა, ნოდარ ქორქიამაც შენიშნა და „ჯაგას" გოჩა არსიაშვილი შეუნაცვლა. ამ უკანასკნელის მოედანზე გამოჩენამ თსუ-ს სულზე მოუსწრო. არსიაშვილმა საიმედოდ შეკრა დაცვა და წინ აღუდგა სდასუ-ს შეტევებს, რომლებიც დროდადრო ნაკლებად სახიფათო ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ლევან მოსეშვილის გუნდი შვიდ-რვა ქულით მუდამ ლიდერობდა, მაგრამ ერთ ეპიზოდში მწვრთნელმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: მაღალი ტემპი, რაც უდავოდ სდასუელთა წისქვილზე ასხამდე წყალს, მოსეშვილმა წუთშესვენებით ჩაახშო და ამის უადგილობა ტაიმის მიწურულს გამოჩნდა. დაეცა თამაშის ტემპი და სასწორი თსუ-სკენ გადაიხარა. ქორქიამ კოლეგისგან ნათხოვნი წუთშესვენებიდან მაქსიმალური სარგებელი გამოწურა, შეგირდები დაამშვიდა და მათ პოზიციური ქმედებისკენ მოუწოდა. წო-

გურამ ცაციაშვილის ფოტო



მაკაბი — სტუ 75:96. გოდერძი კორძაძემ (მარჯვნიდან მეორე) მაკაბელ ალექსანდრე ფერიაშვილს (მარცხნიდან პირველი) დაუფარა

წელიამ, ვეფხვაძემ და ხეცურიანმა ჯერ წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი იმავე ხეცურიანმა წინაც გაიყვანა თავისიანები. სდასუ-ს ერთი შეტევის განხორციელების დროღა რჩებოდა, მაგრამ ჩხეიძის სამიანმა მიზანს ვერ უწია და შესვენების შემდეგ სწორედ ამდენი ქულა აშორებდათ მეტოქეებს.

მეორე ნახევარიც თსუ-ს აქტიურობით დაიწყო, ერთხანს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შვიდი ქულითაც გაექცნენ დავით აღმაშენებელისას, თუმცა აქ სწორად განსჭვრიტა მოსეშვილმა ვითარება, შემადგენლობაშიც და სათამაშო ტაქტიკაშიც ცვლილებები შეიტანა და ადრინდელი შეცდომა გამოასწორა.

უძილაური ნიკოლოზ ნოზაძით შეცვალა. მას გამთამაშებლობა დაავალა და ირაკლი ხოშტარიას მეტოქის ფარის სიახლოვეს მიუჩინა ადგილი. ხოშტარია შეუჩერებელი გახდა. ბურთს ძირითადად წინა ცენტრის პოზიციაზე ეუფლებოდა, საიდანაც ინდივიდუალური გარღვევებით აწიოკებდა თსუ-ს დაცვას. მას ხან ხეცურიანი აედევნა, ხან წოწელია და ხანაც მარკოიშვილი, მაგრამ ხოშტარია ამას ნაკლებად დაგიდევდათ, ჯიქურ მიიწევდა მოწინაალმდეგის ფარისკენ და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ეს რაც შეეხება სდასუ-ს შეტევებს, დაცვა კი მოსეშვილმა ზონურად გაამაგრა, რაც თსუ-ს კალათბურთელებისთვის აუღებელ ციხე სიმაგრედ იქცა.

ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა იზრდებოდა სდასუელთა სასარგებლოდ. ჯერ ათი, თორმეტი, თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი სულაც თექვსმეტი (54:70) ქულით ჩამორჩებოდა სდასუ-ს მდევარი და აშკარა გახდა, თსუ-ს სასწაული თუ უშველიდა.

ძალიან იოლად გაიმარჯვა თავის მეოთხე შეხვედრაში ბათუმის „ბასკომ". ასკ-ც ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა მეცხრე ჩემპიონატში, უფრო სწორად კი, განადგურდა. არმიელთა რბევას მაისურაძის არყოფნაში (ტრავმა აქვს) გამთამაშებლად გამწესებულმა მამუკა აბრამიძემ დაუდო სათავე. იგი ისე მუსრავდა უსუსურ სალდათობას, როგორც ქორი წიწილებს. საშინლად არ უმართლებდათ ასკ-ს ლიდერებს, აკოლაშვილსა და მარხვაშვილს. „ბასკოს" კი ყველაფერი გამოსდიოდა და ჯერ კიდევ საწყის წუთებშივე დაუკარგა შეხვედრას ინტერესი.

ერთ მომენტში ასკ ორმოცდასამი (!) ქულითაც (25:68) ჩამორჩა „ბასკოს", რომლის წამყვანი მოთამაშეებიც ჯერ კიდევ თამაშის მსვლელობისას დასეირნობდნენ სამოქალაქო სამოსში გამოწყობილნი და ინტერვიუებს არიგებდნენ.

„გორი" ისეთი რიხით მიეჭრა „შევარდენს", იფიქრებდით, ქართლელთა პირველ გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგებაო, მაგრამ თბილისელთა შედარებით გამოცდილმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

პირველი ნახევარი გორელების კარნახით წარიმართა, მერე და მერე კი შევარდნებმაც გამოიღეს ხელი და თამაზ გიგაურის ძალისხმევით მეორე ტაიმის შუაწელში 59:49 ჩამოიტოვეს მეტოქე. მატჩის მიწურულს „გორს" ერთხელაც გაუკრთა მოგების იმედი, როცა ფსუტურის ორი ზუსტი სამიანის შემდეგ სხვაობა ორი ქულაღა იყო, მაგრამ...

თხუთმეტი წამიღა რჩებოდა, როცა გიგაურმა პერსონალურით თანაგუნდელების უპირატესობა გაასამა, ხუთ წამში კი გორელმა ცაცებაშვილმა თავისიანთათვის საბედისწერო ჯარიმები გააცუდა. სულ ბოლოს ქართლელებს კიდევ მიეცათ შეტევის შესაძლებლობა, მაგრამ დარჩენილი დრო მათ ცენტრის იქით გადასვლას მოახმარეს და სროლის საშუალება აღარ მისცემიათ.

**საქართველოს ჩემპიონატი**

**4 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 4 | 4 | 0 | 388:276 | 8 |
| ბასკო | 4 | 4 | 0 | 408:330 | 8 |
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 328:295 | 7 |
| ვითა | 4 | 3 | 1 | 327:315 | 7 |
| სტუ | 4 | 2 | 2 | 344:318 | 6 |
| სდასუ | 4 | 2 | 2 | 368:345 | 6 |
| თსუ | 4 | 2 | 2 | 361:346 | 6 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 307:314 | 6 |
| შევარდენი | 4 | 2 | 2 | 277:313 | 6 |
| გორი | 4 | 0 | 4 | 314:377 | 4 |
| სსუ | 4 | 0 | 4 | 265:360 | 4 |
| ასკ | 4 | 0 | 4 | 293:391 | 4 |

საგამოფენო მატჩები

# სტეფანია იგებს და აგებს

22 ოქტომბერი

**სიეტლი 117:110 დენვერი**

სიეტლი: პეიტონი (27), ბერი (21), პატერსონი (8), ბეიკერი (17), გრანტი (12); მაკოი (11 ქულა, 14 მოხსნა), მაქსველი (10), ვინსონი (3), სტეფანია (2 ქულა, 1 მოხსნა), ვილიამსი (2), ფოსტერი (2), პერსონი (1), დევისი (1), ბორელი, ლუისი

24 ოქტომბერი

**კლიპერსი 104:93 სიეტლი**

სიეტლი: პეიტონი (10), ვილიამსი (4), ლუისი (17 ქულა, 10 მოხსნა), ბეიკერი (14), გრანტი (5); პატერსონი (11), ვინსონი (8), მაკოი (8), მაქსველი (6), სტეფანია (5 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), ბერი (5), ფოსტერი, ბორელი



„სიეტლ სუპერსონიქსი" მეხუთე საგამოფენო თამაშის გასამართად დენვერს ჩავიდა და იქაურ „ნაგითსს" ახალ დარბაზ „პეპსი სენთერში" დებიუტი ჩაუმწარა, ორი დღის შემდეგ კი მშობლიურ ვაშინგტონის შტატში, მხოლოდ არა სიეტლში, არამედ სპოკენში, „ლოს ანჯელეს კლიპერსს" დახვდა და დამარცხდა.

ჩვენებური ვოვა სტეფანია ორივე მატჩში მონაწილეობდა, მაგრამ თუ დენვერში მხოლოდ ორი წუთი დაჰყო მოედანზე, სპოკენში ოცი წუთი ითამაშა. დენვერში წაყვანილი 16 მოთამაშიდან „სიეტლის" მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა შეფლერის გარდა ყველა ათამაშა. ამიტომაც მოუწია სტეფანიას მოედანზე ორი წუთით შესვლა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენებურს შეცდომა არ დაუშვია, ერთადერთი ნასროლი ბურთი მასპინძელთა კალათშიც მოათავსა და ერთი ბურთიც მოხსნა. აი, სპოკენში კი გული იჯერა ქართველმა თამაშით, ძირითადად მეორე-მესამე მეოთხედებში, გუნდს 5 ქულით და ოთხი მოხსნით წაეხმარა და ცოტა კორექტული რომ ყოფილიყო, ალბათ, გაცილებით მეტხანსაც ითამაშებდა — მან ხუთი პერსონალური მიიღო.

თვითონ თამაშები მეტად დაძაბული გამოდგა. „სიეტლის" ორივე მეტოქე შარშანდელს აქეთ საკმაოდ მოღონიერდა და ახალ სეზონს ამბიციებით ხვდება. დენვერში გამართული შეხვედრის მოგებაში ლომის წილი დაიდეს „სუპერსონიქსის" უკანახაზელებმა — ახალწვეულმა ბრენტ ბერიმ და, რაღა თქმა უნდა, გუნდის ლიდერმა გერი პეიტონმა. ასე თუ ისე, თანაბარ მატჩში სტუმართა უპირატესობა ბოლო მეოთხედის დასაწყისში გამოიკვეთა. „სიეტლი" 85:81 იგებდა, როცა აფეთქდა და გერი პეიტონის და სხვათა ძალისხმევით შვიდი უპასუხო ქულა გააკეთა.

სპოკენშიც თავიდან საქმე მშვენივრად მიდიოდა, „სიეტლი" მესამე მეოთხედის ბოლომდე ლიდერობდა. პირველი ნახევარი სტეფანიას გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 57:48, მაგრამ მესამე მეოთხედის მიწურულს „სუპერსონიქსმა" დაცვაში უამრავი შეცდომა დაუშვა, ხეირიანად ვერ დახვდა კლიპერსის ლიდერის, ტეილორის და ნიჭიერი ახალბედას ლამარ ოდომის მ ძალებას და მეტოქე წინ გაუშვა.

ბოლო მეოთხედში „სიეტლმა" თითქოს გამოასწორა საქმე. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე რაშარდ ლუისმა კუთხიდან ჩააგდო და 93:92 დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მისმა გუნდმა ისევ ჩააფლავა დაცვაში საქმე და ამის შემდეგ ქულაც არ აუღია. სამაგიეროდ, ტაირონ ნესბიმ და ლუ ჰადსონმა ერთბაშად 12 ქულა მიითვალეს თავიანთ ანგარიშზე და „სიეტლი" თანაშტატელების თვალწინ შეარცხვინეს.

„სიეტლი" კიდევ ორ საგამოფენო მატჩს გამართავს. „საკრამენტოსთან" და „ვანკუვერთან", ორ ნოემბერს კი რეგულარული ჩემპიონატის პირველ მატჩში მის მძლეველ „კლიპერსს" დახვდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. V ტური

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | რეალი (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 502 | პორტუ (პორტუგალია) — მოლდე (ნორვეგია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 503 | პსვ (ჰოლანდია) — ბაიერნი (გერმანია) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 504 | რეინჯერსი (შოტლანდია) — ვალენსია (ესპანეთი) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 505 | ბორდო (საფრანგეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 506 | სპარტაკი (რუსეთი) — ტილბურგი (ჰოლანდია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 507 | მილანი (იტალია) — ჩელსი (ინგლისი) | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 508 | ჰერტა (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | ლაციო (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 510 | მარიბორი (სლოვენია) — დინამო (უკრაინა) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 511 | ბარსელონა (ესპანეთი) — აიკ (შვედეთი) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 512 | არსენალი (ინგლისი) — ფიორენტინა (იტალია) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 513 | რუსენბორგი (ნორვეგია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 514 | დორტმუნდი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 515 | კროაცია (ხორვატია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 516 | შტურმი (ავსტრია) — მარსელი (საფრანგეთი) | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### უეფას თასი. II ეტაპი. I წრე

28 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 517 | ტოტენჰემი (ინგლისი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | (1,45-2,1) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 518 | ლანსი (საფრანგეთი) — ვიტესი (ჰოლანდია) | (1,4-2,3) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIV ტური

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | ჩარლტონი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 003 | ქრიუ — ფულემი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 004 | კრ. პალასი — ვესტ ბრომვიჩი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 005 | გრიმსბი— პორტსმუთი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 006 | ჰადერსფილდი — ბარნსლი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 007 | ნორვიჩი — სტოკპორტი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 008 | სუინდონი — პორტ ვეილი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 009 | უოლსოლი — ბლექბერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 010 | ვულვერჰემპტონი — ბოლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | ნოტინგემი — ბოლტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 012 | ქუინზ პარკი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 013 | მანჩესტერ სიტი — იფსვიჩი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | კოლჩესტერი — უიგანი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 015 | ნოტსი — ბრენტფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### საფრანგეთი. XII ტური

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 016 | მონაკო — ოსერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ჰოლანდია. გადადებული მატჩები

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | ტვენტე — სპარტა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 018 | ჰერენვენი — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 019 | ვალვაიკი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ბელგია. გადადებული მატჩი

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ანდერლეხტი — ჰარელბეკე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### შოტლანდია. გადადებული მატჩები

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | სელტიკი — მოზერუელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 022 | ჰართსი — კილმარნოკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 023 | სენტ ჯონსტონი — დანდი იუნ. | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალია. თასის I ეტაპი. საპასუხო მატჩები

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ბოლონია — სამპდორია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ტორინო — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 026 | პიაჩენცა — რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 027 | პერუჯა — ტერნანა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 028 | ვენეცია — პესკარა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 029 | ვერონა — რავენა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | ჯენოა — კალიარი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 031 | ბარი — ნაპოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. V ტური

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ციბონა (ხორვატია) — ეფესი (თურქეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 802 | ალბა (გერმანია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 803 | ფორტიტუდო (იტალია) — პო ორტეზი (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 804 | ულქერი (თურქეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 805 | ცსკა (რუსეთი) — ბენეტონი (იტალია) | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 806 | შოლე (საფრანგეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 807 | ჟალგირისი (ლიტვა) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 808 | კახა ს.ფ. (ესპანეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 809 | ბარსელონა (ესპანეთი) — პაოკ (საბერძნეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 810 | თოფაში (თურქეთი) — რეალი (ესპანეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 811 | მაკაბი (ისრაელი) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 812 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ვარეზე (იტალია) | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 813 | ფილადელფია — ვანკუვერი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 814 | ატლანტა — კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 815 | ედმონტონი — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 816 | ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

27 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 817 | ბუფალო — ტამპა ბეი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 818 | ტორონტო — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 819 | მონრეალი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 820 | ნიუ ჯერსი — სენტ ლუისი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 821 | ფლორიდა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 822 | დეტროიტი — კოლორადო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 823 | ანაჰაიმი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

28 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 824 | ბოსტონი — ტამპა ბეი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 825 | ოტავა — კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 826 | ფილადელფია — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 827 | ვანკუვერი — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 828 | ლოს ანჯელესი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 829 | სან ხოსე — ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

### ჰოკეი. ევროლიგა. III ტური

26 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 830 | ჰელსინკი (ფინეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 831 | ბრიუნესი (შვედეთი) — მანჩესტერი (ინგლისი) | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| 832 | ნიურნბერგი (გერმანია) — ლუგანო (შვეიცარია) | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 833 | დინამო (რუსეთი) — ამიენი (საფრანგეთი) | 1,05 | 4,4 | 8,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ნატალი და ღვინო



ნატალი ტოზია

ლიონი. საფრანგეთი. ჩოგბურთის გრან პრი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 750 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **ვინსენტ სპედეა** (8, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 6:2, 3:6, 7:6 (7:5); **ნიკოლას ლაპენტი** (6, ეკვადორი) — გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) 5:7, 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (13, ავსტრალია) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 6:3, 7:6 (77:1); **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 7:6 (7:4), 4:6, 6:4.
**ნახევარფინალი:** **ლაპენტი** — გუსტაფსონი 6:7 (5:7), 7:6 (8:6), 6:2; **ჰიუიტი** — სპედეა 6:3, 6:3
**ფინალი:** **ლაპენტი** — ჰიუიტი 6:3, 6:2.

შარშან ამ დროს ნიკოლას ლაპენტი მსოფლიოს 69-ე ჩოგანი, ერთი რიგითი მოთამაშე და იმ ჯიშის ჩოგბურთელების ტიპური წარმომადგენელი იყო, რომელთაც ჭაბუკობაში ყველაფერი აქვთ მოგებული, პროფესიონალებში კი თავი ბევრით ვერაფრით გამოუჩენიათ (მაგალითად, ნიკლას კულტი ან ანდრეა გაუდენცი შეიძლება დავასახელოთ).

12 თვე დიდი ვადაა და 23 წლის ეკვადორელმა ამ ერთ წელიწადში უამრავი რამ მოასწრო: ავსტრალიის ღია პირველობაზე, კარიერაში პირველად, დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალს უწია, იქვე ანა კურნიკოვასთან მცირე ფლირტი გააბა და გაზეთების პირველ გვერდებზე ამოყო თავი, აგვისტოში აშშ-ში პრესტიჟული ინდიანაპოლისის ტურნირი მოიგო, თანდათან ჩოგბურთის ახალი სექს-სიმბოლოს სტატუსიც დაიმკვიდრა.

მადის ჭამაში მოსვლის პრინციპით, ლაპენტის მოკრძალებული ამბიციებიც სულ უფრო იზრდებოდა და თუ „მაუგლი" წლის დასაწყისში საუკეთესო ორმოცდაათეულში შეღწევაზე ოცნებობდა, ამჟამად ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ 8 ჩოგბურთელს შორის მოხვედრას გეგმავს.

ლიონში ეკვადორელისგან წარმატებას მაინც არავინ ელოდა, რადგან თიხნარსა და შედარებით ნელ საფარზე თამაშს დაჩვეულ ჩოგბურთელს აქამდე დარბაზში სულ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული, წაგებული კი — 10.

„ჭერქვეშ ჩემი წინა შედეგები იოლად ჩამოსათვლელია: წააგო პირველ წრეში, წააგო პირველ წრეში წააგო პირველ წრეში — იხუმრა ლაპენტიმ ლიონში — ასეთ პირობებში წარმატების მიღწევა ჩემსავით თიხნარის ოსტატად მიჩნეული ჩოგბურთელისთვის უპირველესად ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული, თავი უნდა დაარწმუნო, რომ ყველა საფარზე შეგიძლია თამაში".

თუ მთელი პრობლემა მხოლოდ ამაში მდგომარეობდა, ეკვადორელი შესანიშნავ ფსიქოლოგად შეიძლება მივიჩნიოთ: მან თავი ისე დაირწმუნა, რომ ერთბაშად მთელი ტურნირის მოგება შეძლო.

თუმცა ლაპენტისთან წარმატება იოლად ნამდვილად არ მოსულა: ფინალამდე თითოეულ მატჩში მან პირველი სეტების წაგების შემდეგ იმარჯვა, ორჯერ კი — ჰოლანდიელ იან სიმერინკთან და შვედ მაგნუს გუსტაფსონთან მას მატჩ-პოინტების გადარჩენაც მოუხდა.

წესით, ამაზე ნაკლებად ეკვადორელს ფინალში, 18 წლის ვუნდერკინდ ლეიტონ ჰიუიტთანაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა მოსალოდნელზე გაცილებით უინტერესო გამოდგა.

ლაპენტიმ, რომელიც თამაშის სტილით ძალიან წააგავს კარლოს მოიას — (ისეთივე მძლავრი ფორჰენდი და შედარებით ნაკლებად ზუსტი, გადაგდების ფუნქციის მქონე ბექჰენდი) თავიდანვე გრძელ გათამაშებებში ჩაითრია ავსტრალიელი, მოულოდნელი აგრესიული გამოხტომებით დააშინა და ორივე სეტის დასაწყისში 3:0-ით დაწინაურდა.

მაყურებლების მხარდაჭერისა და დიდი მონდომების მიუხედავად, ჰიუიტმა ვითარების გამოსწორება კი არა, ხეირიანი წინააღმდეგობის გაწევაც კი ველარ შეძლო. „მატჩი ძალიან ცუდად დავიწყე, რამაც გუნება წამიხდინა, მეტოქეს კი თავდაჯერება შემატა. ძალიან გამაკვირვა მისმა მრავალფეროვანმა თამაშმა" — განაცხადა ავსტრალიელმა.

ლაპენტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „ეს ტურნირი ყოველთვის მემახსოვრება. ჩემს წარმატებას არავინ ელოდა, თანაც ორჯერ ბეწვზე გადავურჩი მარცხს. ასეთ შედეგებზე ვერც კი ვიოცნებებდი".

ეკვადორელს, რომელსაც ჯილდოდ 111500 დოლარი ერგო, ერთმა ჟურნალისტმა შეახსენა, რომ შარშან ალექს კორეტხამ სწორედ ინდიანაპოლისისა და ლიონის ტურნირები მოიგო, მერე კი ჰანოვერში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა: „პრობლემა ის არის, რომ ჰანოვერის საგზური ჯერ არ დამიბევებია, თუმცა ამის დიდი შანსი მაქვს. აი, თუ ჩემპიონატზე მოვხვდები, თქვენს ინფორმაციას აუცილებლად გავიხსენებ" — მიუგო ლაპენტიმ.

მოსკოვი. რუსეთი. „ქალთა კრემლის თასი". დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 1,05 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **ნატალი ტოზია** (4, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:4, 6:3; **ჟული ალარი** (3, საფრანგეთიდან) — დომინიკ ვან რუსტი (5, ბელგია) 6:1, 4:6, 6:1; **ბარბარა შეტი** (2, ავსტრია) — სილვია ფარინა (იტალია) 1:6, 6:4, 6:3; **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 7:5.
**ნახევარფინალი:** **შეტი** — ვან რუსტი 7:5, 7:6 (8:6); **ტოზია** — რეიმონდი 6:4, 6:2
**ფინალი:** **ტოზია** — შეტი 2:6, 6:4, 6:1

ნატალი ტოზიასა და ფრანგულ ღვინოებს ერთი საერთო თვისება ნამდვილად გააჩნიათ — რაც ძველი, მით უკეთესი.

ფრანგი მანდილოსანი გასულ კვირას მოიყარა 32 წლის. მისი თანატოლი ბევრი ჩოგბურთელი დიდი სპორტიდან კარგა ხნის წასულია, ტოზია კი სწორედ ამ გადამწიფებულ ასაკში იპყრობს ახალ სიმაღლეებს: შარშან, კარიერაში პირველად, უიმბლდონის ფინალში იასპარეზა და საუკეთესოთა ათეულში შეაღწია. მოსკოვში, ასევე პირველად, I კატეგორიის ტურნირი მოიგო და პირადი მიღწევა გააუმჯობესა — მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი გახდა.

არადა, ფრანგი რუსეთის დედაქალაქში გამგზავრებას თავიდან არც აპირებდა: „ძალიან ძნელი იყო ჩემთვის, ჩამოვსულიყავი და იმავე კორტზე მეთამაშა, რომელზეც ფედერაციის თასის მეოთხედფინალში სამივე მატჩში წავაგე. რუსებთან მარცხიც ხომ ყველამ მე დამაბრალა. მაშინ ნამდვილ კოშმარში ვიყავი, ახლა კი მეცხრე ცაზე ვარ".

ტოზიას შემტევი თამაშის სტილი ბადესთან ხშირი გასვლებით მოსკოვის სუპერსწრაფ კორტებზე ზედგამოჭრილი გამოდგა: ფრანგმა ტურნირზე იმდენი ეისი და სუფთად მოგებული ქულა დაუგროვდა, კაცებსაც ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ბარბარა შეტთან მატჩი, რომელთანაც წლეულს სამივე პირადი შეხვედრა წაგებული ჰქონდა, ტოზიამ ცუდად დაიწყო, მაგრამ მეორე სეტში 3:3-ზე ავსტრიელს მოწოდება აართვა, თამაშში გარდატეხა შეიტანა და სულ მალე 150 ათასი დოლარითაც გამდიდრა. ერთადერთ შავ ლაქად ფრანგის რუსეთში მოგზაურობაში, ალბათ, მისი ახალი კაბა დარჩება. გრძელი და ფართო ქვედაბოლოებს ჩვეულ ტოზიას სპონსორმა „ლაკოსტამ" მოკლე და შემოჭერილი „მინი" მოარგო, რომელსაც ჩოგბურთელი ვერაფრით შეეგუა და გათამაშებებს შორის მთელ დროს მის სწორებაში ატარებდა.

ბრატისლავა. სლოვაკეთის ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 112500 $

**ნახევარფინალი:** **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — კვეტა პრდლიჩკოვა (სლოვაკეთი) — ტრავმა; **კიმ კლაისტერსი** (8, ბელგია) — ნატალი დეში (2, საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:4, 6:2
**ფინალი:** **მორესმო** — კლაისტერსი 6:3, 6:3.

ლესბოსელობით სახელგანთქმულმა 20 წლის ამელი მორესმომ სამი წარუმატებელი ცდის შემდეგ, როგორც იქნა, ფინალშიც იმარჯვა და კარიერის პირველი ტიტული მოიგო. სიხარული დიდი იყო, საპრიზოები — პატარა, სულ 16 ათასი დოლარი.

თუმცა მორესმოს გარდა აღნიშვნის ღირსი მეორე ფინალისტი, 16 წლის ბელგიელი სკოლის მოსწავლე კიმ კლაისტერსიცაა, რომელმაც კლასიფიკაციაში უკვე მეოთხე ათეულს მიუკაკუნა. მავანნი მას დიდი სლემის ტურნირების ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებენ.

**ავთანდილ სვანიძე**



ნიკოლას ლაპენტი





ტაისონმა ნორისი უწესოდ დასცა

# მაიკ ტაისონის ოფოფებმა ლას ვეგასსაც გადაუფრინეს

**რაღა** უნდათ ამ საწყალი კაცისგან? რას დაატარებენ და ტანჯავენ?

ფულის მკეთებელი მანქანააო, ნევადას დიდ შემოსავალს აძლევსო. თვითონ კი გუშინვე თქვა:

„რინგზე აღარასოდეს გავალ. ძალიან დავიღალე. შემეშვან ეს..."

დიახ, მაიკ ტაისონი დაბრუნდა, სამ წუთს იდგა „ემჯიემ გრანდის" ფიცარნაგზე და ახლა აღარც შეპირებულ ათ მილიონს აძლევენ, აღარც აშვიდებენ და დისკვალიფიკაციითაც ემუქრებიან.

ტაისონ-ორლინ ნორისის შეხვედრა თავიდანვე დიდ ყალთაბანდობას ჩამოჰგავდა. მაიკს კი თავში მართლაც ოფოფები ჰყავს. ზედიზედ მესამე ბრძოლაა, თავს ვერ იკავებს და მერე ყველაფერი თავდაყირა დგება. გახსოვთ, ჰოლიფილდს რომ ყურს აჭამდა? მერე ფრანსუა ბოთას ხელს ატეხდა. ახლა კი...

პირველი რაუნდის გასრულების გონგს რომ ჰკრეს, აქაოდა, შეისვენეთო, ტაისონმა ცაცია ჰუკი სთხლიშა ნორისს და ფიცარნაგზე გაშხლართა. რეფერი რიჩარდ სტილს შუა რაუნდშიაც გაეფრთხილებინა ტაისონი და ახლაც მეორედ გააფრთხილა, მაგრამ საქმე ისე შემოტრიალდა, რომ ნორისმა მეორე რაუნდში ჩხუბი იუარა, წაქცევისას მუხლი ვიტკინეო.

„ცრუობს", აღმოხდა ტაისონს, „მუხლი როგორ იტკინა, როცა თავის ფეხით მივიდა კუთხემდე?"

იქვე გამოჩენილმა ექიმმა დაადასტურა, რომ ნორისს მუხლი მართლაც გასიებული აქვს და უნდა სტკიოდეს. რეფერიმ კი შეხვედრა გაუქმებულად გამოაცხადა.

ორლინ ნორისმა თავისი რვაასიათასი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

ტაისონს კი ნევადის ათლეტურ საქმეთა კომისია ელის. სწორედ ამ ორგანომ უნდა განსაჯოს მისი მორიგი ოფოფები.

„არსადაც არ მივალ" ამბობს მაიკი „ეგენი დისკვალიფიკაციას არ მომცემენ, იმიტომ რომ დიდი ფული მომაქვს მათთვის. თუმცა, ახლა ეს სულ ერთია. კრივს აღარ ვაპირებ".

ასე რომ, ტაისონის მორიგი ყეენობა დასრულდა და თანაც გრძელდება. იმ წამლის სახელი კი დაგვავიწყდა, რომელსაც მაიკი სვამს ხოლმე.

# ნასიმი ამერიკას იპყრობს

**პარასკევ** ღამით, დეტროიტის „ჯო ლუის არენაზე" ორგანიზაციის (ვბო) 126-ფუნტა ჩემპიონმა, ბრიტმა პრინს ნასიმ ჰამედმა თორმეტ რაუნდში დაამარცხა საბჭოს (ვბკ) მექსიკელი ჩემპიონი სესარ სოტო და ამერიკაში პირველი პოპულარული და ღირსეული ტიტული მოიგო.



ნასიმ ჰამედი

თუმც კი, მედია და მაყურებლები უკმაყოფილონი დარჩნენ შოუთი. გაზეთებმა ჰამედ-სოტოს ორთაბრძოლას „ჭიდაობა" უწოდეს. ამ ჩხუბში, ჭიდაობის ბევრად მეტი ილეთი იყო, ვიდრე კრივისა, ხოლო შოუ მაშინ მოთავდა, როცა ბრიტანელი ჩვეული თითლიბაზური ცეკვა-ცეკვით, ტიტველა ქალებისა და ფანოლების თანხლებით მოუახლოვდა რინგსო.

ჰამედის ეფექტური დარტყმები მხოლოდ მეცხრე რაუნდში იხილა მაყურებელმა, თუმც მთელს ბრძოლაში ის მაინც უკეთესი იყო და სამივე დამთვლელმა მის სასარგებლოდ ჩათვალა ქულები 114-110, 115-110, 116-108.

ასე რომ, ჭიდაობა ჭიდაობად და, ნასიმ ჰამედმა კიდევ ერთი ქამარი დაითრია და ჩვეულ ტრაბახსაც მოჰყვა, სოტომ ჭიდაობა იმიტომ შემომთავაზა, რომ კრივში შანსი არ ჰქონდაო. სოტომაც არ დაუთმო, მაგას არაფერი მოუგია, მეხუთე რაუნდში, ძიძგილაობისთვის უნდა მოეხსნათ შეჯიბრიდან და მოგება ჩემთვის მოეკუთვნებინათო.

„მაგ კაცს ჩხუბი არ უნდოდა, სხვა რამეს ცდილობდა. ცხვირი გავუტეხე, წარბი გავუხეთქე. მეტი რა ვქნა?" იკითხა პრინსმა და სიამაყით აღმართა საბჭოს ქამარი.

ასე რომ, ცეროდენა ბრიტი ამერიკას იპყრობს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli